საქართველოს მთავრობა

ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012–2015 წლებისათვის

(საბოლოო ვარიანტი)

თბილისი

2012

საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსათვის, სადაც ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი გარემოთი და ექნება საშუალება, გახდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული და მდიდარი წევრი.

ამ მიზნების მიღწევას საქართველოს მთავრობა სამუშაო ადგილების შექმნით და უმუშევრობის შემცირებით გეგმავს, ხოლო შრომისუუნაროთათვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პენსიონერები) – სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესებით. შესაბამისად, „ათპუნქტიანი გეგმის“ აბსოლუტურად ყველა პუნქტი სწორედ ამ ორ მიზანს ისახავს, კერძოდ, როგორ შევქმნათ უფრო მეტი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი და როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სისტემების გაუმჯობესების გზით).

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს ათ პუნქტს:

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
2. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება;
3. საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება;
4. რეგიონულ სავაჭრო და ლოჯისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება;
5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
6. სოფლის მეურნეობის განვითარება;
7. განათლების სისტემის გაუმჯობესება;
8. სოციალური პოლიტიკის დახვეწა;
9. ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ჩამოყალიბება;
10. ურბანული და რეგიონული განვითარება.

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა

სწრაფი ზრდა, ფისკალური მდგრადობა, ვალის მცირე წნეხი, მცირე და კონტროლირებადი საბიუჯეტო დეფიციტი, დაბალი ინფლაცია, მთავრობის მცირე ზომა, ფინანსური სისტემის მდგრადობა, ჯანსაღი საბანკო სექტორი, მდგრადობა შოკების მიმართ.

გლობალური ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობის ფონზე უმნიშვნელოვანესია ჯანსაღი მაკროეკონომიკური გარემოსა და პარამეტრების შენარჩუნება-გაუმჯობესება. ბევრ ევროპულ ქვეყანაში სწორედ მაკროპარამეტრების პრობლემურობის გამო წარმოიშვა კრიზისი. ზოგიერთ მათგანში ამის მიზეზი იყო მაღალი საბიუჯეტო დეფიციტი ან მაღალი ვალის მაჩვენებელი, ან კიდევ დაბალი ეკონომიკური ზრდა. შედეგად – შეჩერდა ინვესტიციები, გაკოტრდნენ კომპანიები, სახელმწიფოებს მოუწიათ ხარჯების (მათ შორის, ხელფასებისა და პენსიების) შემცირება, რამაც, საბოლოო ჯამში, სამუშაო ადგილების დაკარგვა და უმუშევრობის გაზრდა გამოიწვია.

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ეკონომიკის პოზიტიური მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნება და გაუმჯობესება. სწორედ ეს გამოიწვევს დღეს მსოფლიოში არსებული კაპიტალის (რომელიც არსებული პრობლემების გამო, ახალ ბაზრებს ეძებს) მოზიდვას, არსებული საწარმოების გაფართოებას, ახალი ინვესტიციების განხორციელებას და, რაც მთავარია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. თუმცა, მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ეკონომიკა სრულად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში, რაც ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოზეც აისახება – მსოფლიოს შემცირებული ეკონომიკური ზრდა გამოიწვევს შემცირებულ მოთხოვნას ყველა პროდუქტზე (მათ შორის, საქართველოს საექსპორტო პროდუქტებზე). ეს კი გამოიწვევს ინვესტორთა უფრო მეტ სიფრთხილეს და პირდაპირი ინვესტიციების შემცირებას, კაპიტალის გადინებას განვითარებადი ქვეყნებიდან. სწორედ ამიტომ საქართველოს ეკონომიკა მზად უნდა იყოს მოვლენების ასეთი განვითარებისათვის და უფრო მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს ჯანსაღი მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის.

მთლიანი შიდა პროდუქტი

- უახლოეს წლებში საქართველოს მთავრობის მიზანია, მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმალური ზრდა იყოს მსოფლიო ეკონომიკის საშუალო ზრდაზე მაღალი, ხოლო ოპტიმისტური სცენარით 4-წლიან პერიოდში მიაღწიოს ორნიშნა რიცხვს. სწორედ მაღალი ეკონომიკური ზრდა გამოიწვევს მრავალი ინვესტორის დაინტერესებას საქართველოთი, მეტი ინვესტიციის მოზიდვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- მთლიანი შიდა პროდუქტის ასეთი ზრდის შედეგად 2015 წლისთვის საქართველო გახდება მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით „მაღალი საშუალოშემოსავლიანი ქვეყანა“, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება 60-90%-ით 2011 წელთან შედარებით და მიაღწევს ნიშნულს 5,000–6,000 აშშ დოლარს შორის, რაც 3-4-ჯერ მეტი იქნება 2005 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით;
- საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის მიხედვით (PPP) თითქმის გაორმაგდება 2015 წელს 2005 წელთან შედარებით;
- თუმცა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში შემუშავებულია სათადარიგო სცენარი, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის ეკონომიკა 2012–2014 წლებში 0-3%-ით იზრდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა მცირდება იმავე პერიოდის განმავლობაში.

სახელმწიფო ვალი

- საქართველოს მთავრობის ამოცანაა, საგარეო სახელმწიფო ვალის პორტფელმა შეინარჩუნოს ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მდგრადობას როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- სახელმწიფო საგარეო ვალის კონსერვატიული და პრაგმატული მართვა საწინდარია ქვეყნის დაცულობისა და ფისკალური მდგრადობის, სხვადასხვა ტიპის გლობალური/ეგზოგენური რისკებისა და გამოწვევების არსებობის პირობებში. სახელმწიფო საგარეო ვალის დონემ არ უნდა შეუქმნას საფრთხე ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას, ასევე სამუშაო ადგილებსა და მათი შექმნის პერსპექტივას;
- საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული ეკონომიკური თავისუფლების აქტის მიხედვით, სახელმწიფო ვალი ლიმიტირებულია და მისი დონე უნდა შეადგენდეს არა უმეტეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს. ამასთანავე, ფისკალური და, ზოგადად, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი და საშუალოვადიანი ამოცანა იქნება სახელმწიფო საგარეო ვალის თანმიმდევრული შემცირება მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-მდე. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო შემოსავლებთან და ექსპორტთან მიმართებით სახელმწიფო და მთავრობის ვალის ყოველწლიური მომსახურების ოპტიმალური დონის შენარჩუნება;
- 2015 წლისთვის მთავარი ამოცანაა, სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებით არ სცდებოდეს 9%-ს, ხოლო მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით – 3%-ს;



- შესაბამისად, მსოფლიო კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში ქვეყანას ექნება რეზერვი, ეგრეთ წოდებული – „ფინანსური ბალიში“, რაც დღეს ბევრ განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანას არ გააჩნია, ვალი გაზარდოს მთლიანი შიდა პროდუქტის 20–30%-ით, მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-იან ზღვრამდე და ამით შეინარჩუნოს ეკონომიკური აქტივობა და დასაქმების დონე.

ბიუჯეტის დეფიციტი

- გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობისათვის სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების სათანადო დონეზე შესრულებისა და ინვესტორთა ნდობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია ბიუჯეტის დეფიციტი შენარჩუნდეს რაც შეიძლება დაბალ დონეზე. საქართველოს მთავრობის მიზანია მაქსიმალურად დაბალანსებული ბიუჯეტის უზრუნველყოფა, რაც, ერთი მხრივ, საჭიროების

შემთხვევაში ახდენს ეკონომიკურ სტიმულირებას და, მეორე მხრივ, გლობალური ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის ფისკალური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი საწინდარი და სამუშაო ადგილების შექმნის მამოძრავებელია;

- ეკონომიკური თავისუფლების აქტის თანახმად, 2014 წლიდან ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შეადგენდეს არა უმეტეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს.

ბიუჯეტის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან

- საქართველოს მთავრობის ამოცანაა, ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების წილი მლიან შიდა პროდუქთთან იყოს „მცირე მთავრობის“ ფარგლებში, რათა საგადასახადო წნეხმა და მთავრობის აქტივობამ არ შეზღუდოს სივრცე სამეწარმეო აქტივობისათვის, კერძო ინიციატივებისა და ინვესტიციებისათვის;
- ეკონომიკური თავისუფლების აქტის მიხედვით, ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის წილი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს 2014 წლიდან;
- ბიუჯეტის ხარჯების მოცულობის ზრდა უნდა უზრუნველყოს ეკონომიკურმა ზრდამ.

ინფლაცია

- საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანაა, ინფლაცია გრძელვადიანად შეინარჩუნოს ერთნიშნა მაჩვენებელზე;
- ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2011 წლის მესამე და მეოთხე კვარტალებში ინფლაცია ერთნიშნა მაჩვენებელს უკვე დაუბრუნდა;
- 2010 წლის ბოლოს და 2011 წლის დასაწყისში მაღალი ინფლაციის დონე საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდით იყო გამოწვეული. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს მთავრობამ მიღეს ანტიინფლაციური ზომები, რათა მაქსიმალურად შეემცირებინათ საბაზო ინფლაცია, რაც მიღწეულ იქნა:
  - კონსერვატიული ფისკალური პოლიტიკით;
  - კონსერვატიული მონეტარული პოლიტიკით;
- საქართველოს მთავრობამ ასევე მიიღო დროებითი ზომები, რათა ინფლაციის მაჩვენებლის შემცირებამდე შეემსუბუქებინა მოსახლეობისთვის ფასების ზრდის წნეხი. ამ მიზნით დარიგდა დენისა და სურსათის ვაუჩერები. საქართველოს მთავრობამ ასევე მოიძია ახალი მომწოდებელი ქვეყნები სხვადასხვა პროდუქციის შემოტანის დივერსიფიკაციისთვის და განახორციელა დამატებითი პროექტები სოფლის მეურნეობაში.

გაცვლითი კურსი

- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ორ ამოცანას შორის (გაცვლითი კურსის სტაბილურობა და ინფლაცია) განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ინფლაციაზე;
- უმთავრესი ამოცანაა რეალური გაცვლითი კურსის მონიტორინგი, რათა ამ კურსმა ნეგატიურად არ იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე.

ფინანსური სტაბილურობა

- საქართველოს ხელისუფლების ამოცანაა ფინანსური სისტემის მდგრადობა და გარე შოკებზე დამოკიდებულების შემცირება;
- ხელი უნდა შეეწყოს საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდების ლიკვიდური ბაზრის ჩამოყალიბებას, საქართველოს მთავრობის ჯამური ფინანსური ვალდებულებების გონივრული მართვისა და თანმიმდევრული შემცირების ფონზე;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სტაბილურ ეტაპზე გადასვლისკენ მიუთითებს 2011 წელს ფასიანი ქაღალდების ვადიანობის მარჟების შემცირების ტენდენცია, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობისა და მათზე მოთხოვნის ზრდით.

ფინანსური სექტორი

- ფინანსური სექტორის განვითარება მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და, შესაბამისად, ინვესტორების ნდობის ზრდის ფონზე უზრუნველყოფს საბანკო საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, სესხების ხანგრძლივობისა და ბანკების მიერ სექტორული/რეგიონული კონცენტრაციის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გაზრდას, ეკონომიკურ გააქტიურებას და, შესაბამისად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას;
- საპროცენტო განაკვეთების შემცირება შესაძლებელია ქვეყნის პოზიტიური მაკროპარამეტრებისა და საბანკო სექტორის დადებითი მაჩვენებლების გრძელვადიანი შენარჩუნებით. პირველი მათგანი გამოიწვევს ქვეყნისადმი ნდობის გაზრდას ინვესტორთა მხრიდან და, შესაბამისად, ქართულ საბანკო სექტორს იაფი საკრედიტო რესურსის მოზიდვის საშუალებას მისცემს. მეორე კი გამოიწვევს დეპოზიტების მოცულობის ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, დაბალ საპროცენტო განაკვეთებზე აისახება;
- მთავარი მიზანია – 2005 წელთან შედარებით 2015 წელს დაახლოებით 9-ჯერ გაიზარდოს როგორც საბანკო აქტივები, ასევე დეპოზიტები და სასესხო პორტფელის მოცულობა. ეს კი გაზრდის საინვესტიციო რესურსებს და, შესაბამისად, პოზიტიურად აისახება სამუშაო ადგილების შექმნის დინამიკაზე.

საერთაშორისო რეზერვები

- საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანაა, ქვეყანას ჰქონდეს საკმარისი საერთაშორისო რეზერვები შესაძლო საგარეო შოკების შერბილებისა და საგარეო ვალდებულებების მომსახურების მიზნით;
- რეზერვების მართვის ძირითადი პრინციპებია:
  - ა) ლიკვიდურობა;
  - ბ) უსაფრთხოება;
  - გ) შემოსავლიანობა;
- 2012–2015 წლებში, ვალების მომსახურების გათვალისწინებით, საქართველოს ექნება ადეკვატური საერთაშორისო რეზერვი. 2015 წელს 2010 წელთან შედარებით საერთაშორისო წმინდა რეზერვების მოცულობა გაიზრდება 107%-ით.

2. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება

საწარმოო პოტენციალის და ღია ეკონომიკის განვითარება – ექსპორტის და ტურიზმის ზრდით.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

- საქართველოს მთავრობის ამოცანაა, გრძელვადიან პერსპექტივაში მიაღწიოს ეკონომიკის განვითარების ისეთ სტრუქტურას, როდესაც 2015 წლისათვის 2011 წელთან შედარებით მიღწეულ იქნება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის განახევრება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, პროცენტულად;
- სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირება მიიღწევა საქონლის ექსპორტის ზრდით, რაც შედეგი უნდა იყოს წარმოებისა და, შესაბამისად, პროდუქტიული დასაქმების ზრდისა;
- არსებითია ასევე მომსახურების ექსპორტის ზრდა, რაც, პირველ რიგში, უნდა გამომდინარეობდეს ტურიზმის სფეროს განვითარებიდან და, შესაბამისად, ამ სფეროში დასაქმების ზრდიდან;
- ამ ამოცანის მისაღწევად, მაკროეკონომიკურ სტაბილურობასთან ერთად, საჭიროა სამეწარმეო და საგადასახადო გარემოს მიმზიდველობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, საქართველოს, როგორც „ბიზნეს-პლატფორმის“ როლის გაზრდა, ჯამური ინვესტიციების გაზრდა და ღია სავაჭრო რეჟიმების განვითარება;
- საქონლის, მომსახურებისა და ტურიზმის ექსპორტი 2010 წელთან მიმართებით 2015 წლისათვის 2-ჯერ უნდა გაიზარდოს, საშუალოდ – 15–20%-ით წელიწადში;
- არსებითი იქნება თავისუფალი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გამოყენების გაუმჯობესება, განსაკუთრებით მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება ევროკავშირთან და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობების რეალიზება.

ტურიზმი

- ტურიზმის განვითარება უნდა განხორციელდეს ორი მიდგომის კომბინირებით: „ჰორიზონტული პოლიტიკით“, რაც მიმართულია ტურიზმისათვის ირიბი წამახალისებელი გარემოებების შექმნით, და „ვერტიკალური მიდგომის“ გამოყენებით, როგორიც არის ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება;
- საქართველოს მთავრობის მიზანია, 2015 წლისთვის ტურისტების რაოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბოს და ქვეყანა გახდეს ზამთრის ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრი;
- გაიზრდება ყოველწლიური ტურისტული სარეკლამო კამპანიები იმ ქვეყნებში, საიდანაც ტურისტების მოზიდვის პოტენციალი მაღალია, კერძოდ – ბელორუსი, უკრაინა, პოლონეთი, ისრაელი, ბალტიისპირეთის ქვეყნები;
- პრიორიტეტულია დაბალბიუჯეტიანი ავიახაზების ოპერატორების მოზიდვა, პირდაპირი ფრენების სამი ძირითადი მიმართულებით დივერსიფიკაცია (დასავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აზია).

საპარტნიორო ფონდი

- საქართველოს მთავრობამ შექმნა საპარტნიორო ფონდი. ფონდის აქტივები გამოყენებული იქნება მსხვილი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც უპირატესად საქართველოს საექსპორტო პოტენციალს და დასაქმებას გაზრდიან ისეთი პროექტებით, რომელთაც კერძო

სექტორი სახელმწიფოს თანამონაწილეობის გარეშე ვერ ძლევს სასტარტო გარემოებებიდან და რისკებიდან გამომდინარე;

- პროექტების განხორციელების მექანიზმი ითვალისწინებს ფონდის მხრიდან წილობრივ მონაწილეობას ან ინვესტორთან შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებას ენერგეტიკის სფეროში წარმოებულ პროდუქციაზე. საკრედიტო რესურსი მოზიდული იქნება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. ძირითადი პროექტები განხორციელდება ისეთ დასაქმებადტევად სფეროებში, როგორებიცაა ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროები;
- საპარტნიორო ფონდის დაფინანსების წყარო ასევე შეიძლება გახდეს სახელმწიფო საწარმოების აქციების საერთაშორისო ბირჟებზე განთავსების შედეგად მიღებული თანხები.

3. საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება

არაკორუფციული გარემო, საუკეთესო პირობები მეწარმეობისათვის, კომფორტული საგადასახადო გარემო დაბალი გადასახადებით

- საქართველოს მთავრობის ამოცანაა, შეინარჩუნოს არაკორუფციული გარემო, რაც ზრდის საქართველოს კონკურენტულ უპირატესობას და შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს, შექმნან მეტი პროდუქცია და დასაქმების ადგილები, ხოლო მოსახლეობას – მიიღონ უკეთესი მომსახურება და უკეთესი პირობები განვითარებისათვის;
- საქართველოს მთავრობის ამოცანაა, საქართველომ შეინარჩუნოს მსოფლიოში ერთ-ერთი არაკორუმპირებული ქვეყნის სტატუსი.

სამეწარმეო გარემო

- საქართველოს სხვა კონკურენტული სისუსტეები (ბაზრის ზომა, გეოპოლიტიკური გამოწვევები) უნდა დაბალანსდეს საუკეთესო ბიზნესკლიმატით, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების გაზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას;
- დასაქმების ხელშესაწყობად შრომის ბაზარი და რეგულაციები მაქსიმალურად მოქნილი უნდა იყოს შრომის ბაზარზე მობილურობისა და მაღალი დასაქმებისათვის – მაგალითად, სპეციალური რეგულაციების შემოტანის გზით 45 დან 60 წლამდე მოსახლეობის დასაქმების შემთხვევაში;
- სამეწარმეო გარემოს განვითარების ერთ-ერთ საკვანძო ასპექტს წარმოადგენს საგადასახადო სისტემის და ადმინისტრირების გამარტივება – „ახალი კურსი“, რომლის პრინციპები ასახულია ახალ საგადასახადო კოდექსში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს არსებითი სამუშაო ადგილების იმპორტს საქართველოში, ამიტომ მთავრობის ამოცანაა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდეს მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 6%-ს, 2-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე ბოლო სამი წლის საშუალო მსოფლიო საზღვრებს მიღმა ინვესტიციების მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება (დაახლოებით 3%).

4. რეგიონულ სავაჭრო და ლოჯისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება

ღია ეკონომიკა, გამართული ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა

• იმისათვის, რომ გაჩნდეს მეტი სამუშაო ადგილი, საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს ქვეყანაში საწარმოებისა და სერვისების შექმნისათვის, არა მარტო იმ კომპანიების მიერ, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეკონომიკით არიან დაინტერესებული, არამედ იმათი მეშვეობითაც, რომელთა ინტერესების სფეროა ჩვენი რეგიონი და მის მიღმა არსებული ეკონომიკებიც;
• საქართველოს მთავრობის ამოცანაა, ქვეყანა წარმოადგენდეს `დერეფანს~ ტრანზიტისათვის, ასევე „პლატფორმას“ ბიზნესის განვითარებისათვის – საქართველოდან მეზობელ ქვეყნებსა და ფართო რეგიონში;
• ღია ეკონომიკა, გამართული და განვითარებული ინფრასტრუქტურა, სამაგალითო ადმინისტრაციული მომსახურება და ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და სასაწყობო საწარმოების ლიბერალური რეგულირება, უნდა გახდეს საქართველოს „ბიზნესპლატფორმად“ ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველი;
• ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოზე გამავალმა სატრანსპორტო დერეფანმა უნდა შეინარჩუნოს და გაზარდოს მიმზიდველობა, რის მისაღწევადაც მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომლობა რეგიონის სხვა ქვეყნებთან;
• საქართველომ, როგორც რეგიონულმა „ბიზნესპლატფორმამ“, უნდა ისარგებლოს რამდენიმე არსებული ტენდენციით და იმ კომპანიებსა და ინდუსტრიებს შესთავაზოს უკეთესი გარემო, რომლებიც ეძებენ უკეთეს და უფრო მოსახერხებელ ადგილს საწარმოების განსათავსებლად, გაზრდილი სამეწარმეო ხარჯების გამო აღმოსავლეთ ევროპასა და თურქეთში, და რაც ეფუძნება ჩინეთისა და ინდოეთის მზარდი ეკონომიკების ინტერესებს ევროპულ ბაზრებზე;
• მიმდინარეობს წინა მოლაპარაკებები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით;
• საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება თურქეთთან და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან, GSP აშშ-თან, GSP+ ევროკავშირთან და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები სხვა ქვეყნებთან;
„ბიზნესპლატფორმის“ შექმნის პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბრენდების მოსაზიდად ან/და განსაკუთრებით დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივით საქართველოს მთავრობა ქვეყანაში წარმოების განვითარების მიზნით, განსაკუთრებული პროექტებისთვის ინვესტორებს შესთავაზებს რამდენიმე წამახალისებელ პირობას:

– ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელ გარემოს;

– ინვესტორს საწარმოს ასაშენებლად მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა სიმბოლურ ფასად;

– გამოყოფილი იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო შენობები, რომლებიც შესაძლებელია შეღავათიან ფასებში გადაეცეს ინვესტორებს;

– საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საწარმომდე შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გაზი, წყალი, ელექტროენერგია) მოწესრიგებასა და საწარმომდე მისასვლელი გზების მშენებლობას/შეკეთებას;

– საქართველოს მთავრობა, სხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთად, დაეხმარება უცხოურ კომპანიებს მუშახელის მოზიდვასა და ტრენინგების დაფინანსებაში.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები

• საქართველოში „ბიზნესპლატფორმის“, ინვესტორთა მოზიდვისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით შეიქმნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები;

• საქართველოს მთავრობამ გაათავისუფლა ზონის ტერიტორიაზე მიღებული მოგება მოგების გადასახადისაგან, ზონის ტერიტორიაზე შექმნილი დამატებული ღირებულება – დღგ-ისაგან და ზონის ტერიტორიაზე არსებული ქონება – ქონების გადასახადისაგან და ეს ყოველივე კი იმის სანაცვლოდ, რომ ზონის ტერიტორიაზე და ტერიტორიის გარშემო, განვითარდეს ინფრასტრუქტურა (სასტუმრო, სამედიცინო, სარეკლამო, საექსპედიტორო, ექსპერტიზის და სხვა მრავალი მომსახურება) და შედეგად შეიქმნას სამუშაო ადგილები.

რეგიონული საბითუმო და საცალო სავაჭრო ცენტრები

• „ბიზნესპლატფორმის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა გახდეს საქართველოში რეგიონული მნიშვნელობის საბითუმო და საცალო სავაჭრო ცენტრების შექმნა. ასეთი ცენტრები უნდა შეიქმნას, როგორც არსებული ცენტრების რესტრუქტურიზაციის, ასევე ახალი ცენტრების შექმნის გზით;
• ასეთ ზონებში საგადასახადო ადმინისტრირებისა და ვაჭრობის გაიოლების მიზნით შეიქმნება სპეციალური, საგადასახადო თვალსაზრისით, გამჭვირვალე სავაჭრო ზონები.

5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

მულტიმოდალური სატრანსპორტო და ენერგეტიკული „კვანძი“ ფართო რეგიონისათვის

საგზაო ინფრასტრუქტურა

• იქმნება განვითარებული, ხარისხიანი და უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურა ქვეყნის შიდა ტვირთბრუნვის, იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის განვითარებისათვის, უკეთესი მიღწევადობისათვის საკურორტო ადგილებამდე და რეგიონებამდე, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს უფრო მეტი სამუშაო ადგილისა და უკეთესი სამეწარმეო და საცხოვრებელი გარემოს შექმნას;
• გასული წლების განმავლობაში საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით 2,5 მილიარდ ლარზე მეტი იქნა ინვესტირებული. ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება.

პროექტის დასახელება	დაწყება	დასრულება	საორიენტაციო თანხები (მლნ აშშ დოლარი)
ნატახტარი–აღაიანი	2006	2008	46
აღაიანი–იგოეთი	2007	2009	27.3
იგოეთი–სვენეთი	2008	2011	101.2
სვენეთი–რუისი	2009	2011	151.5
რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია	2009	2011	30.3
თბილისის შემოვლითი გზა	2010	2011	9
ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედია	2011	2013	239.4

პროექტის დასახელება	დაწყება	დასრულება	საორიენტაციო თანხები (მლნ აშშ დოლარი)
ქობულეთის შემოვლითი გზა	2011	2013	190.9
თბილისი–რუსთავი	2012	2013	64
რუისი–რიკოთი	2011	2013	155.1
სამტრედია–გრიგოლეთი–ჩოლოქი	2012	2014	248

ამ პროექტების განხორციელებისას თავად მშენებლობაზე პირდაპირ და ირიბად ყოველწლიურად დასაქმდება 30 000 ადამიანამდე. გარდა ამისა, ამ პროექტების განხორციელება გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო და საინვესტიციო პოტენციალს, უფრო მიმზიდველს გახდის ქვეყანას როგორც ტურიზმის და ვაჭრობისათვის, ისე ახალი საწარმოების მშენებლობისათვის, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმისათვის.

რკინიგზა

- საქართველოს რკინიგზამ უნდა შეინარჩუნოს მომგებიანი საწარმოს სტატუსი და, ამავე დროს, გაზარდოს სიმძლავრე, კომფორტი და სიჩქარეები;
- მიმდინარეობს თბილისი–ბათუმის ჩქაროსნულ რკინიგზაზე მუშაობა მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში. სამგზავრო დრო ბათუმიდან თბილისამდე თანამედროვე მატარებლით 3 საათამდე შემცირდება. აღნიშნული პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 400 მლნ დოლარზე მეტს;
- მიმდინარეობს მუშაობა ბაქო–თბილისი–ყარსის ახალ სარკინიგზო გზაზე, რაც უნდა გახდეს დამაკავშირებელი ჩინეთისა და დასავლეთ ევროპის უდიდეს ბაზრებს შორის საქართველოს გავლით;
- მიმდინარეობს თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომლის ბიუჯეტიც შეადგენს 250 მლნ დოლარზე მეტს.

პროექტის დასახელება	დაწყება	დასრულება	საორიენტაციო თანხები (მლნ აშშ დოლარი)
ბაქო–თბილისი–ყარსის სარკინიგზო გზა	2009	2012	775
თბილისი–ბათუმის ჩქაროსნული რკინიგზა	2010	2013	415
თბილისის შემოვლითი სარკინიგზო გზა	2010	2013	275

აღნიშნულ პროექტებზე ყოველწლიურად საშუალოდ 8,000-დან 10,000-მდე ადამიანი დასაქმდება.

საჰაერო ტრანსპორტი

- მიზანია კარგად განვითარებული სააეროპორტო ინფრასტრუქტურა დივერსიფიცირებული და მზარდი დანიშნულების ადგილებითა და ოპერატორებით. ამ ეტაპის გამოწვევაა „დაბალბიუჯეტიანი“ ავიაკომპანიების დაინტერესება საქართველოს ბაზრით;

• მიმდინარეობს მცირე სააეროდრომო ინფრასტრუქტურისა და მცირე ავიაციის განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება;
• მიმდინარეობს ფოთის აეროპორტის მშენებლობა, რომელიც დასრულდება 2012 წელს;
• საქართველოს საავიაციო ბაზარზე შემოდიან ახალი ავიაკომპანიები;
• 2015 წლისათვის დღეისათვის მგზავრთა არსებული რაოდენობა 50%-ით უნდა გაიზრდოს;
• 2015 წლისათვის უნდა გაიზარდოს არსებულ მიმართულებებზე სიხშირეები (სულ მცირე – კვირაში 5 სიხშირე), რათა უზრუნველყოფილ იქნეს მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილება;
• 2015 წლისათვის უნდა გაიზარდოს პირდაპირი ფრენების რიცხვი შემდეგი მიმართულებებით: ჩინეთი, ინდოეთი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, შუა აზია და დასავლეთ ევროპა; 2015 წლისათვის ამ მხრივ უნდა დაემატოს 10 ახალი მიმართულება;

წელი	ოპერატორები	ქვეყნები	დანიშნულება	რეისები კვირაში
2011	19	19	28	197
2015	24	24	38	270

• 2015 წლისათვის საქართველოს საავიაციო ბაზარზე უნდა შემოვიდეს მინიმუმ ერთი გლობალური მასშტაბის დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია;
• 2015 წლისათვის საავიაციო ინდუსტრიაში დასაქმებულთა რიცხვი სულ ცოტა 1,5-ჯერ უნდა გაიზარდოს.

საზღვაო ტრანსპორტი

• მიზანია საპორტო ინფრასტრუქტურის კარგად განვითარება, რომელიც მოერგება სატვირთო, სამგზავრო გადაზიდვებისა და სატვირთო-სამგზავრო გადაზიდვების სწრაფ და იაფ მომსახურებას;
• მგზავრთა გადაყვანაზე ორიენტირებული საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა საქართველო უფრო აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო საკრუიზო ლაინერების ქსელში. 2015 წლისთვის შესაძლებელი უნდა იყოს ზღვით მგზავრთა გადაყვანის 2011 წლის მონაცემების გაორმაგება;
• მულტიმოდალური გადაზიდვების ხელშეწყობის მიზნით შავი ზღვის ქვეყნებთან საბორნე გადაზიდვების გაზრდის ხელშეწყობა.

ენერგეტიკა

• სანდო, დივერსიფიცირებული და ფინანსურად მდგრადი ენერგოსისტემა არის ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოს სამეწარმეო და ექსპორტის პოტენციალის მაქსიმალიზებისათვის, რაც თავისთავად გულისხმობს და უზრუნველყოფს ათასობით დამატებით სამუშაო ადგილს;
• საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ენერგოუსაფრთხო ქვეყანაა რეგიონში, განახლებადი ენერგიის დიდი წილით, ენერგიის ექსპორტიორი და განვითარების უდიდესი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მქონე;
• საქართველოს მთავრობის ამოცანაა, ელექტროენერგიაზე ქვეყნის მოთხოვნის 100% დაკმაყოფილდეს საქართველოში გამომუშავებული ჰიდროენერგიით. საქართველო უნდა გახდეს ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი თურქეთში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. დღეისათვის ექსპორტის წილი ელექტროენერგიის ადგილობრივ გენერაციაში 15%-ია;
• ბუნებრივი აირის მოწოდების კომერციული და ტექნიკური წყაროების მაქსიმალურად დივერსიფიკაცია. მომავალი 10 წლის განმავლობაში საქართველოში ბუნებრივი აირის მოწოდება უზრუნველყოფილია 3 დამოუკიდებელი წყაროდან;

• იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით გამოცხადდა ტენდერი წვადი ფიქლების (კეროგენის) არატრადიციული ტექნოლოგიებით მოპოვების შესაძლებლობის შესწავლისათვის, აგრეთვე დაგეგმილია ტენდერის გამოცხადება 2012 წელს ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისათვის;
• ადგილობრივი ენერგორესურსების განვითარების პირობებში მსხვილი ენერგოტევადი საწარმოების მშენებლობების და, შესაბამისად, დასაქმების ცენტრების განვითარების შესაძლებლობის შესწავლა;
• თბილისს გარეთ შეიქმნება 5 სამრეწველო-ინდუსტრიული კვანძი – ადგილები სადაც სატრანსპორტო-ლოჯისტიკური და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილი იქნება ინდუსტრიული მოხმარების დონეზე. შესაბამისად, ეს იქნება საუკეთესო ადგილები მსხვილი სამრეწველო ობიექტების განსათავსებლად და დასაქმების მნიშვნელოვანი ცენტრების შესაქმნელად. ასეთი სამრეწველო ინდუსტრიული კვანძები იქნება ფოთში, სენაკში, ქუთაისში, გარდაბანსა და ახალციხეში. ყოველ ასეთ კვანძს ექნება საშუალება მიიღოს ინდუსტრიული გაზი და ელექტროენერგია, იქნება რკინიგზისა და ავტომაგისტრალის ვერტიკალზე და დამატებით იქნება აეროპორტთან (ფოთი, სენაკი, ქუთაისი, გარდაბანი) ან/და პორტის (ფოთი, სენაკი) ახლოს;
• 2011 წელს მშენებლობის პროცესშია 10 ჰესი, ჯამური ინვესტიციით – 819 მლნ აშშ დოლარი. 2015 წლისთვის მშენებლობის პროცესში იქნება კიდევ 13 ჰესი, ჯამური ინვესტიციით – 3 210 მლნ აშშ დოლარი. სულ იგეგმება 27 ჰესის აშენება, ჯამური ინვესტიციით – 4 113 მლნ აშშ დოლარი. პროექტებზე დასაქმდება დაახლოებით 13 000 ადამიანი;
2014 წლისთვის მთლიანად დასრულდება ინდივიდუალური გამრიცხველიანება, ხოლო 2015 წლამდე საქართველოს მოსახლეობის 70% იქნება გაზიფიცირებული.

6. სოფლის მეურნეობის განვითარება

მეწარმეობაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარება

• საქართველოს მთავრობის ამოცანაა, ტრადიციული, კომლზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის პარალელურად შეიქმნას მოდერნიზებული და სამეწარმეო პრინციპებზე დაფუძნებული პირველადი და გადამამუშავებელი წარმოება სოფლის მეურნეობაში, ლოჯისტიკურ ცენტრებში, სადაც მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს სამუშაო ადგილების შექმნის და სოფლად საცხოვრებელი პირობების ხარისხობრივად გაუმჯობესებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო მიწების ჩართვა წარმოებაში

• უნდა გამოინახოს ყველა რეზერვი, რათა ეკონომიკურად აქტიური სასოფლო-სამეურნეო მიწის რაოდენობა გაიზარდოს. ამ თვალსაზრისით, არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა: გამოუყენებელი სამოვრები და ტყის ფონდში არსებული ფართობები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზების აქტიურად გაგრძელება, ამორტიზებული მიწების რეაბილიტაცია;
• 2015 წლისათვის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზნით დამუშავებული ფართობების რაოდენობა 50%-ით უნდა გაიზარდოს.

მემარცვლეობა, მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა

- სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია მემარცვლეობის განვითარების ხელშეწყობა და ქვეყნის თვითუზრუნველყოფის ხარისხის ზრდა, რაც უნდა განხორციელდეს როგორც რაოდენობრივი (მეტი ფართობი), ასევე ეფექტიანობის ზრდის საფუძველზე, 2015 წლისათვის მთავარი ამოცანაა ადგილობრივი წარმოების ხორბალზე მოთხოვნის 50%-ით დაკმაყოფილება, ასევე სიმინდის ექსპორტიორ ქვეყნად ჩამოყალიბება და მისი 200 000 ტონამდე ექსპორტირება;
- ამ მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანი იქნება სანერგე მეურნეობების და სადემონსტრაციო/სასწავლო ცენტრების შექმნა ყველა რაიონში, სადაც წარმოდგენილი იქნება მაღალმოსავლიანი, მაღალეფექტიანი ჯიშები და გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ამოცანა მეღვინეობის სფეროში არის ექსპორტის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია, ქვევრის ღვინის ბრენდის შექმნა და პოპულარიზაცია, ღვინის ტურიზმის განვითარება ღვინის შიდა მოხმარების გაზრდის მიზნით;
- 2015 წლისათვის ღვინის ექსპორტის ღირებულება უნდა გაორმაგდეს, ხოლო წარმოება 50%-ით გაიზარდოს;
- მეცხოველეობის სფეროში სოფლის მეურნეობის ამოცანაა პროდუქტიულობის გაზრდის ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა სანაშენე ფერმებისა და საკვებწარმოების განვითარების, ხელოვნური განაყოფიერების ცენტრების განვითარების გზით;
- საქართველოს მთავრობის ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრების განვითარება და მათი გეოგრაფიის გაზრდა თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის.

ლოჯისტიკური ცენტრი

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიული ამოცანაა ლოჯისტიკური ცენტრების ქსელის განვითარების ხელშეწყობა, რათა გაიზარდოს ექსპორტის დივერსიფიკაციის ხარისხი, შემცირდეს დამოკიდებულება სეზონურობასა და რკინიგზით გადაზიდვებზე, შეიქმნას დამატებული ღირებულება პროდუქციისათვის სასაქონლო სახის მიცემის გზით;
- ამ ცენტრში მწარმოებლებს, ექსპორტიორებს, იმპორტიორებსა და დისტრიბუტორებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ ისეთი მომსახურებით, როგორიცაა – შესანახი მეურნეობა, პირველადი გადამუშავება, სორტირება, დახარისხება, შეფუთვა, საბითუმო ვაჭრობის ობიექტი და საცალო ვაჭრობის ობიექტი, კონტეინერების საწყობი, ლაბორატორია. შესაბამისად, ფერმერს საშუალება მიეცემა ან შეინახოს და ზამთრის განმავლობაში გაყიდოს თავისი პროდუქცია, ან უფრო მეტი რაოდენობა ჩააბაროს ლოჯისტიკურ ცენტრს;
- შედეგად მივიღებთ გაცილებით მეტ ვარგისიან პროდუქციას, ფერმერთა გაზრდილ შემოსავალს, შემცირებულ იმპორტს და ნაკლებად ცვალებად ფასებს სურსათზე.

საირიგაციო სისტემები

საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციამ და განვითარებამ უნდა უზრუნველყოს პროდუქტიული ფართობებისა და ამ მიწების პროდუქტიულობის ზრდა. ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიის საირიგაციო სისტემების მოწყობას დააფინანსებს საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია. მათი ფუნქციონირება დაეფუძნება პარტნიორობას საჯარო და კერძო სტრუქტურებს შორის.

7. განათლების სისტემის გაუმჯობესება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

საქართველოს მომავალი თაობებისა და მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის

უკეთესი განათლების გარეშე შეუძლებელია ღირსეული და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა. საქართველოს მთავრობის ამოცანაა, საქართველოს მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა და ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ მიიღოს განათლება მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების შესაბამისად, როგორც საშუალო განათლების, ისე უმაღლესი განათლების დონეზე, მათი გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სკოლაში

საქართველოს მთავრობის ამოცანაა, შექმნას ისეთი სასკოლო სისტემა, სადაც სისტემის ყველა ნაწილს (რესურსცენტრს, სკოლის დირექტორტს, მასწავლებელს) ექნება სწორი მოტივაცია მთავარი აქცენტი გააკეთოს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და სწავლის პროცესი იქნეს შედეგზე ორიენტირებული.

- 2011 წელს დაინერგა და მომავალში გაგრძელდება მეთორმეტე კლასელთა გამოსაშვები გამოცდები, რაც მიმართულია სკოლაში სწავლების ეფექტიანობის გამოვლენისკენ. ყველაზე წარმატებული 10% სკოლების დირექტორები მატერიალურად წახალისდებიან მიღწეული შედეგების საფუძველზე, ხოლო ყველაზე უარესი 20% სკოლის დირექტორებს ექნებათ შესაძლებლობა გამოასწორონ სიტუაცია;
- 2011 წელს განახლდა მასწავლებელთა სერტიფიცირება და ეს პროცესი 2012–2014 წლებშიც გაგრძელდება. ყველა სერტიფიცირებული მასწავლებელი მიიღებს 75-ლარიან დანამატს. ყველა, ვინც ჩააბარებს ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდებს, მიიღებს 125-ლარიან დანამატს და სერტიფიცირებული მასწავლებლების საუკეთესო 25% მიიღებს 1000 ლარიან ხელფასს;
- 2011 წელს შეიცვალა სკოლის დაფინანსების ვაუჩერის ფორმულა, რომელმაც გამოასწორა არსებული ხარვეზები, მინიმუმამდე დაიყვანა დეფიციტური სკოლები და, შესაბამისად, სწორი მოტივაცია მისცა სკოლის დირექტორებს ხარჯების ოპტიმიზაციისათვის და საუკეთესო მასწავლებლების მოზიდვისათვის;
- სკოლებში განათლების ხარისხის გაზრდისათვის შემუშავდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, გაძლიერდება ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება, დაინერგება მე-12 კლასის მოსწავლეთათვის აბიტურის პროგრამა, ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან, სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით, e-სტრატეგია.
- ამჟამად, სკოლებში ერთი კომპიუტერი არის 20 მოსწავლეზე, რაც 2015 წელს უნდა შეადგენდეს 10-ს. სკოლების 75% ჩართულია ინტერნეტში. ყველა მეათეკლასელი, რომელიც სრულ ათებზე დაამთავრებს 10 კლასს მიიღებს კომპიუტერს და ასევე ყველა პირველკლასელი სკოლაში შესვლისთანავე მიიღებს საბავშვო კომპიუტერს;
- უსაფრთხო სკოლის პროგრამის დანერგვის შედეგად, 80%-ით შემცირდა მოსწავლეთა დაგვიანება, 75%-ით შემცირდა მოსწავლეთა გაკვეთილებიდან გაპარვა, 95%-ით შემცირდა ფულის გამოძალვა, 85%-ით შემცირდა მოსწავლეთა შორის დაპირისპირება;
- სხვადასხვა ინგლისურენოვანი ქვეყნიდან ჩამოყვანილ იქნენ ინგლისური ენის მასწავლებლები, 2010 წელს – 1000, ხოლო 2011 წელს – 1500. ეს პროცესი გაგრძელდება 2012 – 2015 წლებში.

პროფესიული და უმაღლესი განათლება

- პროფესიული განათლების ამოცანაა უკეთესი დასაქმებისათვის შესაძლებლობების შექმნა, რაც უნდა ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებას, არჩევნის თავისუფლებას, მეწარმეებთან თანამშრომლობას;
- უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო დონის განათლება საქართველოს ახალგაზრდობის გლობალური კონკურენტუნარიანობისათვის როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის დონეზე, მათ შორის, ბოლონიის პროცესის ფარგლებში ევროპულ და გლობალურ აკადემიურ სისტემაში ინტეგრაციის გზით;
- ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნა ბათუმში ამ პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი გახდება. ამ უნივერსიტეტის მიზანი იქნება საქართველოში ჩამოყალიბდეს სასწავლო სამეცნიერო ცენტრი, რომლის მთავარი მიმართულებები იქნება საინჟინრო დისციპლინები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სოფლის მეურნეობა. ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნება ტექნოლოგიური პარკი, რომლის მიზანი იქნება მეცნიერული მიღწევების კომერციულ პროექტებად გარდასახვა;
- უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ინფრასტრუქტურა უნდა იყოს ინტეგრირებული და უზრუნველყოფდეს პედაგოგიური და სამეცნიერო პროცესების სინერგიას;
- უნდა გაღრმავდეს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის უფრო მაღალი ჩართულობით.

8. სოციალური პოლიტიკის დახვეწა

მიზნობრიობისა და თანაზომადობის უზრუნველყოფა და სიღარიბის შემცირება

პენსიები და სოციალური დახმარებები

- საქართველოს მთავრობის მიზანია, შექმნას ეფექტიანი და დამისამართებული საპენსიო და სოციალური დახმარებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხანდაზმული მოქალაქეებისთვის ღირსეულ სიბერეს;
- საპენსიო სისტემა და სოციალური დახმარებების სისტემა ფინანსურად მდგრადი უნდა იყოს, რაც ნიშნავს, რომ ბიუჯეტზე ფინანსური ტვირთი უნდა იყოს თანაზომადი ეკონომიკური ზრდისა, საგადასახადო ტვირთისა და დემოგრაფიული ცვლილებებისა;
- 2011 წლის 1 სექტემბრიდან ასაკით და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პენსიონერებისათვის მინიმალური პენსია გაიზარდა 100 ლარამდე და შენარჩუნდა ყველა არსებული შეღავათი;
- პენსიის ზრდის შემდეგი ეტაპები ითვალისწინებს საპენსიო პაკეტის 100 დოლარამდე გაზრდას, რომელიც გააერთიანებს არსებულ შემწეობებსა და პენსიებს, მასში ასევე შევა სადაზღვევო ვაუჩერი. მიზანია, ყველა 60 წელს გადაცილებულ მოქალაქეს საშუალება ჰქონდეს, დაეზღვიოს ისეთი სადაზღვევო პაკეტით, რომელიც მოიცავს არა მარტო ამბულატორიულ მომსახურებას, არამედ მედიკამენტების შეძენის თანადაფინანსებასაც;
- გაგრძელდება საჭიროებაზე დაფუძნებული მიზნობრივი სოციალური პოლიტიკა, დაიხვეწება ოჯახების შეფასების მეთოდოლოგია, რათა გაიზარდოს როგორც მიზნობრიობის სიზუსტე, ისე დახმარების ეფექტიანობა. მიზნობრივი სოციალური დახმარება უნდა იყოს ორიენტირებული სიღარიბის დაძლევაზე და არ შექმნას აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაურთველობის სტიმულები, მათთვის, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს.

იძულებით გადაადგილებული პირები

- საქართველოს მთავრობის ამოცანაა, იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუქმნას საშუალება სრული ინტეგრაციისთვის, მათთვის, პირველ რიგში, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, მათ მიერ კერძო საკუთრების მოპოვებისა და დასაქმების გზით. ეს ამოცანა ხორციელდება იმ დათქმით, რომ მათი, როგორც საქართველოს მოქალაქეების, უფლება – დაბრუნდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისევე როგორც მათი საკუთრების უფლებები, შეუქცევადია;
- ეს პროცესი განხორციელდება რეკონსტრუირებული საცხოვრებელი ერთეულების დაკანონების გზით, სოფლებში საკარმიდამოს გადაცემის საშუალებით, საცხოვრებლისათვის კომპენსაციების გაცემით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობით;
- ამჟამად მიმდინარეობს დამატებით 54 კარკასული შენობისა და 64 კოლექტიური ცენტრის სრული რეაბილიტაცია 3,130 დევნილი ოჯახისათვის. სულ მიმდინარეობს ან დაგეგმილია ახალი საცხოვრებელი მრავალბინიანი სახლების მშენებლობა: ფოთში – 32 მრავალბინიანი სახლი 1,168 ოჯახისათვის, წყალტუბოში – 10 მრავალბინიანი სახლი 352 ოჯახისათვის, ბათუმში – 22 მრავალბინიანი სახლი 608 ოჯახისათვის, ზუგდიდში – 10 მრავალბინიანი სახლი 320 ოჯახისათვის.

პენიტენციური სისტემა

- პენიტენციური სისტემა უნდა დაეფუძნოს განვითარებულ ინფრასტრუქტურას, თანამედროვე სტრანდარტების თავისუფლების აღკვეთის ადგილების შექმნით, სასჯელის მოხდის ალტერნატიული ფორმების გამოყენების წილის გაზრდითა და სოციალური ინტეგრაციის ეფექტიანი ფორმების განვითარებით;
- თითოეული პირობითი მსჯავრდებულის მიმართ დგება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა და ხდება რისკის შეფასება ელექტრონული მონიტორინგის სისტემის გამოყენებით. პრობაციის სოციალური მუშაკები ინტენსიურად არიან ჩართული არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროცესში. პრობაციის ბიუროები ასევე უზრუნველყოფენ ვიდეოპაემანის განხორციელებას სხვადასხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებთან;
- ინტენსიური რეფორმა მიმდინარეობს პენიტენციური სისტემის სამედიცინო სფეროში, რათა ყველა პაციენტისათვის ხელმისაწვდომი იყოს მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისი და 2013 წლიდან პენიტენციური ჯანმრთელობის დაცვის სისტემა სრულად შეესაბამებოდეს სამოქალაქო სექტორში არსებულ სერვისებს;
- ტუბერკულოზის პრევენციის მიზნით ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაზე მიმაგრებულია ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და ინტენსიურად გრძელდება ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამკურნალო კორპუსის მშენებლობა, რომელიც 2012 წლიდან შევა ექსპლუატაციაში.

9. ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ჩამოყალიბება

განვითარებული სადაზღვევო ბაზრით, ფარმაცევტული პროდუქტების ფართო არჩევნით, მოდერნიზებული და მომხმარებელზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემით.

- მთავრობის მიზანია, საქართველოში განვითარდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება პაციენტზე, როდესაც სახელმწიფო დააფინანსებს არა ჯანდაცვის ინფრასტრუქტურას, არამედ მომხმარებელს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე. მისაღწევია მოსახლეობის

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ავადობის ტვირთისა და სიკვდილიანობის შემცირების გზით;

- აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში აყალიბებს ხუთ სტრატეგიულ ამოცანას:

1.სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა;

2. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

3. პაციენტისათვის არჩევნის უფლების მინიჭება და მისი უფლებების დაცვა;

4. დაავადებათა პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისადმი მზადყოფნა და საპასუხო რეაგირება;

5. ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესება, სექტორის ეფექტიანობის გაზრდა;

- 2012 წლის ბოლოსთვის, ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გეგმის მიხედვით, ქვეყანაში იფუნქციონირებს 150-მდე სრულიად ახალი ან განახლებული სამედიცინო ცენტრი;
- გაიზრდება მედიაციის სამსახურის როლი დაზღვეულთა ინტერესების დასაცავად. ძალაში შევა პაციენტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების სისტემა, რისთვისაც მედიაციის სამსახური და სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. დაწესდება მიყენებული ზარალის კომპენსაცია პაციენტის ან/და თავისი ოჯახისათვის სამედიცინო დაწესებულებების მიერ;
- დაავადებათა პრევენციისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისადმი მზადყოფნის მიზნით საქართველოს მთავრობა 2012 წელს გააგრძელებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მუდმივ ზედამხედველობას, რისთვისაც დაიხვეწება რუტინული სტატისტიკის მოპოვებისა და ანალიზის მექანიზმები, ელექტრონული საინფორმაციო სისტემის განვითარების გზით;
- პირველადი ჯანმრთელობის დაცვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში (პოლიკლინიკები) – განკერძოების პირობებში, თითოეული დაწესებულების ყოველდღიური მართვიდან სახელმწიფო საკუთარ რესურსს სრულად გადაიტანს სისტემურ მართვაზე, მომსახურების ხარისხზე;
- თითოეულ ახალ ჰოსპიტალს რაიონებში ექნება გადაუდებელი დახმარების განყოფილება, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული შემთხვევების ადეკვატურ მომსახურებას, მართვასა და საჭიროების შემთხვევაში რეფერალს შემდგომ დონეზე. სასწრაფო უფასო იქნება როგორც დაზღვეული, ასევე დაუზღვეველი მოსახლეობისათვის. გაცილებით უფრო ეფექტიანი და ხარისხიანი გახდება პირველადი ჯანმრთელობის დაცვისა და გადაუდებელი და სასწრაფო დახმარების ერთიანი მმართველობის პირობებში;
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სპეციფიკური გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში: 2012–2013 წლებში საქართველოს მთავრობა გეგმავს იმუნიზაციის პროგრამის ეფექტიანობის გაზრდას (>93% მოცვით); 2016 წლისთვის აივ ინფექციის გავრცელების სტაბილიზაციასა და ტუბერკულოზის გავრცელების შემცირებას 25%-ით; 2012 წლიდან ყურადღება გამახვილდება ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაზე და ისეთი ქრონიკული კონდიციების ეფექტიან პრევენციაზე, როგორებიცაა: დიაბეტი და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა (დიალიზი);
- საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის სტრატეგიის – „ჯანმრთელი საქართველო შენთვის“ ფარგლებში 2012 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია ელექტრონული ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის განვითარება;
- უახლოეს მომავალში შეიქმნება საბაზო სადაზღვევო პაკეტი, რომელშიც შევა როგორც ამბულატორიული მომსახურება, ისე წამლების თანადაფინანსების გაზრდილი სია. ამ სადაზღვევო პაკეტს სახელმწიფო შეიძენს სოციალურად დაუცველებისათვის, ახალშობილთა და 60 წელს გადაცილებულთათვის (როგორც პენსიის დანამატს). მთავრობის მიზანია, ასეთი პაკეტი ამავე პირობებით ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდეს;

10. ურბანული და რეგიონული განვითარება

განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნისათვის

- საქართველოს მთავრობის ამოცანაა, შეამციროს უთანასწორობა ურბანულ და რეგიონულ განვითარებაში, ხელი შეუწყოს განვითარებისა და დასაქმების ცენტრების შექმნას, გააუმჯობესოს მიღწევადობა რეგიონებამდე და რეგიონებს შიგნით, გააუმჯობესოს სოფლების ინფრასტრუქტურა, რათა შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღმა, საქართველოს განვითარება და ეკონომიკური სტრუქტურა გახდეს უფრო დეცენტრალიზებული;
- უახლოეს მომავალში დაიწყება კახეთის რეგიონის განვითარების პროექტი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე დაყრდნობით რეგიონის განვითარების მიზნით სათანადო ინფრასტრუქტურული და ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებას;
- პირველადი ჯანმრთელობის დაცვა სოფლად – სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომზადება გაიარა 2000-მდე სოფლის ექიმმა და 1900 ექთანმა. სახელმწიფოს მიერ გაცემული ფულადი და არაფულადი გრანტების მეშვეობით, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, მოხდა სოფლის ამბულატორიების ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება. საქართველოს სოფლის მოსახლეობა, ფაქტობრივად, სრულადაა მოცული პირველადი ჯანმრთელობის დაცვის უფასო სერვისებით. 2012 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მომსახურების ხარისხზე;
- ადგილობრივი ხელისუფლებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ხორციელდება ადგილობრივი და სასოფლო საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. პრაქტიკულად, ყოველწლიურად 3000 კმ-მდე გზის რეაბილიტაცია ხორციელდება. ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც შენარჩუნებული იქნება;
- სისტემატურად მიმდინარეობს მონიტორინგი მდინარისა და ზღვის სანაპირო ზოლებში ავარიული და რისკფაქტორიანი უბნების გამოვლენის მიზნით. დღეისათვის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 40-მდე ობიექტზე. ნაპირდაცვის უზრუნველყოფის მიზნით მომდევნო წლებშიც გაგრძელდება შესაბამისი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები;
- გასული წლების განმავლობაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1000 კმ-ზე მეტ წყლის მილსადენს, აშენდა გამწმენდი ნაგებობები, მოეწყო რეზერვუარები, საქლორატოროები და ფილტრები. წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორში ჩასატარებელ სამუშაოებზე 2012–2015 წლებში ყოველწლიურად დასაქმდება 20 ათას კაცამდე.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ, რომლის მისაღწევად ძირითადი პრიორიტეტებია:

- ეკონომიკის სტაბილიზაცია და მომდევნო ეტაპზე ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- ინფლაციის დონის შემცირება და ერთნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნება;
- საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება.

მაკროეკონომიკური მიმოხილვა და პროგნოზი

ცხრილი 1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	2.3	-3.8	6.3	6.8	5.0	6.5	7.0	7.0
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	19074.9	17986.0	20743.4	24037.0	26753.2	30201.7	34254.8	38851.8
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	2921.1	2455.2	2623.0	3212.7	3547.3	4004.5	4541.9	5151.5
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში)	10.0	1.7	7.1	8.5	6.0	6.0	6.0	6.0
მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან)	-22.8	-11.3	-11.5	-12.4	-12.3	-10.6	-8.5	-6.1

ა. ეკონომიკური ზრდა

მიმოხილვა

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში განხორციელებული ეკონომიკის სტიმულირების პაკეტის შედეგად 2010 წელს საქართველოს ეკონომიკამ კვლავ აღმასვლა დაიწყო და 2009 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი 6.3 პროცენტით გაიზარდა, ნომინალურად 20.7 მლრდ ლარს გაუტოლდა.

2010 წელს მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის, საფინანსო საქმიანობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის და სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში. ამ დარგებმა მთლიანი შიდა პროდუქტი 4.4 პროცენტით გაზარდეს.

მრეწველობა

2010 წელს მრეწველობის დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 14.9 პროცენტით გაიზარდა. წლის განმავლობაში მრეწველობის დარგის სფეროების განვითარება შემდეგნაირად გამოიყურებოდა: გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოების მოცულობა 20.2 პროცენტით გაიზარდა, სამთომომპოვებელ მრეწველობაში 4.6-პროცენტიანი მატება დაფიქსირდა, ელექტროენერგიის, აირისა და წყალმომარაგების სფერო კი 2.0 პროცენტით გაიზარდა. მრეწველობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში 2009 წელთან შედარებით 1.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მშპ-ის 11.8 პროცენტი შეადგინა.

სოფლის მეურნეობა

2009 წლისგან განსხვავებით, 2010 წელს კლება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში. ამ დარგში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 4.8 პროცენტით შემცირდა. სოფლის მეურნეობის ხარჯზე მთლიანი შიდა პროდუქტი 0.4 პროცენტით შემცირდა.

ვაჭრობა, ტრანსპორტი და საფინანსო საქმიანობა

2010 წელს ყველაზე მეტად გაიზარდა საფინანსო საქმიანობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის და სასტუმროებისა და რესტორნების დარგები. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა:

- საფინანსო საქმიანობაში 14.7 პროცენტით;
- ვაჭრობაში 14.1 პროცენტით;
- სასტუმროებისა და რესტორნების დარგში 13.1 პროცენტით;
- ტრანსპორტში 13.0 პროცენტით.

2011 წლის სამ კვარტალში მშპ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.2 პროცენტით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 17.3 მლრდ ლარი შეადგინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზის კორექტირება და 2011 წლისთვის მშპ-ის ზრდის განახლებული პროგნოზი 6.8 პროცენტს, ხოლო ნომინალური მშპ-ს პროგნოზი - 24.0 მლრდ ლარს შეადგენს.

2011 წლის სამ კვარტალში მშპ-ის ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საფინანსო საქმიანობის, მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის დარგებმა. ამ დარგებმა განაპირობეს მშპ-ის 2.6 პროცენტით ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო ზრდის 43.5 პროცენტს შეადგენს.

2011 წლის იანვარ-სექტემბერში, 2010 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობის ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა საფინანსო საქმიანობის, სასტუმროებისა და რესტორნების, მრეწველობის ვაჭრობის და ტრანსპორტის დარგებში. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა: საფინანსო საქმიანობაში 25.9 პროცენტით, სასტუმროების

და რესტორნებში 10.9 პროცენტით, მრეწველობაში 9.6 პროცენტით, კავშირგაბმულობაში 8.6 პროცენტით, ვაჭრობაში 7.4 პროცენტით და ტრანსპორტში 7.0 პროცენტით.

პროგნოზი

მთლიანი შიდა პროდუქტი

2011 წელს მოსალოდნელია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის 6.8 პროცენტიანი ზრდა, რომელიც ნომინალურად 24.0 მლრდ ლარს გადააჭარბებს. პროგნოზული გათვლებით, საშუალოვადიან პერიოდში (2012–2015 წლებში) მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი სავარაუდოდ 6-7 პროცენტის ფარგლებში იქნება.



ინვესტიციები და სამომხმარებლო ხარჯები

2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, მოსალოდნელია კერძო ინვესტიციების ნომინალური მოცულობის ზრდა, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 23.4 პროცენტს მიაღწევს. შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში კერძო ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია ექნება და 2015 წლისთვის სავარაუდოდ მთლიანი შიდა პროდუქტის 30.2 პროცენტს შეადგენს.

ბ. საგარეო სექტორი

მიმოხილვა

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

ეროვნული ბანკის ინფორმაციით 2010 წელს 2009 წელთან შედარებით მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო გაიზარდა და 1 336.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 11.5 პროცენტია. 2009 წლისათვის ანალოგიური მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 11.3 პროცენტს შეადგენდა.

სავაჭრო ბრუნვა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2010 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6 731 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 19 პროცენტით აღემატება. სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტი შეადგენს 1 575 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 39%-ით), ხოლო იმპორტი – 5 156 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 15%-ით).

2010 წელს, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 16.4 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე 10.8 პროცენტით აზერბაიჯანია, მომდევნო ადგილებს იკავებენ უკრაინა (9.9%), გერმანია (5.4%), ჩინეთი (5.4%) და ამერიკის შეერთებული შტატები (5.3%).

ექსპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი აზერბაიჯანს უჭირავს. ამ ქვეყნის წილად მოდის მთლიანი ექსპორტის 15.4 პროცენტი. მეორე ადგილზე 13.6 პროცენტით თურქეთია, მესამეზე – 11.4 პროცენტით ამერიკის შეერთებული შტატები, მეოთხეზე – 10.1 პროცენტით სომხეთი, ხოლო მეხუთეზე – 6.5 პროცენტით უკრაინა.

იმპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან იმპორტში 17.2 პროცენტია. მეორე ადგილი 10.9 პროცენტით უკრაინას უკავია, ხოლო მესამე – 9.4 პროცენტით აზერბაიჯანს.

2010 წელს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 16.8 პროცენტით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (14.4%), შავი ლითონების ჯართი (6.9%), ნახევრადდამუშავებული ოქრო (5.4%) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე 13.5 პროცენტით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ნაწილი შემდგომში გადის ექსპორტზე (6.0%), სამკურნალო საშუალებები (3.7%), ხორბალი (3.4 %).

2011 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წელთან შედარებით 35.5 პროცენტით გაიზარდა და 9 247 მლნ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი 2 189 მლნ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 7 058 მლნ დოლარი, რაც, შესაბამისად, 39 პროცენტით და 34.5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2011 წლის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 16.2 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი 11.2 პროცენტით, უკრაინა 9.2 პროცენტით და აშ.

ექსპორტში პირველ ადგილზე 19.5 პროცენტით აზერბაიჯანია, მეორეზე – 10.4 პროცენტით თურქეთი, მესამეზე – 10.2 პროცენტით სომხეთი და აშ. იმპორტში პირველი ადგილი 18.0 პროცენტით თურქეთს უჭირავს, შემდეგ მოდიან 10.0 პროცენტით უკრაინა, 8.7 პროცენტით აზერბაიჯანი, 7.4 პროცენტით ჩინეთი და აშ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია 20.6 პროცენტით, შემდეგ მოდის: ფეროშენადნობები 11.6 პროცენტით, აზოტოვანი სასუქები 6.6 პროცენტით, კაკალი სხვა 5.9 პროცენტით, შავი ლითონების ჯართი 5.3 პროცენტით და აშ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია მთლიან იმპორტში 12.9 პროცენტული წილით. შემდეგ მოდის: მსუბუქი ავტომობილები 7.2 პროცენტით, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 3.4 პროცენტით და აშ.

პროგნოზი

სავაჭრო ბრუნვა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

2011 წელს 2010 წელთან შედარებით მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 0.9 პროცენტით გაიზრდება. საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა. პროგნოზული გათვლებით, 2012–2015 წლებში ექსპორტის ზრდის ტემპები გადააჭარბებს იმპორტის ზრდის ტემპებს და 2013 წლიდან მნიშვნელოვან შემცირებას დაიწყებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელი. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2012 წლისათვის 12.3 პროცენტის, ხოლო 2013 წლისათვის კი 10.6 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი. გარეგანი შოკების არარსებობის შემთხვევაში, შემდგომ წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს შემცირების ტენდენცია ექნება და 2015 წლისათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელის მნიშვნელობა სავარაუდოდ - 6.1 პროცენტის ფარგლებში იქნება.

გ. მონეტარული სექტორი

მიმოხილვა

სამომხმარებლო ფასები

2010 წლის დეკემბერში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 11.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 7.1 პროცენტით მოიმატა.

2010 წლის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ერთმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა ფასების საერთო დონე 9.5 პროცენტით გაზარდა.

2011 წელს წლიურმა ინფლაციამ (დეკემბერი-დეკემბერთან) 2.0 პროცენტი, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 8.5 პროცენტი შეადგინა.

2011 წლის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ხუთმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასები ტრანსპორტმა 1.4%-ით, სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 0.9%-ით და საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია 0.5%-ით გაზარდა, ხოლო კავშირგაბმულობამ და ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ფასების საერთო დონე შესაბამისად 0.3%-ით და 0.2%-ით შეამცირეს.

პროგნოზული შეფასებებით 2012–2015 წლებისათვის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ცვლილება 6–7 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი.

ლარის გაცვლითი კურსი აშშ-ის დოლარის მიმართ

2010 წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი აშშ-ის დოლარის მიმართ უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა. 2010 წლის ბოლოს ლარის საშუალო თვიური კურსი 5.0 პროცენტით შემცირდა და 1.763 ლარი/აშშ-ის დოლარის დონეზე დაფიქსირდა. ლარის საშუალო წლიური კურსი კი 6.7 პროცენტით შემცირდა და 1.78 ლარი/აშშ-ის დოლარის დონეზე დაფიქსირდა.

2011 წელს ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა. 2011 წლის ბოლოს ლარის საშუალო თვიური კურსი 5.8 პროცენტით გამყარდა და 1.66 ლარი/აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა. ლარის საშუალო წლიური კურსი კი 5.4 პროცენტით გამყარდა და 1.69 ლარი/აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.

ფულის მასა

ეროვნული ბანკის მონაცემებით 2010 წელს წინა წელთა შედარებით სარეზერვო ფულის მასა 11.0 პროცენტით გაიზარდა და 2 081.1 მლნ ლარი შეადგინა. მონეტარული აგრეგატი M3-ის მოცულობამ 6 275.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2-ის მოცულობამ – 2 738.6 მლნ ლარი, რაც შესაბამისად, 34.8 და 28.0 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით 2010 წლის ბოლოს წინა წლის დეკემბერთან შედარებით 47.3 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოური ვალუტით 40.5 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად, იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. 2010 წლის დეკემბერში წინა წლის დეკემბერთან შედარებით M3-ის მულტიპლიკატორმა 0.53 პუნქტით მოიმატა და 3.02 შეადგინა, M2-ის მულტიპლიკატორმა კი 0.17 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 1.32-ს გაუტოლდა.

დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 2010 წლის ბოლოს წინა წლის დეკემბერთან შედარებით 1.3 პუნქტით შემცირდა და 72.2 პროცენტს გაუტოლდა.

ეროვნული ბანკის მონაცემებით 2011 წელს წინა წელთან შედარებით სარეზერვო ფულის მასა 39.4 პროცენტით გაიზარდა და 2 901.0 მლნ ლარი შეადგინა. M3 ფართო ფულის აგრეგატის 17.2 პროცენტიან ზრდას ჰქონდა ადგილი და 7 355.6 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, აგრეთვე M2 ფულის მასა 29.5 პროცენტით გაიზარდა და 3 547.2 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2011 წელს დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 54.4 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 7.7 პროცენტით გაიზარდა. 2011 წლის განმავლობაში იცვლება ფულის მულტიპლიკატორებიც, 2011 წლის დეკემბერში 2010 წლის დეკემბერთან შედარებით M3-ს მულტიპლიკატორი 0.48 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2.54 დაფიქსირდა, ხოლო M2-ს მულტიპლიკატორი 0.09 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.22 შეადგინა.

დოლარიზაციის კოეფიციენტი ამავე პერიოდისთვის, 2010 წლის დეკემბერთან შედარებით 7.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა 64.4 პროცენტს გაუტოლდა.

საპროცენტო განაკვეთები

2010 წელს წინა წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 1.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 22.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 3.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 17.6 პროცენტს გაუტოლდა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა დეპოზიტებშიც, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. ასე მაგალითად, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო უცხოურ ვალუტაში 1.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შესაბამისად 10.1 და 7.9 პროცენტი შეადგინა.

2011 წელს წინა წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 22.2 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 2.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.5 პროცენტს გაუტოლდა. ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა დეპოზიტებში, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. ასე მაგალითად, ამ პერიოდში საშუალო საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 1.6 პროცენტული

პუნქტით, ხოლო უცხოურ ვალუტაში 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 11.7 და 8.2 პროცენტი შეადგინა.

პროგნოზი

2011 წელს სამომხმარებლო ფასები 8.5 პროცენტით გაიზარდა. ხოლო პროგნოზული შეფასებებით 2012–2015 წლებისათვის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ცვლილება კი 6.0 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი.

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია ფულის მიმოქცევის სიჩქარის შემცირება როგორც M3-თვის, ისე M2-თვის. ფულის მულტიპლიკატორებისათვის კი ზრდის ტენდეციაა მოსალოდნელი.

დ. დასაქმება და უმუშევრობა

მიმოხილვა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2010 წელს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ 1 628,1 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა 38.0 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო 61.9 პროცენტი კი თვითდასაქმებული. 2010 წელს 2009 წელთან შედარებით უმუშევართა რაოდენობა 0.6 პროცენტით შემცირდა და უმუშევრობის დონემ 16.3 პროცენტი შეადგინა. საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია უმუშევრობის დონის შემცირება. 2011–2015 წლებში უმუშევრობის შემცირება ძირითადად განხორციელდება ეკონომიკური ზრდის ხარჯზე.

ფისკალური პოლიტიკა

2010 წელს 2009 წელთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების წილმა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 1.1 პროცენტული პუნქტით მოიკლო, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

2010 წელს წინა წელთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა მთავრობის ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით და 42.3 პროცენტს გაუტოლდა. მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ მთავრობის ვალის ზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო 2008 წლის ბრიუსელის დონორთა კონფერენციის შემდეგ მიღებული კრედიტების ათვისებასთან, რომლითაც განხორციელდა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რამაც საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად დააჩქარა.

გრძელვადიანი პერიოდისთვის **მთავრობის სტრატეგიაა** ფისკალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;

2012–2015 წლებისთვის *ფისკალური პოლიტიკის ამოცანებია*:

- ხარჯების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორებიცაა სოციალური სფერო, განათლება, სოფლის მეურნეობა, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, უსაფრთხოება და მართლწესრიგი;
- ბიუჯეტის დეფიციტის ეტაპობრივი შემცირება და 2013 წლისთვის 3%-იან ნიშნულამდე ჩამოყვანა;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი სრულყოფა.

ცხრილი 2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები 2010-2015 წლებში

(პროცენტულად მშპ-თან)

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის პროგნოზი	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
შემოსავლები	**28.3%**	**29.0%**	**27.3%**	**26.1%**	**24.7%**	**24.2%**
გადასახადები	**23.5%**	**25.5%**	**24.7%**	**23.8%**	**22.6%**	**22.3%**
გრანტები	**2.3%**	**0.9%**	**0.9%**	**0.6%**	**0.5%**	**0.4%**
სხვა შემოსავლები	**2.5%**	**2.5%**	**1.7%**	**1.7%**	**1.6%**	**1.5%**
ხარჯები	**26.4%**	**24.1%**	**23.9%**	**22.3%**	**20.7%**	**20.0%**
შრომის ანაზღაურება	**5.4%**	**4.7%**	**4.7%**	**4.6%**	**4.3%**	**4.2%**
საქონელი და მომსახურება	**5.5%**	**5.0%**	**4.4%**	**4.3%**	**4.0%**	**3.9%**
პროცენტი	**1.0%**	**1.2%**	**1.3%**	**1.0%**	**1.0%**	**0.9%**
სუბსიდიები	**1.8%**	**1.8%**	**1.6%**	**1.5%**	**1.3%**	**1.2%**
გრანტები	**0.1%**	**0.1%**	**0.1%**	**0.1%**	**0.1%**	**0.1%**
სოციალური უზრუნველყოფა	**7.8%**	**6.9%**	**6.8%**	**7.3%**	**7.0%**	**6.9%**
სხვა ხარჯები	**4.8%**	**4.4%**	**5.0%**	**3.5%**	**3.2%**	**2.8%**
საოპერაციო სალდო	**1.8%**	**4.9%**	**3.4%**	**3.8%**	**3.9%**	**4.3%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**6.4%**	**5.8%**	**5.2%**	**6.0%**	**5.9%**	**5.4%**
ზრდა	**7.4%**	**7.0%**	**5.8%**	**6.3%**	**6.1%**	**5.6%**
კლება	**1.1%**	**1.2%**	**0.5%**	**0.2%**	**0.2%**	**0.2%**
მთლიანი სალდო	**-4.5%**	**-0.9%**	**-1.8%**	**-2.2%**	**-2.0%**	**-1.2%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**1.5%**	**1.4%**	**1.4%**	**-0.5%**	**-0.7%**	**0.1%**
ზრდა	**1.9%**	**1.7%**	**1.5%**	**0.5%**	**0.3%**	**0.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	**0.6%**	**0.4%**	**0.4%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**
სესხები	**1.3%**	**1.4%**	**1.1%**	**0.5%**	**0.3%**	**0.1%**
აქციები და სხვა კაპიტალი	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**
კლება	**0.3%**	**0.3%**	**0.1%**	**1.0%**	**1.0%**	**0.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	**0.0%**	**0.1%**	**0.0%**	**0.9%**	**1.0%**	**0.0%**
სესხები	**0.3%**	**0.2%**	**0.1%**	**0.1%**	**0.1%**	**0.1%**
აქციები და სხვა კაპიტალი	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**
ვალდებულებების ცვლილება	**6.1%**	**2.3%**	**3.2%**	**1.7%**	**1.3%**	**1.3%**
ზრდა	**7.0%**	**3.1%**	**4.0%**	**3.4%**	**2.9%**	**2.2%**
საგარეო	**6.1%**	**2.7%**	**3.6%**	**3.1%**	**2.6%**	**1.9%**
საშინაო	**0.8%**	**0.4%**	**0.4%**	**0.3%**	**0.3%**	**0.3%**
კლება	**0.9%**	**0.7%**	**0.8%**	**1.7%**	**1.6%**	**0.9%**
საგარეო	**0.6%**	**0.5%**	**0.5%**	**1.6%**	**1.5%**	**0.8%**
საშინაო	**0.3%**	**0.3%**	**0.4%**	**0.1%**	**0.1%**	**0.1%**
ბალანსი	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**	**0.0%**

2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

საქართველოს **ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების** სახით 2010 წელს მიღებულია 5 865.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 101.5 პროცენტია. შემოსავლების საერთო მოცულობა გასულ წელთან შედარებით 11.4 პროცენტით გაიზარდა. შემოსავლების საერთო მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 28.3 პროცენტი შეადგინა (ცხრილი 3).

ცხრილი 3. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები

მლნ ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ნაერთი ბიუჯეტი						
	2010					%	
	გეგმა	ფაქტი	+/-	%	მშპ-ს %	2010/2009	საგადასახადო შემოსავლებში გადასახადების წილი
შემოსავლები	**5,777.3**	**5,865.8**	**88.5**	**101.5**	**28.3**	**111.4**	
გადასახადები	**4,821.0**	**4,867.5**	**46.5**	**101.0**	**23.5**	**110.9**	**100.0**
საშემოსავლო გადასახადი	**1,220.0**	**1,202.1**	**-17.9**	**98.5**	**5.8**	**107.4**	**24.7**
მოგების გადასახადი	**515.5**	**575.9**	**60.4**	**111.7**	**2.8**	**111.3**	**11.8**
დამატებული ღირებულების გადასახადი	**2,196.0**	**2,203.1**	**7.1**	**100.3**	**10.6**	**107.4**	**45.3**
აქციზი	**574.0**	**560.8**	**-13.2**	**97.7**	**2.7**	**126.5**	**11.5**
საბაჟო გადასახადი	**70.5**	**70.4**	**-0.1**	**99.8**	**0.3**	**196.0**	**1.4**
ქონების გადასახადი	**190.0**	**191.7**	**1.7**	**100.9**	**0.9**	**119.5**	**3.9**
სხვა გადასახადი	**55.0**	**63.5**	**8.5**	**115.4**	**0.3**	**104.1**	**1.3**
გრანტები	**464.6**	**472.1**	**7.6**	**101.6**	**2.3**	**121.5**	8.0
სხვა შემოსავლები	**491.8**	**526.2**	**34.5**	**107.0**	**2.5**	**108.0**	9.0

ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების სახით მობილიზებულია 4 867.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 821.0 მლნ ლარი) 101.0 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 23.5 პროცენტია, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 202.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 220.0 მლნ ლარი) 98.5 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 5.8 პროცენტია;
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 575.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (515.5 მლნ ლარი) 111.7 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2.8 პროცენტია;
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 203.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 196.0 მლნ ლარი) 100.3 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 10.6 პროცენტია;
- აქციზის სახით მობილიზებულია 560.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (574.0 მლნ ლარი) 97.7 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2.7 პროცენტია;

- იმპორტის (საბაჟო) გადასახადის სახით მობილიზებულია 70.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70.5 მლნ ლარი) 99.8 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 0.3 პროცენტია;
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 191.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (190.0 მლნ ლარი) 100.9 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 0.9 პროცენტია;
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 63.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55.0 მლნ ლარი) 115.4 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 0.3 პროცენტია;

გრანტების სახით მობილიზებულია 472.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (464.6 მლნ ლარი) 101.6 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2.3 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 526.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (491.8 მლნ ლარი) 107.0 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2.5 პროცენტია.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებული იქნა 219.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (207.2 მლნ ლარი) 106.1 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 1.1 პროცენტია.

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებული იქნა 66.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (62.0 მლნ ლარი) 106.8 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 0.3 პროცენტია.

ვალდებულებების ზრდის ხარჯზე 2010 წელს მობილიზებული იქნა 1 447.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 95.7%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 7.0%-ს შეადგენს.

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროს მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ***სოციალური სფერო*** *– 1 278.2 მლნ ლარი;*
- ***განათლება*** *– 504.1 მლნ ლარი;*
- ***ჯანმრთელობის დაცვა*** *– 415.0 მლნ ლარი;*
- ***ენერგეტიკა*** *– 29.7 მლნ ლარი;*
- ***ტრანსპორტი*** *– 546.6 მლნ ლარი;*
- ***დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია*** *– 165.7 მლნ ლარი;*
- ***თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება*** *– 1 503.9 მლნ ლარი.*

– 2010 წლის განმავლობაში განხორციელდა სახელმწიფო პენსიების ზოგიერთი კატეგორიის ზრდა, კერძოდ, გაიზარდა ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია 84 ლარიდან 129 ლარამდე, ხოლო ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია 70 ლარიდან 80 ლარამდე. სახელმწიფო

პენსიების, კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დასაფარად მიმართული იქნა 897.6 მლნ ლარი;

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ბენეფიციარზე მიიმართა 163.0 მლნ ლარამდე;
- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების სახით გაიცა 69.3 მლნ ლარი (228,5 ათასზე მეტი ბენეფიციარი), ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე მიიმართა 33.0 მლნ ლარამდე;
- 2010 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარი, მათ შორის, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა (885.4 ათასამდე ბენეფიციარი), კომპაქტურ დასახლებებში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირები (12.9 ათასამდე ბენეფიციარი), მზრუნველობამოკლებული ბავშვები, სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები, ასევე საჯარო სკოლებისა და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (75.5 ათასამდე ბენეფიციარი) აღნიშნული ბენეფიციარების ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით მიმართული იქნა 165.2 მლნ ლარზე მეტი;
- 2010 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 546.0 მლნ ლარამდე;
- რეგიონებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 58.5 მლნ ლარი;
- მსოფლიო ბანკის (WB) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული იქნა 92.0 მლნ ლარამდე;
- საჯარო სკოლების 3000-მდე პირველკლასელ მოსწავლეს და მათ დამრიგებლებს დაურიგდათ სპეციალური სასწავლო პროგრამით აღჭურვილი „ნეთბუკები“ და პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში სულ მიიმართა 3.1 მლნ ლარამდე;
- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად მიიმართა 180.7 მლნ ლარი;
- ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა შეადგინა 1 086.4 მლნ ლარი;
- სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 358.5 მლნ ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით მიიმართა 13.1 მლნ ლარამდე.

2011 წლის საბიუჯეტო შემოსულობების წინასწარი მაჩვენებლები

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების სახით მობილიზებულია 6 969.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 961.5 მლნ ლარი) 100.1 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 29.0 პროცენტს უტოლდება.

ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების სახით მობილიზებულ იქნა 6 134.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 090.0 მლნ ლარი) 100.7 პროცენტია, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 25.5 პროცენტს შეადგენს, მათ შორის:

- ***საშემოსავლო გადასახადის*** სახით მობილიზებულ იქნა 1 551.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 513.0 მლნ ლარი) 102.5 პროცენტია (მთლიანი შიდა პროდუქტის 6.5%);

- ***მოგების გადასახადის*** სახით მობილიზებულ იქნა 832.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (835.0 მლნ ლარი) 99.7 პროცენტია (მთლიანი შიდა პროდუქტის 3.5%);
- ***დამატებული ღირებულების გადასახადის*** სახით მობილიზებული იქნა 2 784.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 786.0 მლნ ლარი) 99.9 პროცენტია (მთლიანი შიდა პროდუქტის 11.6%);
- ***აქციზის*** სახით მობილიზებული იქნა 615.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (621.0 მლნ ლარი) რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 99.1 პროცენტია (მთლიანი შიდა პროდუქტის 2.6%);
- ***იმპორტის გადასახადის*** სახით მობილიზებულ იქნა 93.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (*92.0* მლნ ლარი) 101.3 პროცენტია (მთლიანი შიდა პროდუქტის 0.4%);
- ***ქონების გადასახადის*** სახით მობილიზებულ იქნა 220.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (204.0 მლნ ლარი) 108.0 პროცენტია (მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 0.9%);
- ***სხვა გადასახადის*** სახით მობილიზებულ იქნა 38.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (39.0 მლნ ლარი) 98.5 პროცენტია (მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 0.2%);

გრანტების *სახით მობილიზებულ იქნა 225.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (306.6 მლნ ლარი) 73.5 პროცენტია, ხოლო* მთლიანი შიდა პროდუქტის *მიმართ 0.9 პროცენტის ფარგლებში;*

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულ იქნა 608.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (565.0 მლნ ლარი) 107.8 პროცენტია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2.5 პროცენტს შეადგენს;

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 283.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (240.0 მლნ ლარი) 118.3 პროცენტია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 1.2 პროცენტია.

ფინანსური აქტივების კლებით მობილიზებულ იქნა 50.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (60.0 მლნ ლარი) 84 პროცენტია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.3 პროცენტია.

ვალდებულებების ზრდის მოცულობა განისაზღვრა 735.4 მლნ ლარით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 3.1%-ია. აღნიშნულში აღრიცხულია 2011 წლის აპრილში ევრობონდებთან დაკავშირებული ტრანზაქციებიდან „ვალდებულების ზრდის“ მუხლით მიღებული წმინდა შემოსულობები 77.0 მლნ ლარზე მეტი. (2011 წელს სახელმწიფო საგარეო ფასიანი ქაღალდების (ევრობონდები) გამოშვებიდან მიღებული იქნა 491.2 მლნ აშშ-ის დოლარის ღირებულების შემოსულობები, რომლიდანაც 435.3 მლნ აშშ-ის დოლარზე მეტი მიიმართა 2008 წელს გამოშვებული სახელმწიფო საგარეო ფასიანი ქაღალდების (ევრობონდების) რეფინანსირებაზე).

2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროს მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ***სოციალური სფერო*** *– 1 445.6 მლნ ლარი;*

- ***განათლება*** *– 564.9 მლნ ლარი;*
- ***ჯანმრთელობის დაცვა*** *– 362.5 მლნ ლარი;*
- ***ენერგეტიკა*** *– 57.6 მლნ ლარი;*
- ***ტრანსპორტი*** *– 591.7 მლნ ლარი;*
- ***დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია*** *– 156.5 მლნ ლარი;*
- ***თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება*** *– 1 559.1 მლნ ლარი.*

– 2011 წლის (სექტემბრიდან) გაიზარდა საპენსიო ასაკის საფუძვლით და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დანიშნული პენსია 20 ლარით და მთლიანობაში საპენსიო უზრუნველყოფისათვის მიიმართა 987.3 მლნ ლარი;
– 2011 წელს შესაბამისი ბენეფიციარების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფისათვის მიიმართა 220.3 მლნ ლარი;
– მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფის მიზნით, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარზე 2011 წელს მიიმართა 121.0 მლნ ლარზე მეტი;
– 2011 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის მიიმართა 580.0 მლნ ლარზე მეტი;
– ურბანული და რეგიონული წყალმომარაგებისა და წყალარინების გაუმჯობესებისათვის და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მიიმართა 168.0 მლნ ლარზე მეტი;
– სხვადასხვა რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიიმართა 452.7 მლნ ლარი; ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 40.0 მლნ ლარი;
– პირველკლასელი და წარჩინებული მოსწავლეების და მათი დამრიგებლების სპეციალური სასწავლო პროგრამით აღჭურვილი „ნეთბუკებით“ უზრუნველყოფისათვის 2011 წელს მიიმართა 25.0 მლნ ლარამდე;
– რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით მიიმართა 50.0 მლნ ლარამდე, რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებზე 17.0 მლნ ლარამდე;
– იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის მიიმართა 72.5 მლნ ლარამდე;
– სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაციის დასაფინანსებლად მიიმართა 11.0 მლნ ლარამდე;
– საგანმანთლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის მიიმართა 37.0 მლნ ლარზე მეტი;
– მოსახლეობის ელექტროენერგიისა და სურსათის ვაუჩერებით უზრუნველყოფისათვის მიიმართა 62.0 მლნ ლარამდე;
– საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად მიიმართა 197.0 მლნ ლარამდე;
– სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე მიიმართა 40.0 მლნ ლარამდე;

2012–2015 წლების შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებული იქნა ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული შესაძლო შედეგები. პროგნოზული გათვლებით, 2012–2015 წლებში, ზრდის ტენდენცია ექნება ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას. 2012 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მთლიანი შიდა პროდუქტთან ფარდობის მაჩვენებელი 27.3 პროცენტს მიაღწევს, ხოლო გადასახადების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 24.7 პროცენტს გაუტოლდება.

2012 წელს ნაერთი ბიუჯეტის ***სხვა შემოსავლების*** წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 1.7 პროცენტს გაუტოლდება, ხოლო 2012 წელს ნაერთი ბიუჯეტის ***არაფინანსური და ფინანსური აქტივების*** რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტთან მიმართებით, შესაბამისად, 0.5 და 0.1 პროცენტამდეა ნავარაუდევი.

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2010 წლის ფაქტი			2011 წლის წინასწარი			2012 წლის პროგნოზი			2013 წლის პროგნოზი			2014 წლის პროგნოზი			2015 წლის პროგნოზი		
	ნაღური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაღური ბიუჯეტი	ნაღური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაღური ბიუჯეტი	ნაღური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაღური ბიუჯეტი	ნაღური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაღური ბიუჯეტი	ნაღური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაღური ბიუჯეტი	ნაღური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაღური ბიუჯეტი
შემოსავლები	**5,865.8**	**5,421.4**	**1,530.8**	**6,969.3**	**6,444.3**	**1,632.1**	**7,310.4**	**6,839.4**	**1,642.1**	**7,888.0**	**7,401.0**	**1,687.0**	**8,446.0**	**7,950.0**	**1,726.0**	**9,410.0**	**8,884.0**	**1,806.0**
გადასახადები	4,867.4	4,592.3	275.1	6,134.8	5,802.0	332.8	6,621.0	6,300.0	321.0	7,198.0	6,871.0	327.0	7,726.0	7,405.0	321.0	8,660.0	8,324.0	336.0
გრანტები	472.1	471.4	1,087.1	225.6	225.1	1,104.8	239.4	239.4	1,171.1	190.0	190.0	1,200.0	170.0	170.0	1,230.0	150.0	150.0	1,280.0
სხვა შემოსავლები	526.3	357.7	168.6	608.9	417.2	194.5	450.0	300.0	150.0	500.0	340.0	160.0	550.0	375.0	175.0	600.0	410.0	190.0
ხარჯები	**5,483.0**	**5,466.5**	**1,102.9**	**5,788.5**	**5,825.8**	**1,069.9**	**6,393.2**	**6,554.3**	**1,010.0**	**6,734.0**	**6,869.0**	**1,065.0**	**7,106.0**	**7,221.0**	**1,115.0**	**7,756.0**	**7,871.0**	**1,165.0**
შრომის ანაზღაურება	1,120.2	993.5	126.7	1,136.2	1,012.5	123.7	1,268.4	1,133.4	135.0	1,390.0	1,240.0	150.0	1,460.0	1,290.0	170.0	1,620.0	1,430.0	190.0
საქონელი და მომსახურება	1,138.6	881.6	257.0	1,211.0	989.0	222.0	1,188.8	918.8	270.0	1,300.0	1,000.0	300.0	1,360.0	1,040.0	320.0	1,500.0	1,170.0	330.0
პროცენტი	206.0	200.6	5.4	288.0	282.7	8.1	340.4	335.4	5.0	317.0	312.0	5.0	326.0	321.0	5.0	336.0	331.0	5.0
სუბსიდიები	380.0	196.3	183.7	423.7	194.4	229.3	432.0	212.0	220.0	450.0	220.0	230.0	460.0	220.0	240.0	480.0	230.0	250.0
გრანტები	13.2	1,099.6	0.0	12.9	1,117.0	0.3	14.6	1,185.7	0.0	17.0	1,217.0		20.0	1,250.0		20.0	1,300.0	
სოციალური უზრუნველყოფა	1,623.6	1,481.1	142.5	1,655.4	1,540.9	114.6	1,821.2	1,691.2	130.0	2,200.0	2,070.0	130.0	2,400.0	2,270.0	130.0	2,700.0	2,560.0	140.0
სხვა ხარჯები	1,001.4	613.8	387.6	1,061.3	689.4	371.9	1,327.8	1,077.8	250.0	1,060.0	810.0	250.0	1,080.0	830.0	250.0	1,100.0	850.0	250.0
საოპერაციო სალდო	**382.8**	**-45.1**	**427.9**	**1,180.8**	**618.5**	**562.2**	**917.2**	**285.1**	**632.1**	**1,154.0**	**532.0**	**622.0**	**1,340.0**	**729.0**	**611.0**	**1,654.0**	**1,013.0**	**641.0**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**1,320.4**	**873.5**	**446.9**	**1,391.5**	**849.3**	**542.2**	**1,401.1**	**742.2**	**658.9**	**1,821.0**	**1,199.0**	**622.0**	**2,024.0**	**1,413.0**	**611.0**	**2,113.0**	**1,472.0**	**641.0**
ზრდა	1,540.3	1,020.3	520.0	1,675.3	1,039.1	636.2	1,541.1	812.2	728.9	1,891.0	1,249.0	642.0	2,094.0	1,463.0	631.0	2,183.0	1,522.0	661.0
კლება	219.9	146.8	73.1	283.8	189.8	94.0	140.0	70.0	70.0	70.0	50.0	20.0	70.0	50.0	20.0	70.0	50.0	20.0
მთლიანი სალდო	**-937.6**	**-918.6**	**-19.0**	**-210.7**	**-230.8**	**20.0**	**-483.9**	**-457.1**	**-26.8**	**-667.0**	**-667.0**	**0.0**	**-684.0**	**-684.0**	**0.0**	**-459.0**	**-459.0**	**0.0**

	2010 წლის ფაქტი			2011 წლის წინასწარი			2012 წლის პროგნოზი			2013 წლის პროგნოზი			2014 წლის პროგნოზი			2015 წლის პროგნოზი		
დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი	ნაერთი ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	ტერიტორიული ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	**317.9**	**357.5**	**13.5**	**347.1**	**337.7**	**93.1**	**363.7**	**394.5**	**0.0**	**-150.0**	**-150.0**	**0.0**	**-250.0**	**-250.0**	**0.0**	**30.0**	**30.0**	**0.0**
ზრდა	384.1	**423.4**	**13.8**	**420.2**	**429.9**	**95.5**	**398.2**	**429.0**	**0.0**	150.0	**150.0**	**0.0**	100.0	**100.0**	**0.0**	50.0	**50.0**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	*119.0*	*109.1*	*9.9*	*92.7*		*92.7*	*100.0*	*100.0*		*0.0*			*0.0*			*0.0*		
სესხები	*265.1*	*314.3*	*3.9*	*327.5*	*429.9*	*2.8*	*298.2*	*329.0*		*150.0*	*150.0*		*100.0*	*100.0*		*50.0*	*50.0*	
აქციები და სხვა კაპიტალი	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*	*0.0*		*0.0*			*0.0*			*0.0*		
კლება	66.2	65.9	0.3	73.1	92.2	2.4	34.5	34.5	0.0	300.0	300.0	0.0	350.0	350.0	0.0	20.0	20.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	*0.0*			*22.7*	*22.7*	*0.0*	*0.0*			*280.0*	*280.0*		*330.0*	*330.0*		*0.0*		
სესხები	*66.0*	*65.9*	*0.1*	*48.5*	*69.4*	*0.6*	*34.5*	*34.5*		*20.0*	*20.0*		*20.0*	*20.0*		*20.0*	*20.0*	
აქციები და სხვა კაპიტალი	*0.2*		*0.2*	*1.9*	*0.1*	*1.8*	*0.0*			*0.0*			*0.0*			*0.0*		
ვალდებულებების ცვლილება	**1,255.5**	**1,276.1**	**32.5**	**557.9**	**568.5**	**73.0**	**847.6**	**851.6**	**26.8**	**517.0**	**517.0**	**0.0**	**434.0**	**434.0**	**0.0**	**489.0**	**489.0**	**0.0**
ზრდა	1,447.4	1,447.4	53.1	735.4	734.9	105.7	1,071.0	1,071.0	30.8	1,034.0	1,034.0	0.0	984.0	984.0	0.0	844.0	844.0	0.0
საგარეო	*1,275.5*	*1,275.5*		*644.2*	*644.2*		*971.0*	*971.0*	*0.0*	*934.0*	*934.0*		*884.0*	*884.0*		*744.0*	*744.0*	
საშინაო	*171.9*	*171.9*	*53.1*	*91.2*	*90.7*	*105.7*	*100.0*	*100.0*	*30.8*	*100.0*	*100.0*		*100.0*	*100.0*		*100.0*	*100.0*	
კლება	191.9	171.3	20.6	177.5	166.4	32.7	223.4	219.4	4.0	517.0	517.0	0.0	550.0	550.0	0.0	355.0	355.0	0.0
საგარეო	*122.9*	*122.9*		*110.8*	*110.8*	*0.0*	*120.9*	*120.9*		*482.0*	*482.0*		*515.0*	*515.0*		*320.0*	*320.0*	
საშინაო	*69.0*	*48.4*	*20.6*	*66.7*	*55.6*	*32.7*	*102.5*	*98.5*	*4.0*	*35.0*	*35.0*		*35.0*	*35.0*		*35.0*	*35.0*	
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების დასაქმებულთა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები 2012–2015 წლებისათვის

დასახელება	2012 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა რიცხოვნობა	2012 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში)	2013 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში)	2014 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში)	2015 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში)
საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	1,414	40,127.7	42,134.0	44,241.0	46,451.0
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	183	14,160.0	14,160.0	14,160.0	14,160.0
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	38	24,784.0	21,800.0	22,000.0	22,000.0
საქართველოს მთავრობის კანცელარია	215	10,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0
საქართველოს კონტროლის პალატა	350	10,800.0	11,880.0	12,474.0	13,100.0
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	502	41,685.0	42,000.0	42,000.0	14,000.0
მათ შორის, არჩევნების ღონისძიებების დაფინანსება		*26,880.6*	*27,000.0*	*27,000.0*	
მათ შორის, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება		*4,736.0*	*4,736.0*	*4,736.0*	*4,736.0*
მათ შორის, პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა		*2,368.0*	*2,368.0*	*2,368.0*	*2,368.0*
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	109	2,615.0	2,800.0	3,200.0	3,500.0
საქართველოს უზენაესი სასამართლო	180	5,300.0	5,700.0	6,000.0	6,500.0
საერთო სასამართლოები	1,660	34,900.0	35,000.0	36,000.0	37,000.0
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	61	1,075.0	1,100.0	1,150.0	1,200.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში	53	1,151.5	1,160.0	1,160.0	1,160.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	46	731.5	740.0	740.0	740.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში	53	951.5	960.0	960.0	960.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	53	971.5	980.0	980.0	980.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	46	731.5	740.0	740.0	740.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	46	716.5	720.0	720.0	720.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	46	756.5	760.0	760.0	760.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში	53	1,081.5	1,090.0	1,090.0	1,090.0
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და	46	771.5	780.0	780.0	780.0

დასახელება	2012 წლის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა რიცხოვნობა	2012 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში)	2013 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში)	2014 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში)	2015 წლის ზღვრული მოცულობა (ათას ლარებში)
ხაშურის მუნიციპალიტეტებში					
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	41	2,000.0	2,100.0	2,100.0	2,200.0
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	20	850.0	900.0	900.0	1,000.0
რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	30	1,350.0	1,400.0	1,450.0	1,500.0
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	4,415	110,000.0	105,000.0	100,000.0	100,000.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	815	67,038.7	67,895.0	69,885.0	71,885.0
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	351	190,315.2	213,000.0	210,000.0	210,000.0
მათ შორის, საგზაო და მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის		132,290.0	158,000.0	*155,000.0*	*155,000.0*
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	1,634	74,000.0	40,000.0	40,000.0	40,000.0
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	4,966	120,000.0	140,000.0	150,000.0	160,000.0
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	591	76,000.0	77,000.0	78,000.0	80,000.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	42,502	675,700.0	700,000.0	730,000.0	750,000.0
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	28,533	585,200.0	585,000.0	585,000.0	585,000.0
საქართველოს დაზვერვის სამსახური	160	5,000.0	5,000.0	5,500.0	5,500.0
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2,062	595,000.0	660,000.0	740,000.0	800,000.0
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	418	81,500.0	85,000.0	85,000.0	90,000.0
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	172	33,000.0	40,000.0	45,000.0	50,000.0
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,175	1,768,000.0	2,000,000.0	2,260,000.0	2,560,000.0
საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	129	9,100.0	9,100.0	9,100.0	9,100.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	603	109,398.5	140,000.0	170,000.0	200,000.0
საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო	841	9,135.0	13,000.0	17,000.0	20,000.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	91	50,000.0	55,000.0	60,000.0	65,000.0
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	3,550	47,000.0	47,000.0	47,000.0	47,000.0
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	71	1,750.0	1,800.0	1,900.0	2,000.0
სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	53	49,600.0	50,000.0	55,000.0	60,000.0
სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	59	680.0	1,000.0	2,000.0	3,500.0
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	103	7,840.0	7,840.0	7,840.0	7,840.0
საქართველოს საპატრიარქო	0	22,800.0	22,800.0	22,800.0	22,800.0
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	315	4,000.0	3,500.0	3,500.0	3,000.0
სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	149	4,500.0	5,000.0	5,500.0	6,000.0
ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია	14	2,788.0	1,500.0	2,000.0	2,500.0

საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები

საკანონმდებლო საქმიანობა

საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება

აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების განხორციელება, კერძოდ: აუდიტის ჩატარების სტანდარტებისა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, აუდიტორთა ატესტაციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დამტკიცება, აუდიტორთა ატესტაციის ჩატარების დებულების დამტკიცება, აუდიტორთა ატესტაცია, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების დებულების შემუშავება და დამტკიცება, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირება, აუდიტორთა კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნა და სხვა.

საბიბლიოთეკო საქმიანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარი ბიბლიოთეკა, განახორციელებს საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებულ შეგროვებასა და ანალიზს, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო დაცვის კონტროლს, განსაზღვრავს შესაბამისი კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკას.

ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება

სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზა და მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

ახალი სახელმწიფო სიმბოლოების შემოღების შესახებ სახელმწიფოს ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა და დასკვნების მომზადება;

ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკის და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია;

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების სიმბოლოების შექმნა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ხელის შეწყობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ურთიერთობის კოორდინაცია საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასთან და სხვა ინსტიტუტებთან;

შესაბამისი პირობების შექმნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვის უზრუნველსაყოფად და საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს პრეზიდენტის მმართველობის სფეროსთვის მიკუთვნებული სხვა საკითხების რეგულირების ხელშეწყობა.

საჯარო სამსახურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება

საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა;

სახელმწიფო ორგანოთა საკადრო სამსახურების მუშაობის კოორდინაცია;

საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების შესრულების ანალიზი;

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღება, დამუშავება და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ძირითადი ამოცანაა – ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაციის პროცესის გაუმჯობესება. ამ მიზნით მიმდინარეობს „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ უწყებათაშორისი პროცესი, რომლის ფარგლებშიც გაგრძელდება როგორც საგარეო და საშინაო საფრთხეების განსაზღვრა და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტების პაკეტის შექმნა, ისე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი.

პრიორიტეტულია აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მომზადება, რომელიც უკვე არსებულ კონცეპტუალურ და სტრატეგიულ დოკუმენტებს დაეფუძნება.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობის კანცელარია

საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისათვის პირობების შექმნა;

სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზების ხელშეწყობა;

საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება;

საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობის ინფორმაციული და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხთა გადაწყვეტის ხელშეწყობა;

საგადასახადო ომბუდსმენის და მისი აპარატის საქმიანობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

საქართველოს კონტროლის პალატა

საქართველოს კონტროლის პალატის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით;

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით;

გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;

სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

საარჩევნო გარემოს განვითარება

რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვა, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა ასარჩევად საყოველთაო არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა;

არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის მონაწილეთა მიერ თავიანთი კანონიერი უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელების უზრუნველყოფა;

არჩევნების პროცესთან დაკავშირებული სამოქალაქო აქტივობების მხარდაჭერა და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის ამაღლება;

ამომრჩეველთა ინფორმირების ინსტრუმენტების შექმნა, პროფესიული ეთიკის ელემენტების გაძლიერება, სავალდებულო ტრენინგების, სერტიფიცირების, დისტანციური და ელექტრონული სწავლების მეთოდების დანერგვა;

ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების განვითარება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მედიის, სოციალური ქსელებისა და პირდაპირი კავშირების გამოყენება;

საარჩევნო პროცესის დაგეგმვა, არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

არჩევნების ჩატარების ღონისძიებები

ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად;

საარჩევნო სიების მონიტორინგი, არჩევნების ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა, სარეკლამო კამპანიის წარმართვა, მედიამონიტორინგი.

საარჩევნო სისტემების განვითარება და სისტემისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება

საარჩევნო პროცესებისა და რეფორმების ხელშეწყობა;

არჩევნების მონიტორინგის განხორციელება;

დაინტერესებულ პირთა და მოხელეთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე თანაბრად განაწილების (50-50%) და პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა მათ მიერ მისაღები საბაზო დაფინანსების პროპორციულად;

არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემის უზრუნველყოფა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

2012 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის გამჭირვალობისა და საჯაროობის პროცესის გაგრძელება. სასამართლოს აპარატის საქმიანობის სრულყოფის მიზნით დაგეგმილია მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შესაბამისი ღონისძიებებების გატარება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. ის დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

2012 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფისა და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული

მუშაობის გაუმჯობესების გაგრძელება. საქმისწარმოებისა და შიდა დოკუმენტბრუნვის პროგრამის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა. სასამართლოს სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის პერმანენტულად მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს ამ პროცესის მიმართ პასუხისმგებლობის ამაღლებას.

საერთო სასამართლოები

საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ნაფიც მსაჯულთა მიერ. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) ექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ხელი შეუწყოს სასამართლოს მიერ ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია აღნიშნული პროცესის შეუფერხებლად განხორციელება;

საერთო სასამართლოების სისტემაში მიმდინარე სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1) მართლმსაჯულების შეუფერხებლად და ოპერატიულად განხორციელების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსამართლეებისა და მათი დამხმარე პერსონალისათვის მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესების გაგრძელება. ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;

2) საქმის წარმოების ხარისხის ამაღლებისა და სრულყოფის მიზნით საქმის წარმოების მართვის კომპიუტერული პროგრამის შექმნა-დანერგვის დასრულება. საერთო სასამართლოებში საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების ავტომატიზაცია;

3) სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, საჯაროობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა სასამართლო რეფორმის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. სასამართლოების საქმიანობის შესახებ საზოგადოებას ინტენსიურად მიეწოდება ინფორმაცია, როგორც სპიკერ-მოსამართლეების, ასევე სასამართლოთა პრესსამსახურების მიერ. საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების უფრო მეტად ჩართულობის უზრუნველსაყოფად განხორციელდება საგაზეთო პუბლიკაციების მომზადება, სარეკლამო შინაარსის კლიპების მომზადება და გაშვება სხვადასხვა ტელე-მედია საშუალებაში.

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადების პროგრამა ემსახურება მომავალი მოსამართლეების, მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებასა და გადამზადებას. პროგრამის მიზანია სასამართლოს სისტემის დაკომპლექტება მაქსიმალურად კვალიფიციური კადრებით და მუდმივად მიმდინარეობდეს ცოდნისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და საქმეთა განხილვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელშეწყობით გაგრძელდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გაერთიანება და გამსხვილება (დღეს არსებული 40 რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ნაცვლად 25 გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო), სადაც მაღალკვალიფიციური სამოსამართლო კორპუსის პირობებში, შესაძლებელი გახდება საქმეთა განხილვის სპეციალიზაციის დამკვიდრება. ამასთანავე, გაერთიანებულ სასამართლოებში დანიშნული მაგისტრატი მოსამართლეები უზრუნველყოფენ მცირე მნიშვნელობის საქმეთა სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტას;

სასამართლო სისტემის მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული ფუნქციონირებისათვის სასამართლო სისტემაში დაინერგება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და გაგრძელდება მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივად შევსება. შესაბამისად, განხორციელდება საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება, მოსამართლედ გამწესება მოხდება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, ხოლო კვალიფიციური სამოსამართლო კორპუსის განვითარებისათვის დაინერგება სასამართლოს აპარატის მოხელეთა შეფასების სისტემა;

სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მომზადდება საფუძველი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნისათვის და განისაზღვრება მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმები.

სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები

სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინირებულად განახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით წინადადებების მომზადებას, სეზონური სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების სალიკვიდაციო ღონისძიებებში მონაწილეობას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კონტროლს.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით დაგეგმილია ნატო-სთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება და წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება, ნატო-ში ინტეგრაციის დინამიკის შენარჩუნების უზრუნველყოფა და ალიანსთან შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური დიალოგის წარმოება საბოლოო გაწევრიანების მიზნით;

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) წარმატებული განხორციელება;

„ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოსთან პარტნიორობის“ (Eastern Partnership) ფორმატში და „პარტნიორობა მობილურობისათვის“ (Mobility Partnership) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება;

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ, რომელიც შეიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (DCFTA), მოლაპარაკებების დასრულება და მისი განხორციელება;

საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულების ეფექტიანი განხორციელება;

ევროკავშირის დახმარების პროგრამებისა და ინსტრუმენტების სრულფასოვანი და მასშტაბური ამოქმედების ხელშეწყობა.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამშობლოდან სხვადასხვა მიზეზთა გამო გასული მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მათთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და პოპულარიზაცია;

ყოველწლიურად საქართველოში დიასპორის დღის აღნიშვნა და ამ დღისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებებში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართვა;

საზღვარგარეთ ქართული სახლების არეალის გაფართოება;

ბიზნესფორუმების ჩატარება საქართველოში და საზღვარგარეთ, ქართული კომპანიების დიასპორულ ორგანიზაციებთან დაკავშირება, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისთვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება და ქართული დიასპორის კავშირების გამოყენება საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში:

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის რეინტეგრაციის მიზნით შემწყნარებლობის, სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება;

ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობა, ადმინისტრაციული და სხვა სახის საკითხებში დახმარების გაწევა;

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

საქართველოს სამართლებლივ და სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევა და გამყოფი ხაზით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ფინანსების მართვა

მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მართვას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. გასულ პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ძლიერი სტრუქტურა, თუმცა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით აუცილებელია რეფორმების გაგრძელება და სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი განვითარება;

მაკროეკონომიკური პროგნოზირების სრულყოფის შედეგად შესაძლებელი გახდება ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა ისე, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო პრიორიტეტების დაფინანსება და, მეორე მხრივ, შენარჩუნდეს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა;

გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია საბიუჯეტო დეფიციტის ეტაპობრივი შემცირება;

გაგრძელდება მოლაპარაკებები დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რათა შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დასაფინანსებლად დამატებითი რესურსების მოზიდვა ქვეყნისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით;

დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად გაგრძელდება საგარეო სახელმწიფო ვალის კონტროლი. აუცილებელია საგარეო სახელმწიფო ვალის პორტფელმა შეინარჩუნოს ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მდგრადობას როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერიოდებში;

საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციების გათვალისწინებით გაგრძელდება სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას;

საბიუჯეტო სისტემის ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზების შედგენა და მართვა;

განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა. გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება. დაიხვეწება ბიუჯეტის ანგარიშგების ფორმები.

გაგრძელდება რეფორმები საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვის და აღსრულების შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელდება პროგრამული ბიუჯეტის სრულად დანერგვა როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესში;

მუდმივად განხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაცემთა ბაზის განახლება;

გაგრძელდება საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთო მეთოდოლოგიის შემუშავება, ასევე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა;

ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება და სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შემუშავება და დანერგვა;

სხვადასხვა ქვეყანასთან გაგრძელდება მოლაპარაკებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება

საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს განვითარებისათვის, საგადასახადო სისტემის და ადმინისტრირების გამარტივების მიზნით შემუშავდა საგადასახადო პოლიტიკის „ახალი კურსი“. გაგრძელდება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და პროცედურების დახვეწა, გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ელექტრონული მომსახურების განვითარება. საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოებისა და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება;

განხორციელდება GPS სისტემით აღჭურვილ სალარო აპარატებზე გადასვლა. აღნიშნული აპარატები მუდმივ რეჟიმში მიაწვდიან ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაც შეამცირებს ინვენტარიზაციის ჩატარების ან ობიექტების დალუქვის აუცილებლობას;

დაგეგმილია ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის უფრო ფართოდ დანერგვა.

ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის და კორუფციულ გარიგებათა პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის საქმიანობის უსაფრთხოების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში თანამშრომლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე გამოძიების პროცესში თანამედროვე სისტემებისა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროგრამის დანერგვა.

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფის მიზნით საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი საიმედო და ეფექტიანი მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა;

დაგეგმილია საბიუჯეტო პროცესის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა, მხარჯავი დაწესებულებების ბიუჯეტის დაგეგმვის სისტემაში პროგრამული ბიუჯეტირების მხარდაჭერა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაცემთა ბაზის მხარდაჭერა, ფინანსური საინფორმაციო პორტალის შექმნა, სისტემური და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის და მონაცემთა ბაზების ლიცენზიების შესყიდვა, საინფორმაციო სისტემების ინტეგრაცია ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში.

საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება

სამინისტროს სისტემაში პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, თანამდებობრივი ტრენინგების სისტემის დანერგვა და კარიერის განვითარებისკენ მიმართული სასწავლო პროგრამების, სხვა სახის სასწავლო პროექტების განხორციელება. სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი სასერტიფიკაციო და ტრენინგ-პროგრამების შემუშავება-განხორციელება;

სამინისტროს სისტემაში ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დასაქმების ხელშეწყობა. სისტემაში ახალი კადრების დასაქმების აქტიური მექანიზმის ჩამოყალიბება აკადემიის პერსონალური მრჩევლის პროექტის განვითარების გზით. სამინისტროს სისტემაში სტაჟიორების პროგრამების განვითარება;

სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის განვითარებაზე, ასევე სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებაზე მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სასწავლო-შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების, კონსულტირების აქტიური მექანიზმების – ბიზნესსაკონსულტაციო სახლის ჩამოყალიბების გზით;

სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება – სახელმწიფო და კერძო სექტორებში პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფის და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების მართვა

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნა, რომელიც არის ინვესტიციების მოზიდვის საფუძველი და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს;

საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის ხელშემწყობი ინფოკომუნიკაციების და საფოსტო კავშირის სფეროს განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

სამშენებლო სექტორის ლიბერალიზაცია სამშენებლო სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით;

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის შემდგომი განვითარება და სავაჭრო სტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე არსებული სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცება და ახალ სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება;

სახელმწიფო ქონების მოვლა-შენახვა და მისი ეტაპობრივი პრივატიზება.

ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება

ტექნიკურ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფა და არსებული მარეგულირებელი ნორმების დაახლოება ევროპის განვითარებული ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან, აღნიშნულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოების, აკრედიტებული ინსპექციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ზედამხედველობის გაუმჯობესება;

არსებულ ნორმატიულ აქტებში გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სანქციონირების მეთოდებისა და ოდენობების ოპტიმიზაცია და სრულყოფა.

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

ქვეყნისათვის სტრატეგიული სექტორების განვითარებისა და ამ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით სექტორული კვლევების ჩატარება და მათ საფუძველზე კონკრეტული საინვესტიციო წინადადებებისა და პროექტების მომზადება;

პოტენციური უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და მათთვის დახმარების გაწევის მიზნით სხვადასხვა პროექტის განხორციელება, მათ შორის, წინა წლებში შემოსული ინვესტორებისათვის „Aftercare”-ს სისტემის ჩამოყალიბება;

ექსპორტის მოცულობის გასაზრდელად და ახალი ბაზრების ასათვისებლად ბაზრის კვლევა;

ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით ქართული პროდუქტების „Online“-კატალოგის შექმნა, საერთაშორისო მედია საშუალებების მეშვეობით მიზნობრივი საიმიჯო სარეკლამო კამპანიების განხორციელება, საერთაშორისო გამოფენებში, ტრეიდშოუებსა და პროდუქციის წარმოსაჩენ ღონისძიებებში მონაწილეობა;

ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად ბიზნესფორუმების ჩატარება, პროდუქციის გამოფენებისა და „ბიზნესი ბიზნესს“ შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებსა და სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობა;

პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების ხელშეწყობის მიზნით ექსპორტის საინფორმაციო ცენტრის შექმნა და მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრების დაარსება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათი ბიზნესსაქმიანობის გაფართოებისა და ეფექტიანად წარმართვისათვის საინფორმაციო უზრუნველყოფა და კონსულტირება ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

მცირე ბიზნესის ხელშეწყობა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კუთხით;

პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ექსპორტის საკითხებთან მიმართებით.

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება

ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სფეროებში ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვა, საერთაშორისო დონეზე აღიარების მიღწევა;

სსიპ – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მისი ინტეგრაცია მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში, აგრეთვე ტექნიკური აღჭურვის მოდერნიზაცია;

სტანდარტების მონაცემთა ბაზის განახლება და მომსახურების ელექტრონული საშუალებების დანერგვა.

აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება

აკრედიტაციის სისტემის წარმართვა და მისი ჰარმონიზაცია საერთაშორისო ორგანიზაციების EA(European Co-operation for Accreditation), ILAC (International Laboratory Accreditation Cooperation), IAF (International Accreditation Forum) მოთხოვნებთან;

სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო–აკრედიტაციის სააგენტოს აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაცია და საქართველო-ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DC FTA) გაფორმების წინაპირობის შესრულება.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა და ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია;

ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე;

ტურიზმის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება;

მიზნობრივ ბაზარზე პირდაპირი სარეკლამო კამპანიების წარმოება, სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება, პრესტურების და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა, ვებგვერდის განახლება და ოპტიმიზაცია;

საინფორმაციო-საინტერპრეტაციო დაფების დამზადება და რეგიონებში განთავსება;

მსოფლიოში ტურიზმის სფეროში არსებული მოთხოვნების დანერგვა და უცხოურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

ბაქო–თბილისი–ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა–ახალქალაქი–კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია

ყარსი–ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს:

მარაბდიდან კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე, მდებარე კერძო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას და ამ პროცესთან დაკავშირებული მომსახურების გაწევას, შესასყიდი მიწის ნაკვეთების ტექნიკური და იურიდიული ბაზების მომზადებას ნასყიდობის გარიგების გასაფორმებლად, საკუთრების უფლების რეგისტრაციას მყიდველზე, პრობლემური ნაკვეთების იურიდიული და ტექნიკური ბაზების გამართვას და ინდივიდუალური საკომპენსაციო შეთავაზების მომზადებას თანდართული გრაფიკული მონაცემებითა და რუკით;

მიწის შესყიდვისა და მოსავლის კომპენსაციის სახელმძღვანელო პროექტის სავარაუდო აღწერილობისა და სარკინიგზო მაგისტრალის დერეფნის რუკის შექმნას;

სარკინიგზო მაგისტრალის სამშენებლო პროექტში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე ახალქალაქის რკინიგზის სადგურის ტერიტორიისა და ახალქალაქი–კარწახის სამშენებლო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების შესწავლით სამუშაოებს.

საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;

საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში;

ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციითა და პილოტაჟით უზრუნველყოფა;

ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში (Government of the French Republic)

ზემო სვანეთში ტურიზმის განვითარებისა და მესტიის სათხილამურო კურორტად ჩამოყალიბების მიზნით თანამედროვე სათხილამურო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგი;

საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა;

საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე საქართველომ შეიძინა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი. ვინაიდან სატვირთო გადაზიდვების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საავტომობილო გზები წარმოადგენს. საავტომობილო გადაზიდვებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა არსებული გზების რეკონსტრუქციის, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება და ზოგ შემთხვევაში უსაფრთხო, ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა, რითაც გარკვეული ტერიტორიები

გამოთავისუფლდება. აღნიშნული კი ტურიზმის განვითარებისა და ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობის საფუძველი იქნება.

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტებში სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების აღდგენითი სამუშაოების განხორციელება;

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტირება, აღდგენა-რეაბილიტაცია, ასევე, ხიდების, გვირაბების მშენებლობა, არსებული გზების გაგანიერება-მოდერნიზება, ნაპირდაცვითი სამუშაოების წარმოება.

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია

საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისა და ორგანიზაციების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა;

საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია;

მუნიციპალიტეტებში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარებას.

იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა

იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური დაცვის, მათითვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და კონტროლი;

სისხლის სამართლის რეფორმის ტექნიკური მხარდაჭერა სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად;

რეფორმაში ჩართულ უწყებებს, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და მიმდინარე რეფორმის მონიტორინგი;

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის გადახედვა;

სისხლის სამართლის სისტემაში ჩართულ სტრუქტურებს შორის კავშირის ოპტიმიზაცია;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გაუმჯობესება დანაშაულის პრევენციისა და განრიდების პროგრამის გაფართოებით.

გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა

დანაშაულის პრევენცია;

პროკურატურის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების ზრდა.

ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ეროვნული არქივის რეგიონული ოფისების ცენტრალიზაცია, მათი ინფრასტრუქტურის განახლება;

საარქივო ფონდის დაცვა-შენახვის სისტემის გაუმჯობესება;

ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება

სახელმწიფო სტრუქტურის მომსახურების გაუმჯობესებისა და სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების აუცილებლობით და, მეორე მხრივ, მიმდინარე რეფორმებით. აღნიშნული წარმოშობს იმის საჭიროებას, რომ განხორციელდეს თანამშრომელთა გადამზადება, რათა მათ შეძლონ ფუნქციების ეფექტიანად შესრულება.

ელექტრონული მმართველობის განვითარება

გეოგრაფიულად განაწილებული სხვადასხვა საინფორმაციო სისტემის გაერთიანება ერთ სისტემაში და ყველა ელექტრონული სერვისის მიწოდება „ერთი ფანჯრის“ პრინციპით;

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც უკავშირდება საჯარო, სამსახურებრივი, საიდუმლო და სხვა სახის ინფორმაციის გამიჯვნას და გამორიცხავს მონაცემებზე არასანქცირებულ წვდომას.

იუსტიციის სახლების ფარგლებში მომსახურებათა ეფექტიანი განხორციელება და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა

მომხმარებელთა ინფორმაციული საჭიროებების გათვალისწინებით ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა და ამომწურავი ინფორმაციის დროულად გადაცემა;

კონფიდენციალურობის დაცვა და მონაცემთა ბაზის სრული დაცულობა არასანქცირებული შეღწევისაგან ან ბოროტად გამოყენებისაგან;

ყველა ინფორმაციის განახლება რეალურ დროში, ონლაინრეჟიმის გამოყენებით.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

პენიტენციალური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა

საერთაშორისო სტანდარტების პენიტენციალური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია;

სამინისტროს ურთიერთობების კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან და ორგანიზაციასთან, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება, მონაწილეობის მიღება სტრატეგიულ-კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავებაში;

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო საქმიანობის ორგანიზება, რეგულირება და კონტროლი.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა

პატიმრების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და ციხეებში გადატვირთულობის შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებები განაპირობებს ახალი დაწესებულებების აშენებას, არსებულ დაწესებულებებში სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებასა და შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვეტარ-მოწყობილობებით აღჭურვას, თავისუფლებააღკვეთილთათვის საჭიროებისამებრ რბილი ინვენტარის შესყიდვას, რიგი დაწესებულების სამზარეულოებისა და სასადილო ოთახების გარემონტებას და სამზარეულო ინვეტარით აღჭურვას.

პატიმართა ოჯახთან ურთიერთობის უფლების გამოყენება მოითხოვს ვიდეოპაემნებით სარგებლობის დანერგვას.

თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტიანად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით აშენდება საზოგადოებრივი კონსულტანტის შენობები.

თავისუფლებააღკვეთილთა მიერ განათლების მისაღებად შეიქმნება დისტანციური სწავლების პროგრამა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;

დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილების მიზნით პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია და მათთვის სრულფასოვანი დახმარების გაწევა;

პენიტენციალური სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფა და განვითარებული ქვეყნების ანალოგიური სამსახურების გამოცდილების გაზიარება;

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი საჭიროების მქონე პირთა უფასო იურიდიული სერვისებით უზრუნველყოფა.

პენიტენციალური სისტემისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება

სასჯელაღსრულების სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. „ტრენინგსაჭიროებათა განსაზღვრის სტანდარტული მოდელის“ სამუშაოები დაიწყო წინა წლის ნოემბერ-დეკემბერში. ინდივიდუალური და შუა დონის მენეჯერთა გამოკითხვის შედეგები თანხმდება ზედა დონის მენეჯერებთან და ამის შემდგომ იგეგმება ტრენინგთა ორი ციკლი – გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონები. ტრენინგის პროცესის მენეჯმენტი მოიცავს ტრენერთა შერჩევას სტანდარტების გათვალისწინებით, მოძიებული კანდიდატურების, დაწვრილებითი თემატიკის, ზუსტი მიზნობრივი ჯგუფის, დროის და სწავლების მეთოდის შეთანხმებას სამსახურის უფროსებთან, ტრენინგის მოწყობას და საბოლოო ევოლუციას. „ტრენინგ საჭიროებათა განსაზღვრის ოპერატიული მოდელი“ ჩართული იქნება პროცესში საჭიროებიდან/საკანონმდებლო სიახლეებიდან გამომდინარე.

ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურება და მისი ხარისხი არ უნდა განსხვავდებოდეს სამოქალაქო სექტორში არსებული სამედიცინო მომსახურების სტანდარტებისა და ხარისხისაგან. იმავდროულად, სასჯელაღსრულების სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე რიგ შემთხვევაში საჭიროა სამოქალაქო სტანდარტებს ზემოთ მომსახურება, რადგან საქმე ეხება პატიმრობაში მყოფი პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რაზედაც ვალდებულება სახელმწიფოს აქვს აღებული.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორციელდება პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების, აგრეთვე სტაციონარული მომსახურების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ესენციური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების პროცესის უზრუნველყოფა, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების ფუნქციონირების მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო პოლიტიკის განხორციელება

საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების გატარება, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და დასახული ამოცანების შესრულება;

საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველყოფა, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება;

რუსეთზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება;

ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება;

ნატო-ში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა;

ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და მისი როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პროცესში;

ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის და ოკეანეთის სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება;

სუამისა და ბისეკის ფორმატში რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და კონკრეტული პროექტების განხორციელება;

ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოპოვება, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვა;

უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათთვის შეღავათიანი პირობების შექმნა და სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება.

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;

ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, უწყებათაშორისი კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება;

სასწავლო ცენტრის მსმენელთათვის და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის შექმნა;

თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

მონაწილეობა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შერჩევის, შეფასების, მოტივაციისა და ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვასთან დაკავშირებული სხვა სისტემების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში;

სასწავლო კურსების ჩატარება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში განათლების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობისათვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისთვის კონკრეტული სცენარებისა და ამოცანების მიხედვით სათანადო ხარისხის ინდივიდუალური, ჯგუფური და გაერთიანებული წვრთნების ჩატარება და მათი მუდმივი დახვეწის უზრუნველყოფა.

წვრთნების სიმულაციური სისტემის დანერგვა და განვითარება, აღნიშნულ პროცესში ჩართული პირადი შემადგენლობის მომზადება. აღნიშნული სისტემების ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახალი სიმულაციური მოწყობილობის ინსტრუქტორთა მომზადების გაგრძელება.

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიარაღებული ძალების აღჭურვილობისა და შეიარაღების მოდერნიზაციის გაგრძელება და არსებული ტექნიკის სასიცოცხლო ციკლის შესწავლის სრულყოფა.

შეიარაღებული ძალებისათვის თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

ლოგისტიკური სისტემის ოპტიმიზაცია, მისი მოქნილობის, ეფექტიანობისა და NATO-სთან თავსებადობის ამაღლება.

სამხედრო განათლების განვითარება

საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის აუცილებელი პირობაა ადამიანური რესურსების მართვისა და სამხედრო განათლების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება.

ამ მიზნით განხორციელდება საწყისი და უმაღლესი სამხედრო განათლების სისტემის ჩამოყალიბება/განვითარება.

თავდაცვის სამინისტროს პერსონალისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების შეთავაზება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ასევე შეიარაღებული ძალების თადარიგში მყოფი მოსამსახურეებისათვის სამოქალაქო საზოგადოებაში რეინტეგრაციის ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბება.

ვეტერანთა დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

სამხედრო-სამეცნიერო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება სამხედრო-სამეცნიერო კვლევების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და საქართველოში სამხედრო წარმოების ხელშეწყობის გზით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვა

ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად ხორციელდება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მათი აღჭურვა შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, ასევე მუდმივად ხორციელდება სამინისტროს ავტოპარკის განახლება. მომდევნო წლებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია ზემოაღნიშნული ღონისძიებების გაგრძელება სამინისტროს ინფრასტრუქტურის სრულ რეაბილიტაციამდე და ავტოპარკის მუდმივი განახლებისათვის.

ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვისათვის საჭიროა საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო გეგმების განხორციელება, ახალი კავშირგაბმულობის საშუალებებისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რეგიონალური სამმართველოების, მათი განყოფილებებისა და სასაზღვრო-საემიგრაციო გამშვები პუნქტების მუდმივი და შეუფერხებელი კავშირის გაუმჯობესება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებისათვის საინფორმაციო სისტემების შექმნა, ინოვაციური თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ქსელური უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა, სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოება უწყებებს შორის შეთანხმებული მემორანდუმის შესაბამისად.

ნარკოტიკული საშუალებების, კონტრაბანდული საქონლის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის მაქსიმალურად გასაკონტროლებლად და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოსავლენად და აღსაკვეთად საჭიროა სასაზღვრო სექტორებზე ახალი ადმინისტრაციული შენობების და ახალი სათვალთვალო კოშკურების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია, სასაზღვრო პოლიციის სამმართველოების გაზიფიცირება და სხვა არსებული ინფრასტრუქტურის შეკეთება-

რეაბილიტაცია. გარდა ამისა, საჭიროა სასაზღვრო პოლიციის ყველა ქვედანაყოფის სასაზღვრო სექტორებამდე და სასაზღვრო პოსტებამდე სატრანსპორტო საშუალებებით მიღწევა, რაც გადაწყვეტს პირადი შემადგენლობის უწყვეტი მატერიალური მომარაგების საკითხს. აგრეთვე საზღვრის დაცვისა და კონტროლის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი ქვედანაყოფები აღიჭურვება მაღალი გამავლობის მანქანებით, თანამედროვე ღამის ხედვის ხელსაწყოებით, გადასატანი რადიოსადგურებითა და სხვა თანამედროვე ტექნიკით. ასევე მოდერნიზებული იქნება სწრაფმავალი კატარღები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა მინიმუმამდე შემცირებას.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეინარჩუნოს და გააღრმავოს მიღწეული პროგრესი. დაგეგმილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ტაქტიკურ-ოპერატიული დონის გაძლიერება, პერსონალის უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებით დანაშაულის პრევენციისა და საგამოძიებო პრაქტიკის სტანდარტის ამაღლება, პოლიციის საქმიანობისა და რეფორმების პროცესის მიმდინარეობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საჯარო ინფორმაციის დაუბრკოლებელი გაცემა, დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფარსტრუქტურის გაუმჯობესება და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოში მოქმედი დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების და ეროვნული საგანძურის ობიექტების დაცვა. ამასთანავე, დაცვის ღონისძიებების უკეთ გატარების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და თანამედროვე აპარატურითა და რადიოგადამცემებით აღჭურვა.

სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა

ქვეყნის მასშტაბით სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია შეარჩევს, მოამზადებს და გადაამზადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებს იმ სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებში, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის განსახორციელებლად. სამართალდამცავ ორგანოებში სისხლის სამართლის რეფორმის უკეთ იმპლემენტაციის მიზნით აკადემიაში დაგეგმილია მთელი რიგი ტრენინგი და სემინარი, რომლებიც ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას დაეხმარება. ტესტირებებისა და გასაუბრებების მეთოდით შერჩეული მსმენელები მომზადდებიან სამართალდამცველისათვის საჭირო სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებში, შეისწავლიან უცხოურ ენებს, ხოლო საქართველოში მცხოვრებელი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, რომელთაც სურთ სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობა, დაეუფლებიან ქართულ ენას. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ინტენსიურად გაგრძელდება როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლების გადამზადება, მათ შორის, დაწინაურების მიზნით, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლების მომზადება-გადამზადება.

სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, აკადემიის კორპუსების შეკეთება და ტერიტორიის კეთილმოწყობა. მოხდება აკადემიის ტერიტორიაზე განთავსებული შენობების რეაბილიტაცია და ტერიტორიის კეთილმოწყობა. სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად განახლდება აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა

სამინისტროს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება როგორც თანამშრომელთა პროფილაქტიკური, ისე სხვადასხვა სტაციონარში მათი მკურნალობის ხარჯების დაფარვა, სსიპ – შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურზე მიმაგრებული კონტინგენტის სამკურნალწამლოსაშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონარულ-სანიტარიული მკურნალობა, ავადმყოფთა და დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია. აგრეთვე აღნიშნული კონტინგენტის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების, ყოფა-ცხოვრების, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში ადგილებზე პრაქტიკული და საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამსახურის სამედიცინო პერსონალიდან მობილური საექიმო ბრიგადების ფორმირება.

ჯანმრთელობის დაცვის სამსახური საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და ევაკუაციის ორგანიზებაში.

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა

„საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი განახორციელებს სახელმწიფო რეზერვის მარაგების შექმნას, შენახვასა და მომსახურებას, ასევე მისი აღრიცხვის, გაცემის, დაბრუნების, განახლების ოპერაციების განხორციელებას.

საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება

პროგრამა ითვალისწინებს:

ყოფილი საქართველოს სსრ უშიშროების ორგანოების (ЧК – საგანგებო კომისია, ГПУ – სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, НКВД – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, КГБ – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, МГБ – სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, МВД – შინაგან საქმეთა სამინისტრო) და ყოფილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საარქივო მასალების დამუშავება-დიგიტალიზაციას მათი შემდგომი კვლევისთვის;

დაზიანებული საქმეების გამოვლენას, მათ აღდგენას, რესტავრაციასა და კონსერვაციას;

არქივის მასალების საფუძველზე საერთაშორისო კვლევების ჩატარებას, რათა მოხდეს მათი სამეცნიერო-ისტორიული დამუშავება და შემდგომი პუბლიკაციების გამოცემა.

საქართველოს დაზვერვის სამსახური

საქართველოს დაზვერვის სამსახური არის სპეციალური დანიშნულების დაწესებულება, რომელიც იცავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობას. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, ინფორმაციულ და ეკოლოგიურ სფეროებში, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებია საგარეო საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა, ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების აუცილებელი სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვის, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ და ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროებში გადაწყვეტილებების მისაღებად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, აღნიშნულ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფის უზრუნველყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება;

საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან. საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.

ზოგადი განათლება

ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ინკლუზიური სწავლების გაფართოება;

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფა იმ ფინანსური რესურსებით,

რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს სრულად განახორციელონ მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები;

მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება, ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;

ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;

საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება;

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება.

პროფესიული განათლება

მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა

წარმატებულად განხორციელდება უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები;

უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის თანდათანობით ინტეგრაცია;

პირის მომზადება ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობა და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლა;

გამოცდების ორგანიზება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის რეაბილიტაცია და აღჭურვა, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელება;

სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლების და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დაძლევის მიზნით საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან პერსონალური კომპიუტერით („ნეთ-ბუქებით“), ასევე წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან პერსონალური კომპიუტერებით;

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით განხორციელდება სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია;

ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა;

კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა;

საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალების, გამოფენების ორგანიზება.

ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ

ქვეყნის პოპულარიზაციისა და პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების მიზნით ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც გააღვივებს ინტერესს საქართველოს მიმართ და დაუმკვიდრებს მას სათანადო ადგილს ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ და მიმდინარე კონტექსტში;

სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობა, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრადიციების დაცვა და განვითარება;

ქვეყანაში ხელოვნების პოპულარიზაცია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო- და საბალეტო ხელოვნების, წიგნის ფესტივალების, კონცერტებისა და გამოფენების მოწყობა ხელშეწყობა;

შემოქმედებითი, მათ შორის, ფოლკლორული, კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სხვადასხვა ქვეყანაში გასამართ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

რეგიონების თეატრების გასტროლების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი სადადგმო და ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯების დაფარვა.

სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა

პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობაზე, ისე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერაზე, მათ შორის, სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა, სტუდენტთა და საშემსრულებლო სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების სწავლის ხელშეწყობაზე, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე, პედაგოგთა ხელშეწყობაზე და ა. შ..

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა;

საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;

UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;

დევნილი მოსახლეობის თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე;

რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;

არალეგალური მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;

რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე დევნილების განსაზღვრა, აღნიშნული ქონების შემდგომი პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად.

ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009–2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართობის კერძო საკუთრებაში გადაცემა;

საქართველოში იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა შემდეგი გზით:

ა) კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში არსებულ დევნილთა თემებში (სამიზნე თემი) იძულებით გადაადგილებულ პირებისათვის ხელსაყრელი პირობების გაზრდა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ თემის განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში;

ბ) სამიზნე თემთა ჯგუფებისათვის ძირითადი ინფრასტრუქტურის, მომსახურების, დასაქმებისა და საარსებო ხელსაყრელი პირობების მისაწვდომლობის გაზრდა;

გ) იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდასაჭერად ეროვნული ქმედითობის გაზრდა. თემის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით სამიზნე თემების მობილიზაცია, მიკროპროექტის მართვის სათემო კომიტეტების არჩევა, მთავარი პრიორიტეტის შერჩევა და მიკროპროექტის მომზადება და განხორციელება. თემის მობილიზაციისთვის კონსულტანტების დაქირავება, კონსულტანტების მიერ თემის წევრებისათვის და მიკროპროექტის მართვის კომიტეტის წევრებისათვის სათანადო ტრენინგების ჩატარება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა

თანამედროვე ჯანდაცვის სისტემა ეფუძნება საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვასა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. პროგრამის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება;

საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი;

ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა;

საექიმო, საექთნო და ფარმაცევტული სპეციალობების ნუსხის განსაზღვრა;

სამედიცინო მომსახურების წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი;

სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა

ქვეყანაში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრა, სოციალური რისკების განეიტრალება და ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა ხანდაზმული მოქალაქეებისათვის.

ეფექტიანი, მისამართული და ფინანსურად მდგრადი საპენსიო და სოციალური დახმარებების სისტემის განვითარებით მოწყვლადი ჯგუფების საარსებოდ აუცილებელი ფულადი შემოსავლებით და აუცილებელი სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა

სახელმწიფოს მიერ განხორციელდება სხვადასხვა მეთოდით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება. კერძოდ, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო დაზღვევით, განხორციელდება სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, გადამდები და არაგადამდები დაავადებების და სიცოცხლისთვის საშიში და ძვირადღირებულ/ აუცილებელ მედიკამენტებზე მოსახლეობისთვის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ეფექტიანობის გაზრდის მეშვეობით.

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა

ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის II ეტაპის ფარგლებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების მშენებლობა, რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია და მათი აღჭურვა შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით;

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა უზრუნველყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას;

საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს თანამედროვე სტანდარტების პათოლოგიური ლაბორატორია, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პათოლოგიური ლაბორატორიის გარეშე შეუძლებელია ბევრი დაავადების ზუსტი დიაგნოსტირება და შედეგად, მკურნალობის ხარისხის

უზრუნველყოფა. ადგილობრივად ამ სერვისის არარსებობის გამო საქართველოს მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ არსებულ ლაბორატორიებს მიმართავს, ხოლო ნაწილისთვის ეს მომსახურება საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, შეზღუდულია საქართველოში ამ მიმართულებით სამედიცინო კადრების მომზადებისა და სამეცნიერო კვლევების წარმოების შესაძლებლობაც. პრობლემების აღმოსაფხვრელად, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011–2015 წლების სახელმწიფო სტრატეგია „ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა“ ითვალისწინებს ქვეყანაში პათოლოგიის დარგის ლაბორატორიული სიმძლავრეების შექმნას. პროგრამის ფარგლებში იგეგმება თანამედროვე სტანდარტების პათოლოგიური ლაბორატორიის მშენებლობა და აღჭურვა, რაც გააუმჯობესებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გამოსავლის ხარისხს, ასევე უზრუნველყოფს შესაბამის სერვისებზე მოსახლეობისათვის ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო სიმულაციური სასწავლო ცენტრის მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო კადრების მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს;

პროგრამის ფარგლებში იგეგმება ასევე ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შენობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოების თანადაფინანსება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა

ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და სარგებლობის, ასევე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია;

საქართველოს ენერგეტიკის დარგში და ბუნებრივი რესურსების მართვისა და სარგებლობის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;

ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის დაგეგმვის მიზნით ბუნებრივი რესურსით სარგებლობის ღონისძიებათა პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი განხორციელება, ტყის ფონდის მართვასა და სარგებლობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება.

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგურების, მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელისა და დისპეტჩერული მართვის სისტემის, ბუნებრივი გაზის მაგისტრალური ქსელის რეაბილიტაცია-მშენებლობა. აგრეთვე გაზიფიკაციის პროგრამის ფარგლებში გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია და გაფართოება. მეზობელი სახელმწიფოების ენერგეტიკულ სისტემებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება

განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების (სეთურნის, ჯაღმიანის, ზაქანის, ხადის და კაიშაურნის) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (15 ოქტომბრიდან - 15 მაისამდე).

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა

ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილებით;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისათვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შეძენა და მათი ეფექტიანი გამოყენება;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისცენტრების (მექანიზაციის სერვისცენტრები) დაარსება; ექსტენციის სადგურების/კვლევითი ცენტრების დაფუძნება, სადაც ფერმერებს მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ საკონსულტაციო მომსახურება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;

რეგიონებში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების განახლების ხელშეწყობა;

სალიზინგო კომპანიებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ პირთათვის ხელმისაწვდომი გახდება თანამედროვე ძირითადი საშუალებების შეძენა;

არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია და სათანადო ტექნიკის შეძენა;

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების შექმნა;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაციის გაგრძელება;

ხილისა და ბოსტნეულის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოების სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა;

სასათბურე მეურნეობის რეაბილიტაცია;

მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაცია;

სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების გაცნობა-დათვალიერება და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება.

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა

სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოების ინსპექტირება, სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი და პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა;

განსაკუთრებით საშიში დაავადებების – თურქულის, ჯილეხის, ცოფის – პრევენცია შესაბამისი პროფილაქტიკური ვაქცინაციის ჩატარების გზით, ასევე დაავადებების კონტროლის ეფექტიანი სისტემის უზრუნველსაყოფად ბრუცელოზისა და ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა;

მოსალოდნელი ეკონომიკური ზიანის მინიმიზირების უზრუნველყოფის მიზნით საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება და პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი;

სტრატეგიულ კულტურებში მავნე ორგანიზმების გავრცელების პროგნოზირება და რეკომენდაციების გამოცემა ფერმერთა ზოგადი ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;

ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებებისა და მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება

პროგრამის მიზანია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება და მომხმარებლის დაცვა უხარისხო ღვინოპროდუქციისგან;

ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაცია-კონკურსებისა და გამოფენების მოწყობა; ქართული ღვინის სადეგუსტაციო ცენტრის მოწყობა;

სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება და გამოქვეყნება;

ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;

მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა, რისთვისაც განხორციელდება ფიზიკური პირების მიერ

ღვინის კომპანიებზე ჩაბარებულ თითოეულ კილოგრამ ყურძენზე კომპანიის მიერ გადახდილ საზღაურზე დამატებით, კომპენსაციის სახით, თანხის ანაზღაურება;

ვენახების გამოთავისუფლება ჰიბრიდული და ამორტიზებული ნარგაობებისაგან;

მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა

გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება;

გარემოს მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ორგანიზება, გარემოსდაცვითი კონტროლის გაძლიერება, ეფექტიანი და ქმედითი გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო მართვა;

დაცული ტერიტორიების სისტემის დაფუძნების, ფუნქციონირებისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკის, ქმედებათა კოორდინირებისა და კონტროლის განხორციელება;

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება და დასაბუთებული საექსპერტო დასკვნების მომზადება.

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა

უზრუნველყოფილი იქნება ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით;

განხორციელდება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;

დაგეგმილია უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათი შენარჩუნების მიზნით;

უზრუნველყოფილი იქნება ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით;

ეკოტურიზმის უფრო ფართოდ პოპულარიზაციისათვის დამზადდება და დარიგდება სარეკლამო-საინფორმაციო ბროშურები და ბუკლეტები, გაგრძელდება საეთერო სივრცეში დაცული ტერიტორიების შესახებ რეკლამების განთავსება;

დაგეგმილია ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღსადგენად და შესანარჩუნებლად.

გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია

პროგრამის ფარგლებში იგეგმება გარემოს დაბინძურების კვლევასა და მონიტორინგთან დაკავშირებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენა;

მოსახლეობის დაცვისა და საინჟინრო ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განხორციელდება სტიქიური გეოლოგიური მოვლენების შეფასების რეგიონალური გეომონიტორინგი და სტიქიური პროცესების გააქტიურების პირობებში მისი ოპერატიული შეფასება;

დამუშავდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების ტენდეციებისა და გეოლოგიური გარემოს ცვლილებების გრძელვადიანი საბაზისო პროგნოზი 20–25-წლიანი პერიოდისათვის;

მდინარეების წყლიანობის დადგენის მიზნით, რეგულარულად (წელიწადში 20-25-ჯერ) ჩატარდება წყლის ხარჯების გაზომვის ექსპედიციური სამუშაოები. თოვლის დნობის შედეგად მდინარეებში წყლის დონის მოსალოდნელი ცვლილებების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს მთიან ზონაში (18 მდინარის ხეობებში) იგეგმება თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები;

მომზადდება და დაინტერესებულ პირებს მიეწოდება მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროგნოზები. გავრცელდება მოსალოდნელი საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების/პროცესების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა

ფიზიკური აღზრდისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია;

სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა;

სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაცია, ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება, სპორტის სახეობათა, პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა;

სპორტულ ასოციაციებთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებსა და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა;

სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება;

სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების განვითარებისათვის საჭირო კაპიტალური მშენებლობის, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების წარმოება.

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);

საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება;

ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი, ქალთა და ფუტსალის ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობების შექმნა;

ქართული რაგბის შემდგომი განვითარება და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოჩენა;

ქართული კალათბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საკალათბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია, ეროვნული ნაკრები და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის ყველა საჭირო პირობების შექმნა, შემდგომი წინსვლისათვის ხელის შეწყობა და ყოველმხრივი დახმარება;

საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარება, ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები), საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, „სპორტი ყველასათვის“ პროექტების რეალიზაცია.

ოლიმპიური თამაშებისათვის მეტი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება, საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება-აღდგენა;

საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება;

ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია;

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი-2015-ისთვის“ შესაბამისი სპორტული რეზერვის მომზადება სპორტის 9 სახეობაში.

სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები

საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საწვრთნელი პროცესის წარმართვისათვის ხელის შეწყობა.

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები

სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტიანად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა;

ახალგაზრდა და პოტენციურად მომგებიანი ბიზნეს იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა;

პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი-2012-ის“ ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით;

პროგრამა „პატრიოტის“ ფარგლებში ქალაქ ზუგდიდის დაბა ანაკლიაში, შაორის ტბასთან და მესტიის სოფელ ჰაწვალში არსებულ საერთაშორისო პატრიოტთა ახალგაზრდულ ბანაკებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების თანამდებობის პირების, საქართველოში ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ადმინისტრაციული შენობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან დაცვით უზრუნველყოფა. აღნიშნულის ღონისძიებების ეფექტიანად შესრულების მიზნით მუდმივად განხორციელდება სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და თანამშრომელთა გადამზადება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმური და არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება;

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

თავისუფლების შეზღუდვის ადგილებსა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრების (ბავშვის და ქალის უფლებათა ცენტრი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი) და სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა;

სამოქალაქო განათლების მიზნით სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებებში განთავსება;

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;

ადამიანის უფლებათა თემაზე სხვადასხვა პუბლიკაციის გამოცემა და გავრცელება;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებათა დარღვევის შესახებ შემოსული განცხადების/საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება, შემდგომი განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა.

სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადება და გაშუქების უზრუნველყოფა.

სსიპ –კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სსიპ – კონკურენცისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზანია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების და თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში შესყიდვების პროცედურების კანონიერების ზედამხედველობა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა და ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციასთან დაკავშირებული ბარიერების მოხსნა, მათი ორგანიზაციულ-სამართლებლივი და საკუთრების ფორმების მიუხედავად.

საქართველოს საპატრიარქო

ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით დაფინანსდება საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაცია საქართველოს სხვადასხვა (მათ შორის, მაღალმთიან) რეგიონებში, კერძოდ, სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები.

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა

სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება;

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამების შემუშავება;

სტატისტიკური კვლევების მართვისა და განხორციელების მიზნით საჭირო საკადრო და ადმინისტრაციული რესურსებით უზრუნველყოფა;

სტატისტიკური კვლევების მხარდაჭერა ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით.

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კვლევების მომზადებას, განხორციელებას და შედეგების გავრცელებას;

დაგეგმილია ეროვნული ანგარიშების წარმოებისთვის დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობის განსაზღვრა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა და საინვესტიციო მიკროკლიმატის შეფასება, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნესსექტორში (აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზი, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროებში, კერძო და სახელმწიფო სექტორებში, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა.

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით განხორციელდება საქართველოს თითოეული დასახლების დარაიონება, რომლის მიზანია მოსახლეობის რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა.

შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა

შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა 1996 წლიდან მიმდინარეობს და მისი მიზანია საქართველოს შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შეფასების მიზნით განხორციელდება სიღარიბის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების, ჯანმრთელობის დაცვის სხვა მაჩვენებლების დადგენა.

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევა 2007 წლიდან მიმდინარეობს და მისი მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება. სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევა ამჟამად სოფლის მეურნეობის ოფიციალური სტატისტიკის ერთადერთი წყაროა. კვლევის ერთი რაუნდი, რომელიც მოიცავს საწყის, 3 კვარტალურ და დასკვნით გამოკითხვებს და ტარდება შემთხვევითი პროცედურით შერჩეულ 5000 სასოფლო მეურნეობის უშუალო გამოკითხვის გზით, გაგრძელდება ერთი წლის განმავლობაში.

ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია

ინფექციურ დაავადებათა აღმოჩენა, ეპიდემიოლოგიური დაკვირვება, ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის პათოგენების კვლევა;

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ვეტერინარიისათვის რეფერალური ფუნქციის შესრულება განსაკუთრებით საშიში პათოლოგიების კონსოლიდირებული კოლექციის დაცული საცავის მეშვეობით;

რეგიონში ბიოუსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;

ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელება საქართველოსა და საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების პარტნიორობით;

ლაბორატორიის ადმინისტრაციის მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, სადაც აგრეთვე განთავსდება სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

2012–2015 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ პროგრამებზე მიმართული სახსრები

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2013 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2014 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2015 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	**40,127.7**	**40,127.7**	**42,134.0**	**42,134.0**	**44,241.0**	**44,241.0**	**46,451.0**	**46,451.0**
საკანონმდებლო საქმიანობა	33,900.7	33,900.7	35,596.0	35,596.0	37,376.0	37,376.0	39,244.0	39,244.0
აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	318.0	318.0	334.0	334.0	350.0	350.0	367.0	367.0
საბიბლიოთეკო საქმიანობა	5,509.0	5,509.0	5,784.0	5,784.0	6,074.0	6,074.0	6,377.0	6,377.0
ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	400.0	400.0	420.0	420.0	441.0	441.0	463.0	463.0
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	**14,160.0**	**14,160.0**	**14,160.0**	**14,160.0**	**14,160.0**	**14,160.0**	**14,160.0**	**14,160.0**
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,560.0	13,560.0	13,560.0	13,560.0	13,560.0	13,560.0	13,560.0	13,560.0
საჯარო სამსახურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება	600.0	600.0	600.0	600.0	600.0	600.0	600.0	600.0
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	**24,784.0**	**24,784.0**	**21,800.0**	**21,800.0**	**22,000.0**	**22,000.0**	**22,000.0**	**22,000.0**
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,784.0	1,784.0	1,800.0	1,800.0	1,800.0	1,800.0	1,800.0	1,800.0
ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ღონისძიებები	23,000.0	23,000.0	20,000.0	20,000.0	20,200.0	20,200.0	20,200.0	20,200.0
საქართველოს მთავრობის კანცელარია	**10,000.0**	**10,000.0**	**10,000.0**	**10,000.0**	**10,000.0**	**10,000.0**	**10,000.0**	**10,000.0**
საქართველოს კონტროლის პალატა	**11,387.9**	**10,841.2**	**11,880.0**	**11,880.0**	**12,474.0**	**12,474.0**	**13,100.0**	**13,100.0**
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**41,685.0**	**41,685.0**	**42,000.0**	**42,000.0**	**42,000.0**	**42,000.0**	**14,000.0**	**14,000.0**
საარჩევნო გარემოს განვითარება	7,260.4	7,260.4	7,395.8	7,395.8	7,345.8	7,345.8	6,346.0	6,346.0
არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	26,880.6	26,880.6	27,000.0	27,000.0	27,000.0	27,000.0	0.0	0.0
საარჩევნო სისტემების განვითარება და სისტემისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება	440.0	440.0	500.2	500.2	550.2	550.2	550.0	550.0
პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	7,104.0	7,104.0	7,104.0	7,104.0	7,104.0	7,104.0	7,104.0	7,104.0
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	**2,615.0**	**2,615.0**	**2,800.0**	**2,800.0**	**3,200.0**	**3,200.0**	**3,500.0**	**3,500.0**
საქართველოს უზენაესი სასამართლო	**5,790.0**	**5,545.0**	**5,700.0**	**5,700.0**	**6,000.0**	**6,000.0**	**6,500.0**	**6,500.0**
საერთო სასამართლოები	**34,964.0**	**34,900.0**	**35,064.0**	**35,000.0**	**36,000.0**	**36,000.0**	**37,000.0**	**37,000.0**

დასახელება	2012 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2013 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2014 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2015 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	33,985.6	33,985.6	34,000.0	34,000.0	35,000.0	35,000.0	36,000.0	36,000.0
მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	978.4	914.4	1,064.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	**1,075.0**	**1,075.0**	**1,100.0**	**1,100.0**	**1,150.0**	**1,150.0**	**1,200.0**	**1,200.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში	**1,151.5**	**1,151.5**	**1,160.0**	**1,160.0**	**1,160.0**	**1,160.0**	**1,160.0**	**1,160.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	**731.5**	**731.5**	**740.0**	**740.0**	**740.0**	**740.0**	**740.0**	**740.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში	**951.5**	**951.5**	**960.0**	**960.0**	**960.0**	**960.0**	**960.0**	**960.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	**971.5**	**971.5**	**980.0**	**980.0**	**980.0**	**980.0**	**980.0**	**980.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	**731.5**	**731.5**	**740.0**	**740.0**	**740.0**	**740.0**	**740.0**	**740.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	**716.5**	**716.5**	**720.0**	**720.0**	**720.0**	**720.0**	**720.0**	**720.0**

დასახელება	2012 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2013 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2014 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2015 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	**756.5**	**756.5**	**760.0**	**760.0**	**760.0**	**760.0**	**760.0**	**760.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში	**1,081.5**	**1,081.5**	**1,090.0**	**1,090.0**	**1,090.0**	**1,090.0**	**1,090.0**	**1,090.0**
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	**771.5**	**771.5**	**780.0**	**780.0**	**780.0**	**780.0**	**780.0**	**780.0**
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**2,000.0**	**2,000.0**	**2,100.0**	**2,100.0**	**2,100.0**	**2,100.0**	**2,200.0**	**2,200.0**
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**850.0**	**850.0**	**900.0**	**900.0**	**900.0**	**900.0**	**1,000.0**	**1,000.0**
რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**1,350.0**	**1,350.0**	**1,400.0**	**1,400.0**	**1,450.0**	**1,450.0**	**1,500.0**	**1,500.0**
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	**177,032.8**	**110,104.0**	**176,900.0**	**105,000.0**	**179,250.0**	**100,000.0**	**187,315.0**	**100,000.0**
სახელმწიფო ფინანსების მართვა	49,359.6	47,730.8	41,400.0	41,400.0	39,433.0	39,433.0	38,933.0	38,933.0
შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	106,000.0	41,000.0	112,500.0	41,000.0	116,617.0	37,967.0	124,382.0	37,867.0
ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	15,662.8	15,662.8	16,000.0	16,000.0	16,000.0	16,000.0	16,500.0	16,500.0
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	5,010.4	5,010.4	5,400.0	5,400.0	5,600.0	5,600.0	5,900.0	5,900.0
საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,000.0	700.0	1,600.0	1,200.0	1,600.0	1,000.0	1,600.0	800.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	**140,725.7**	**70,038.7**	**104,395.0**	**77,895.0**	**71,385.0**	**69,885.0**	**73,385.0**	**71,885.0**
ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების	22,695.6	22,695.6	22,625.0	22,625.0	22,655.0	22,655.0	22,705.0	22,705.0

დასახელება	**2012 წელი სულ**	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	**2013 წელი სულ**	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	**2014 წელი სულ**	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	**2015 წელი სულ**	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
მართვა								
ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	684.4	684.4	690.0	690.0	690.0	690.0	690.0	690.0
ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	27,806.3	27,806.3	28,810.0	28,810.0	29,815.0	29,815.0	30,315.0	30,315.0
სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1,832.0	532.0	1,840.0	540.0	1,850.0	550.0	1,850.0	550.0
აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	337.0	150.0	355.0	155.0	400.0	200.0	400.0	200.0
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	11,370.4	11,370.4	12,075.0	12,075.0	12,975.0	12,975.0	14,425.0	14,425.0
ბაქო–თბილისი–ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა–ახალქალაქი–კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია	800.0	800.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0
საფრანგეთის სასაქონლო დახმარება (საფრანგეთი)	53,300.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში (Government of the French Republic)	18,900.0	3,000.0	35,000.0	10,000.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	**960,350.1**	**328,296.4**	**1,000,570.0**	**380,295.0**	**920,040.0**	**290,700.0**	**870,800.0**	**273,850.0**
რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	4,425.2	4,425.2	5,050.0	5,000.0	5,050.0	5,000.0	5,050.0	5,000.0
საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	505,490.0	219,150.0	669,120.0	301,295.0	553,640.0	210,400.0	462,000.0	194,800.0
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	192,942.8	34,250.0	120,000.0	22,200.0	140,000.0	22,200.0	150,000.0	10,000.0
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	161,300.0	36,000.0	106,400.0	21,800.0	111,350.0	23,100.0	133,750.0	34,050.0
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	96,192.1	34,471.2	100,000.0	30,000.0	110,000.0	30,000.0	120,000.0	30,000.0

დასახელება	2012 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2013 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2014 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2015 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	**132,980.0**	**74,000.0**	**79,540.0**	**40,000.0**	**79,470.0**	**40,000.0**	**79,860.0**	**40,000.0**
სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	13,542.0	13,542.0	13,550.0	13,550.0	13,550.0	13,550.0	13,550.0	13,550.0
გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	18,070.0	18,070.0	18,070.0	18,070.0	18,070.0	18,070.0	18,070.0	18,070.0
ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	5,796.0	4,096.0	5,850.0	4,100.0	5,850.0	4,100.0	5,850.0	4,100.0
იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	4,642.0	4,592.0	530.0	440.0	530.0	440.0	530.0	440.0
ელექტრონული მმართველობის განვითარება	3,700.0	3,700.0	3,840.0	3,840.0	3,840.0	3,840.0	3,840.0	3,840.0
იუსტიციის სახლების ფარგლებში მომსახურებათა ეფექტიანი განხორციელება და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა	87,230.0	30,000.0	37,700.0	0.0	37,630.0	0.0	38,020.0	0.0
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	**122,400.0**	**120,000.0**	**140,000.0**	**140,000.0**	**150,000.0**	**150,000.0**	**160,000.0**	**160,000.0**
პენიტენციალური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	3,287.5	3,287.5	3,600.0	3,600.0	3,600.0	3,600.0	3,600.0	3,600.0
სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა	111,141.1	108,741.1	125,400.0	125,400.0	134,400.0	134,400.0	143,400.0	143,400.0
პენიტენციალური სისტემისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება	960.0	960.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში	7,011.4	7,011.4	10,000.0	10,000.0	11,000.0	11,000.0	12,000.0	12,000.0
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	**76,000.0**	**76,000.0**	**77,057.0**	**77,000.0**	**78,060.0**	**78,000.0**	**80,062.0**	**80,000.0**
საგარეო პოლიტიკის განხორციელება	75,781.6	75,781.6	76,838.6	76,781.6	77,841.6	77,781.6	79,843.6	79,781.6
მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	218.4	218.4	218.4	218.4	218.4	218.4	218.4	218.4
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	**675,700.0**	**675,700.0**	**700,000.0**	**700,000.0**	**730,000.0**	**730,000.0**	**750,000.0**	**750,000.0**

დასახელება	2012 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2013 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2014 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2015 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება	626,981.1	626,981.1	649,409.1	649,409.1	678,612.1	678,612.1	697,815.2	697,815.2
სამხედრო განათლების განვითარება	19,799.6	19,799.6	20,265.2	20,265.2	20,820.4	20,820.4	21,375.5	21,375.5
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7,806.6	7,806.6	8,825.7	8,825.7	9,067.5	9,067.5	9,309.3	9,309.3
თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	21,112.7	21,112.7	21,500.0	21,500.0	21,500.0	21,500.0	21,500.0	21,500.0
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	**664,663.0**	**585,200.0**	**669,703.0**	**585,000.0**	**674,703.0**	**585,000.0**	**679,703.0**	**585,000.0**
საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვა	565,202.8	565,202.8	565,002.8	565,002.8	565,002.8	565,002.8	565,002.8	565,002.8
ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება	90,708.2	11,948.2	95,948.2	11,948.2	100,948.2	11,948.2	105,948.2	11,948.2
სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა	5,194.1	4,591.1	5,194.1	4,591.1	5,194.1	4,591.1	5,194.1	4,591.1
შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	2,964.0	2,864.0	2,964.0	2,864.0	2,964.0	2,864.0	2,964.0	2,864.0
სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	277.6	277.6	277.6	277.6	277.6	277.6	277.6	277.6
საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	316.3	316.3	316.3	316.3	316.3	316.3	316.3	316.3
საქართველოს დაზვერვის სამსახური	**5,000.0**	**5,000.0**	**5,000.0**	**5,000.0**	**5,500.0**	**5,500.0**	**5,500.0**	**5,500.0**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**598,003.0**	**595,000.0**	**663,308.0**	**660,000.0**	**743,518.0**	**740,000.0**	**803,718.0**	**800,000.0**
განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	13,504.1	11,799.1	14,990.0	12,990.0	15,600.0	13,400.0	16,300.0	13,900.0
ზოგადი განათლება	373,556.0	372,308.0	411,394.7	410,146.7	458,434.7	457,186.7	496,734.7	495,486.7
პროფესიული განათლება	15,021.4	14,971.4	20,560.0	20,500.0	26,770.0	26,700.0	32,970.0	32,900.0

დასახელება	2012 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2013 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2014 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2015 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	124,165.9	124,165.9	130,863.3	130,863.3	145,813.3	145,813.3	154,413.3	154,413.3
საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	71,755.6	71,755.6	85,500.0	85,500.0	96,900.0	96,900.0	103,300.0	103,300.0
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	**95,067.6**	**81,500.0**	**98,775.0**	**85,000.0**	**99,430.5**	**85,000.0**	**105,403.5**	**90,000.0**
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	3,569.0	3,569.0	4,569.0	4,569.0	4,569.0	4,569.0	5,569.0	5,569.0
ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ	54,698.0	49,819.7	54,629.0	49,821.0	54,689.0	49,821.0	56,729.0	51,821.0
სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	16,619.6	10,143.5	18,403.5	11,903.5	18,855.5	11,903.5	19,855.5	12,403.5
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	20,181.0	17,967.8	21,173.5	18,706.5	21,317.0	18,706.5	23,250.0	20,206.5
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**34,800.0**	**33,000.0**	**40,000.0**	**40,000.0**	**45,000.0**	**45,000.0**	**50,000.0**	**50,000.0**
იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,502.7	5,502.7	7,730.0	7,730.0	7,590.0	7,590.0	7,530.0	7,530.0
ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	29,297.3	27,497.3	32,270.0	32,270.0	37,410.0	37,410.0	42,470.0	42,470.0
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**1,772,084.1**	**1,768,095.0**	**2,000,000.0**	**2,000,000.0**	**2,260,000.0**	**2,260,000.0**	**2,560,000.0**	**2,560,000.0**
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	42,607.0	42,607.0	42,570.0	42,570.0	42,070.0	42,070.0	41,420.0	41,420.0
სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა	1,359,866.0	1,359,866.0	1,547,430.0	1,547,430.0	1,752,930.0	1,752,930.0	1,993,580.0	1,993,580.0
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	357,611.1	353,622.0	400,000.0	400,000.0	455,000.0	455,000.0	515,000.0	515,000.0
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	12,000.0	12,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0	10,000.0
საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	**290,337.6**	**9,100.0**	**228,844.0**	**34,600.0**	**59,100.0**	**9,100.0**	**59,100.0**	**9,100.0**

დასახელება	2012 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2013 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2014 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2015 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	4,300.0	4,300.0	4,300.0	4,300.0	4,300.0	4,300.0	4,300.0	4,300.0
ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	281,237.6	0.0	219,744.0	25,500.0	50,000.0	0.0	50,000.0	0.0
ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	4,800.0	4,800.0	4,800.0	4,800.0	4,800.0	4,800.0	4,800.0	4,800.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**121,048.2**	**110,101.5**	**155,570.0**	**141,970.0**	**171,050.0**	**170,000.0**	**201,050.0**	**200,000.0**
სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	106,574.7	96,678.0	138,020.0	125,470.0	151,000.0	151,000.0	177,000.0	177,000.0
სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	6,633.5	5,673.5	7,460.0	6,500.0	7,960.0	7,000.0	8,960.0	8,000.0
მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	7,840.0	7,750.0	10,090.0	10,000.0	12,090.0	12,000.0	15,090.0	15,000.0
საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო	**17,527.0**	**10,531.0**	**20,000.0**	**13,000.0**	**25,000.0**	**17,000.0**	**30,000.0**	**20,000.0**
გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	3,280.0	3,280.0	3,500.0	3,500.0	3,800.0	3,800.0	4,000.0	4,000.0
დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	12,477.0	5,481.0	13,665.0	6,665.0	16,200.0	8,200.0	20,000.0	10,000.0
გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	1,770.0	1,770.0	2,835.0	2,835.0	5,000.0	5,000.0	6,000.0	6,000.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	**50,000.0**	**50,000.0**	**55,000.0**	**55,000.0**	**60,000.0**	**60,000.0**	**65,000.0**	**65,000.0**
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	2,940.0	2,940.0	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0
სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	31,340.0	31,340.0	33,000.0	33,000.0	35,500.0	35,500.0	39,000.0	39,000.0
სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	3,020.0	3,020.0	3,200.0	3,200.0	3,500.0	3,500.0	4,000.0	4,000.0
ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	12,700.0	12,700.0	15,800.0	15,800.0	18,000.0	18,000.0	19,000.0	19,000.0
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	**47,000.0**	**47,000.0**	**47,000.0**	**47,000.0**	**47,000.0**	**47,000.0**	**47,000.0**	**47,000.0**

დასახელება	2012 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2013 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2014 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები	2015 წელი სულ	მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	**2,162.0**	**1,997.0**	**2,212.0**	**2,047.0**	**2,312.0**	**2,147.0**	**2,412.0**	**2,247.0**
სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	**49,600.0**	**49,600.0**	**50,000.0**	**50,000.0**	**55,000.0**	**55,000.0**	**60,000.0**	**60,000.0**
სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	**2,671.9**	**709.5**	**2,500.0**	**1,000.0**	**3,500.0**	**2,000.0**	**5,000.0**	**3,500.0**
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	**7,840.0**	**7,840.0**	**7,840.0**	**7,840.0**	**7,840.0**	**7,840.0**	**7,840.0**	**7,840.0**
საქართველოს საპატრიარქო	**22,800.0**	**22,800.0**	**22,800.0**	**22,800.0**	**22,800.0**	**22,800.0**	**22,800.0**	**22,800.0**
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	**14,000.0**	**4,000.0**	**13,500.0**	**3,500.0**	**13,500.0**	**3,500.0**	**13,000.0**	**3,000.0**
სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	**4,645.0**	**4,500.0**	**5,165.0**	**5,000.0**	**5,665.0**	**5,500.0**	**6,165.0**	**6,000.0**
სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	2,780.0	2,635.0	2,865.0	2,700.0	2,865.0	2,700.0	2,865.0	2,700.0
სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	950.0	950.0	1,000.0	1,000.0	1,200.0	1,200.0	1,300.0	1,300.0
მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	115.0	115.0	400.0	400.0	500.0	500.0	600.0	600.0
შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა	450.0	450.0	500.0	500.0	600.0	600.0	750.0	750.0
სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა	350.0	350.0	400.0	400.0	500.0	500.0	650.0	650.0
ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია	**2,788.0**	**2,788.0**	**1,500.0**	**1,500.0**	**2,000.0**	**2,000.0**	**2,500.0**	**2,500.0**

1. ქ. თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

პრიორიტეტი ითვალისწინებს ქ.თბილისის გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ასევე ახალი გზების მშენებლობას, ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვას ჭარბი სატრანსპორტო საშუალებებისგან, რაც ხელს შეუწყობს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, დაიდგმება შუქნიშნების ახალი ობიექტები, შუქნიშნებზე დამონტაჟდება წამზომები და ხმოვანი სიგნალები, ქალაქის ქუჩების საფარის აღდგენასთან ერთად ჩატარდება საგზაო მონიშვნის სამუშაოები.

გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად განხორციელდება საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა. ჩატარდება გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია, შუქნიშნების ეტაპობრივი მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე.

მოსალოდნელი შედეგი:

ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა, რეგულირება და კონტროლი.

2. ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების პროგრამა

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის ისეთი ღონისძიებები როგორიცაა: თბილისის საინვესტიციო და ეკონომიკური შესაძლებლობისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, პოტენციური ინვესტორებისა და ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა იაფი სესხით უზრუნველყოფით, თბილისის განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა დაინტერესებული პირებისათვის ქალაქის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა გადამზადება, დასაქმების ხელშეწყობა, მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა, თბილისის გადაქცევა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრების ადგილად და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი:

შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, განვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი, ამაღლდება საინვესტიციო აქტივობა, დედაქალაქს შეემატება თანამედროვე ცოდნის და შესაძლებლობების მქონე დამწყები ბიზნესმენები, გაიზრდება თბილისის ცნობადობა.

ქალაქი მონაწილეობას მიიღებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში.

3. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

პრიორიტეტი ითვალისწინების ქალაქის გამწვანებასა და ეკოსისტემის გაუმჯობესებას, ქ. თბილისის ბაღ-პარკების მოვლა-პატრონობას, რეკონსტრუქციას, ახალი მწვანე თარგების, პარკებისა და სკვერების მოწყობას (პარკი მზიური და ვაკის პარკის რეკონსტრუქცია).

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესდება ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები და დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა. მოეწყობა სკვერები და მოხდება არსებული პარკების რეკონსტრუქცია-რესტავრაციია, რითაც დედაქალაქს შეემატება თანამედროვე ტიპის საერთო სარგებლობის დასასვენებელი სკვერები.

4. ქალაქის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ავარიული შენობების გამაგრება

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ქ.თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია (მათ შორის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული შენობების), ასევე დედაქალაქში მრავლად არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები, აუცილებელია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება. პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის გაზიფიცირება, ბიბლიოთეკების მშენებლობა და ველოსიპედის გზის მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგი:

საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა.

5. მოსახლეობის ხელშეწყობა

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში თანადაფინანსების პრინციპით განხორციელდება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შემდეგი პროგრამები - შენობის სახურავის შეკეთება (ბრტყელი გადახურვა, ქანობიანი გადახურვა), ლიფტების შეკეთება, ლიფტების მოდერნიზაცია, შიდა წყალგაყვანილობის შეკეთება, ბინათმესაკუთრეთა მიერ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული ე.წ. მიშენების (არაინდივიდუალური) კონსტრუქციების მდგრადობის და სეისმომედეგობის განსაზღვრა, წყალსაწრეტი მილების შეკეთება, სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი, ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირება (წითელ ხაზებში მოქცევა), პანელოვან შენობებში (მრავალსართულიანი კორპუსები, რომლებიც მონტაჟდებოდა ქარხნული წესით დამზადებული მთლიანი სექციური კონსტრუქციებით) სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია სადარბაზოების შეკეთება.

ასევე განხორციელდება თბილისის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვალიფიციური იურიდიული და საადვოკატო მომსახურეობა, ასევე მოქალაქეთა პროფესიული უნარჩვევების ამაღლება მათი შემდგომი დასაქმების მიზნით.

მოსალოდნელი შედეგი:

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და გააქტიურებას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, გაუმჯობესდება კორპუსების ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

6. ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. სამშენებლო კომპანიები მოსახლეობასთან ურთიერთშეთანხმებით უზრუნველყოფენ მათ ახალი საცხოვრებელი ადგილებით, ხოლო გამოთავისუფლებული მიწების გამოსყიდვას განახორციელებს ქალაქის მერია და აღნიშნულ მიწებზე შესაძლებელი გახდება ქალაქის შემდგომი განაშენიანება.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესდება ათასობით მოქალაქის საცხოვრებელი პირობები, ხელი შეეწყობა სამშენებლო და საფინანსო სექტორებს, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

7. მოსახლეობის სოციალური დაცვა

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება დახმარება კომუნალურ გადასახადებზე და მრავალშვილიან ოჯახებზე, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკურორტო-სამკურნალო მომსახურება და საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალურად დაუცველი და სხვა კატეგორიის პირთა სამედიცინო დაზღვევის გარკვეული პაკეტით მომსახურება. ასევე გაგრძელდება თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიების უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის სოციალური შეღავათებისა და დახმარებების გაწევა ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დემოგრაფიული პროცესების პროგრესირებას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო მომსახურების ხელმისაწვდომობას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

8. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაციის მიზნით იგეგმება სპორტული მოედნების მშენებლობა, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებებისა, მასობრივი ღონისძიებებისა და საერთაშორისო ტურნირების ჩატარება. ასევე პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიებითა და მწვრთნელ-მასწავლებელთა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ნიჭიერი მოზარდებისა და ახალგაზრდების სპორტულ ჯგუფებში ჩაბმას და მაღალი შედეგების მიღწევას.

მოსალოდნელი შედეგი:

ბავშვების და მოსწავლე-ახალგაზრდობის მასობრივი სპორტით დაინტერესება, გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა და საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირებზე მაღალი შედეგების ჩვენება ხელს შეუწყობს მოსახლეობის გაჯანსაღებას, რაც ძლიერი ქვეყნის საწინდარია.

9. თბილისი - 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელი ქალაქი

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელ ქალაქად არჩეულ იქნა ქ. თბილისი. ფესტივალის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ჩატარებისთვის იგეგმება თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ოლიმპიური სოფლის მშენებლობა, სხვადასხვა სახეობების სპორტული დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მაღალ დონეზე ორგანიზება ხელს შეუწყობს შემდგომში თბილისში სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელებას და თბილისის ზღვის ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ჩართვას.

10. ხელოვნების დარგების განვითარება

პრიორიტეტის აღწერა და მიზანი

პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება სახელოვნებო განათლების ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების (ქართული ხალხური საგუნდო და მუსიკალური საკრავები, სასულე და სიმფონიური ორკესტრები და სხვა) შენარჩუნებას, სასწავლო–შემოქმედებითი კუთხით წარმატებულ მოსწავლეთა სტიპენდიებით და მათი პედაგოგების წახალისებას.

ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და მომავალი თაობების სრულყოფილი სულიერი აღზრდისათვის აუცილებელია ფართო მასებში მუზეუმების პოპულარიზაცია, რისთვისაც იგეგმება მუზეუმების რეაბილიტაცია, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა და მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა.

მოსალოდნელი შედეგი:

მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული წარმატებული მოსწავლეები და სახელოვნებო სასწავლებლების პედაგოგები, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სახელოვნებო ორგანიზაციები, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე წარმატებების მიღწევას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
ქ.თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	129 147.0	130 000.0	132 000.0	135 000.0
ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების პროგრამა	3 460.0	8 000.0	9 000.0	10 000.0
ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	13 410.0	13 500.0	13 500.0	13 500.0
ქალაქის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ავარიული შენობების გამაგრება	102 550.0	104 000.0	105 000.0	105 500.0
მოსახლეობის ხელშეწყობა	19 942.0	22 100.0	22 200.0	22 300.0
ძველი თბილისის ახალი სიცოცხლლე	36 846.0	37 000.0	37 200.0	37 500.0
მოსახლეობის სოციალური დაცვა	81 627.4	82 300.0	82 800.0	83 500.0
ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება	11 437.0	12 342.0	12 542.0	12 642.0
თბილისი-2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელი ქალაქი	800.0	2 000.0	6 000.0	6 000.0
ხელოვნების დარგების დაფინანსება	1 423.0	1 423.0	1 423.0	1 423.0
სულ ჯამი	**387 232.4**	**412 665.0**	**421 665.0**	**427 365.0**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს 2012-2015 წლებისათვის წარმოადგენს:

- მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის ამაღლება;
- აჭარის საინვესტიციო პოტენციალის მარკეტინგი;
- საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობა, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა, კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება, კულტურის ძეგლების დაცვა, მუზეუმების მართვა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურული ღონისძიებების ფართომასშტაბიანი განხორციელების ხელშეწყობა, ტრადიციული წეს-ჩვეულებებისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა. ამ მიზნით სოციალურად დაუცველ ფენებსა და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფების მქონე სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის გადაუდებელი, ონკოლოგიური, კარდიოქირურგიული ჰოსპიტალური დახმარებისათვის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- შიდასახელმწიფოებრივი სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო სფეროს განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში რეგიონის პოტენციალის ინტეგრირების ხელშეწყობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ურბანული განვითარებისა და მშენებლობის კოორდინაცია, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების რეაბილიტაცია-განვითარება;
- ტურიზმისა და ტურისტული ბიზნესის განვითარება, ტურიზმის ახალი სახეობების დანერგვა-ხელშეწყობა, ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნობრივი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, ამ მიზნით საერთაშორისო გამოფენებში აქტიური მონაწილეობა;
- გარემოსა და ბუნერივი რესურსების დაცვა, მათი რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, სატყეო მეურნეობის მართვა და ტყის რესურსების მდგრადი განახლება-სარგებლობის ღონისძიებების გატარება, ეკოლოგიური განათლების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, აჭარის სანაპირო ზოლის აბრაზიული პროცესის შეჩერება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სამინისტროებისა და უწყებების საშუალოვადიანი პრიორიტეტები 2012-2015 წლებისათვის

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

1. ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დამაბინძურებელი ობიექტების მონიტორინგი

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

აჭარის ზღვისპირეთი, რომელიც გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივი პირობებით, წარმოადგენს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტურისტებისათვის პოპულარული დანიშნულების ადგილს, რომელთა დიდი ნაწილი ზაფხულის განმავლობაში ბანაობს ზღვაში, მეორეს მხრივ, აჭარის სანაპირო ზონა ხასიათდება მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით, ტურისტული, ეკონომიკური, რესურსმომპოვებელი და აგრარული აქტიურობის მზარდი ტენდენციით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტერიტორიის წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაც.

პრიორიტეტის მიზანია აჭარის ზღვის სანაპირო ზოლის წყლისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი, რის შედეგადაც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ მიღებული ინფორმაცია იქნება უფრო დეტალური და საიმედო. ხოლო, მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე განხორციელდება დროული რეაგირება.

ზღვის სანაპირო ზოლის წყალსატევების აქტიურ დამაბინძურებელ ობიექტებზე მონიტორინგი განხორციელდება ავტოტრანსპორტის გამოყენებით. ჰაერის მდგომარეობის მონიტორინგი ძირითადად განხორციელდება შ.პ.ს. ბათუმის ნავთობტერმინალისა და პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაბა ხელვაჩაურში ე.წ. სამრეწველო ზონაში განლაგებულ ასფალტობეტონის ქარხნებზე, ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ სხვა სტაციონარული ობიექტების განლაგების ტერიტორიებზე.

2. ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

აჭარის სანაპირო ზონა ხასიათდება მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით, ტურისტული, ეკონომიკური, რესურსმომპოვებელი და აგრარული აქტიურობის მზარდი ტენდენციით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტერიტორიის წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაც. ეს თავის მხრივ აისახება ზღვის წყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

პრიორიტეტის მიზანია აჭარის სანაპირო ზოლის სარფი-ქობულეთის მონაკვეთებზე საბანაო წყლების სრულყოფილი მონიტორინგის უზრუნველყოფა. მონიტორინგი დაწესდება ზღვის შემდეგ წერტილებში: კვარიათი, სარფი, ქ. ბათუმის ცენტრალური პლაჟის ე.წ. „პიშევიკების“, ინტურისტების წინა ტერიტორიები, ბარცხანის და მწვანე კონცხის პლაჟები, ასევე ქობულეთის პლაჟის გასწვრივ.

გაუმჯობესდება საბანაო წყლებზე მონიტორინგის განხორციელება და დაბინძურების ფაქტების დროული გამოვლენა, შემდგომი რეაგირებისათვის.

3. ნაპირსამაგრი ღონისძიება

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სანაპირო ზოლის მთელს ტერიტორიაზე აბრაზიული პროცესების გააქტიურებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აჭარის სანაპირო ზოლის მიმდებარედ დასახლებულ, განსაკუთრებით კი ადლიისა და ქობულეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიქმნა ადლიისა და ქობულეთის სანაპირო ზოლზე დროებითი ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების საჭიროება. პრიორიტეტი ითვალისწინებს მდინარე ჭოროხისა და კინტრიშის დელტიდან ამოღებული ნატანით ადლიის და ქობულეთის სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას. ასევე, პრიორიტეტი ითვალისწინებს ბათუმის კონცხის ტერიტორიიდან საზღვაო ტრანსპორტით ჭარბი ინერტული მასალის გადაზიდვას გამწმენდი ნაგებობების წინ მდებარე სანაპირო ზოლზე. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ხელი შეეწყობა სანაპირო ზოლზე განვითარებული აბრაზიული პროცესები შეჩერებას და ეკოლოგიური რისკების აღმოფხვრას.

საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი

1. საგზაო სატრანსპორტო სისტემების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, ხიდების შეკეთება და აღდგენა, საჭიროებისამებრ სხვა ხელოვნური ნაგებობების მოწყობა. მუნიციპალურ ცენტრებთან, ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება. უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტისა და მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება. გზების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს, როგორც ტურისტების მოზიდვას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, ასევე ფერმერული მეურნეობების განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესობას.

გზების არსებული საექსპლუატაციო პარამეტრების შენარჩუნება, ზამთრის პერიოდში გზის სავალი ნაწილის დროული გაწმენდა მოსახლეობას გაუადვილებს ადმინისტრაციულ

ცენტრებთან დაკავშირებას, ასევე ხელს შეუწყობს აჭარის მაღალმთიან სოფლებში სამთო სათხილამურო ტურიზმის განვითარებას.

საზაფხულო იალაღებზე, მთებსა და სახნავ-სათიბ ტერიტორიებზე მიმავალი გზების რეაბილიტაცია. სამელიორაციო სისტემებისა და ჰიდროტექნოლოგიური ნაგებობების რეაბილიტაცია. სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სახნავ-საძოვრების წყლით მომარაგებას ზაფხულში, ასევე დაჭაობებული ადგილების დაშრობას, რათა შემდგომში მოხდეს ფართობის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

1. ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემის შექმნა

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში ტურისტული სეზონისათვის მზადება ახალი რისკებისა და გამოწვევების გადალახვას გულისხმობს. ექსპერტების შეფასებით ამ პირობებში მოსალოდნელია ძვირადღირებული ტურების ხვედრითი წილის შემცირება, მთელს მსოფლიოში ბიზნეს აქტივობის შესუსტებასთან ერთად მოსალოდნელია ასევე ბიზნეს ტურების შემცირებაც, ნაკლებად მიმზიდველი იქნება ტურისტებისათვის ისეთი ტურებიც, სადაც მაღალია მგზავრობის ხარჯების ხვედრითი წილი. ამ პირობებში მოსალოდნელია, რომ გაიზრდება შიდა ტურიზმისა და რეგიონალური ტურიზმის ხვედრითი წილი.

მნიშვნელოვნად გაიზრდება კონკურენცია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე. აჭარის ტურისტული იმიჯის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე პირდაპირ გავლენას იქონიებს ამ ქვეყნებიდან ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. შედეგად მოხდება ტურისტული კომპანიების სტიმულირება აღნიშნულ ბაზრებზე საქმიანობის უფრო აქტიურად წარმართვისათვის. შიდა ტურიზმის განვითარება, ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს აჭარას ეფექტური პოზიციის დაკავებაში მიზნობრივ ტურისტულ ბაზრებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საშუალოვადიან პერიოდში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ახალი და შედარებით იაფი ტურისტული პროდუქტების შექმნა;
- სერვისის დონისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სახელმწიფო დაკვეთების, მოთხოვნის სტიმულირებისა და სხვა ირიბი მეთოდებით ადგილობრივი ტურისტული ინდუსტრიის სუბიექტებისათვის ხელშეწყობა და სტიმულირება;
- მარკეტინგული სარეკლამო საქმიანობის კონცენტრირება შიდა და რეგიონალურ ბაზრებზე;
- უცხოური და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისათვის პრეს-ტურების მოწყობა;

- საერთაშორისო სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობა (გაწევრიანება) შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან; საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა;
- ფესტივალების და დღესასწაულების ორგანიზება და გამოფენების მოწყობა აჭარის ტერიტორიაზე;
- აჭარის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია პრესით და ტელევიზიით;

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად მოხდება ტურისტების რაოდენობის ზრდა; წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; უცხოელ პარტნიორებთან ადგილობრივი ტურ-ოპერატორების კონტაქტების ზრდა; მნიშვნელოვანი რაოდენობის ვიზიტორების მოზიდვა „არასაკურორტო" სეზონზე, ასევე საქმიანი კონტაქტებისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; უცხოური ტურისტული სააგენტოების მომსახურების პაკეტში აჭარის მიმართულების გაჩენა; უცხოელი და შიდა ტურისტების ინფორმირებულობის გაზრდა; ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქსელის გაფართოება; ტურისტთა კმაყოფილების ზრდა; ორგანიზებული ტურიზმის ხვედრითი წილის ზრდა; კონფერენციებისა და გამოფენების რაოდენობის ზრდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

1. საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვა; ერთიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება და მონიტორინგის გაძლიერება; რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროგრამის შექმნა; პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების ეტაპობრივი დანერგვა;

2. ხაზინის განვითარება

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

ელექტრონული ხაზინის სისტემის დანერგვა; ელექტრონული ხაზინის ძირითადი ექსპლუატაცია; ბიუჯეტის მართვის მოდულის შემუშავება და ხაზინის საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირება.

დეგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობის და გამჭვირვალობის ზრდა; სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება რეალურ დროში, მინიმალური დანახარჯებით.

3. **სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის ამაღლება;**

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ქონების აღრიცხვა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად განკარგვა. თითოეული საპრივატიზებო ობიექტის ინფორმაციული შეფუთვა ან/და სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საპრივატიზებო ობიექტების მონაცემთა ბაზის განთავსება, განახლება და რედაქტირება.

პოტენციური ინვესტორებისათვის საპრივატიზებო ობიექტების შესახებ სრული მონაცემების მიწოდება (ტურისტული, სამრეწველო, ძველი ბათუმი და სხვა). იმ ფორმით, რომელიც მათ გაუადვილებს სამომავლო ბიზნეს პროფილის განსაზღვრას;

საპრივატიზებო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება (eauction.ge);

დაგეგმილი ღონისძიებების შედეგად უზურნველყოფილი იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად მართვა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ქონების სრული განსახელმწიფოებრიოება; საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ქონების გამჭვირვალედ, სამართლიანად და ეფექტურად პრივატიზება.

4. **რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა**

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

აჭარის საინვესტიციო პოტენციალის მარკეტინგი; რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტების გადახედვა/განსაზღვრა; საპრივატიზაციო ობიექტების გადახედვა/განხილვა, ინფორმაციული დამუშავება და „მარკეტინგული შეფუთვა“; პოტენციური ინვესტორების მოძიება; „შეფუთული ობიექტების“ უწყვეტი მარკეტინგი სხვადასხვა არხების მეშვეობით; სხვადასხვა სახის საინვესტიციო ღონისძიებებში (ბიზნეს ფორუმები, სემინარები, გამოფენები, მაღალი დონის შეხვედრები) ჩართულობა (დაგეგმვა, კოორდინირება და მონაწილეობა); პრეზენტაციების/საინფორმაციო პაკეტების მომზადება და მათი უწყვეტი მარკეტინგი.

აჭარის ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მენეჯმენტი: საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, საელჩოებსა და სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან თანამშრომლობა; განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ინიცირება, ხელშეწყობა და კოორდინირება. რეგიონში მიმდინარე საინვესტიციო პროცესის შედეგების აღრიცხვა და მონიტორინგი.

შედეგად განხორციელდება ინვესტიციების, დასაქმების და რეგიონის კეთილდღეობის ზრდა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

1. ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზანია ხელი შეუწყოს ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმას, რათა უზრუნველყოს რეგიონში ადამიანური რესურსების განვითარება სიღარიბის დაძლევისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

განათლების ხელმისაწვდომობის, ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს რამოდენიმე მნიშვნელოვან პროგრამას:

- გაგრძელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა;
- აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლები აღიჭურვება თანამედროვე სასკოლო ინვენტარით;
- დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცემათ სასკოლო ფორმები;
- გაგრძელდება სასკოლო კლუბების ხელშეწყობის პროგრამა;
- გაგრძლდება სკოლა-პანსიონების განვითარების პროგრამა;
- დაიწყება სწავლა-სწავლების ხელშეწყობის პროგრამა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას. პროგრამის განხორციელების შედეგად მოსწავლეებს შეექმნებათ უსაფრთხო გარემო, შეიქმნება სათანადო პირობები საჯარო სკოლების მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

სკოლების სასკოლო ინვენტარით აღჭურვა ხელს შეუწყობს საგანმანათებლო პროცესის გაუმჯობესებასა და სკოლებში ესთეტიკური გარემოს შექმნას. ახალი სასკოლო ინვენტარი იქნება ეკოლოგიურად სუფთა და დააკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მსგავსი ინვენტარით სკოლების აღჭურვა გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეამცირებს მათი სქოლიოზისა თუ სხვა დაავადების რისკს. შეიქმნება სათანადო პირობები საჯარო სკოლების მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

ფორმებით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველი ოჯახების პრობლემების გადაჭრასა და სკოლის თვითმყოფადობის ჩამოყალიბებას. საჩუქარი სტიმულს მისცემს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს.

სასკოლო კლუბების განვითარება ხელს შეუწყობს მოსწავლეების აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას; გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში; ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას; მისცემს მოსწავლეებს თვითრეალიზაციის საშუალებას და აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო აქტივობებში და ხელს შეუწყობს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას.

1. უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

ვინაიდან უმაღლესი განათლება ეხმარება ადამიანებს სოციალური სტატუსის ამაღლებასა და წარმატებული კარიერის მოწყობაში, ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ ზრდას, დემოკრატიისა და სოციალური თანასწორობის პროგრესს და ამავე დროს უმაღლესი განათლების სისტემა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მეტ ფინანსურ პრობლემას აწყდება, აუცილებელია უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა, კერძოდ აჭარის წარმატებული სტუდენტები მიიღებენ სასწავლო სტიპენდიას; აჭარაში მცხოვრებ 18-30 წლამდე მოქალაქეებს საშუალება ექნებათ აიმაღლონ კვალიფიკაცია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში;

სტუდენტური სტიპენდიების პროგრამის ამოქმედება ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და მაღალმთიანი რაიონებიდან სტუდენტებისათვის საბაკალავრო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და სწავლის მოტივაციის ამაღლებას.

ევროპაში კვალიფიკაციის ამაღლება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას, საშუალებას მისცემს სამშობლოში მიღებული ცოდნა გაიღრმაონ უცხოეთის სხვადასხვა დაწესებულებებში, საფუძვლიანად დაეუფლონ უცხო ენებს, გამოიმუშაონ განსხვავებულ კულტურათა გაგებისა და მათთან შეგუების უნარი.

2. აჭარის კულტურის პოპულარიზაცია

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და მომავალი თაობებისათვის მისი სრულყოფილი სახით გადასაცემად აუცილებელია ძეგლთა რეაბილიტაცია და კონსერვაცია. მოსაწესრიგებელია არსებული მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები. კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას ახალი მუზეუმები. მნიშვნელოვანია ფოლკლორის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ქართული ფოლკლორის ხელშეწყობა და ტრადიციების შენარჩუნება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუზეუმების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების და განვითარების ხელშეწყობა; კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაცია და კონსერვაცია; ფოლკლორის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; რეგიონში არსებული ფოლკლორული ანსამბლების მუშაობის ეფექტურობის გაზრდა.

ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება-განვითარება ხელს შეუწყობს სამუზეუმო სივრცის თანამედროვე მოთხოვნებთან დაახლოებას. ესთეტიური და შემეცნებითი გარემო მიიზიდავს როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივი დამთვალიერებელს.

რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება კულტურული ტურიზმის განვითარებაზე.

ფოლკლორულ ანსამბლებს გადაეცემათ სასცენო კოსტიუმები და მუსიკალური ინსტრუმენტები.

3. პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

რეგიონში დღეისათვის მიმდინარე სპორტის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები მნიშვნელოვანია პროფესიული სპორტის განვითარება-პოპულარიზაციისათვის. ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს აჭარისა და მუნიციპალური ნაკრები გუნდების სპორტული აღჭურვილობა. განხორციელდება აჭარის ახალგაზრდული რესურსის მობილიზება. უცხოური განათლების მოდელების გაზიარება ადგილობრივი სტუდენტებისათვის.

აჭარისა და მუნიციპალური ნაკრების წევრები უზრუნველყოფილი იქნებიან სპორტული ფორმა-ინვენტარით, მოხდებ ამწვრთნელთა და მსაჯთა გადამზადება და უცხოეთში მყოფი ახალგაზრდების დაინტერესება ადგილობრივი ბაზრით.

აღნიშნული პრიორიტეტების რეალიზაცია ხელს შეუწყობს რეგიონში პროფესიული სპორტის შემდგომ განვითარებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ასევე აჭარისა და მუნიციპალური ნაკრების წევრების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირები) მონაწილეობას.

ახალგაზრდების ინტელექტუალური რესურსის გამოყენება რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში. საინვესტიციო გარემოს გაცნობა სტუდენტებისათვის და შემდეგ მათი პრეზენტირება უცხოურ სასწავლებლებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

1.ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

სამინისტროს 2012-2015 წლების მიზნობრივი პროგრამები თავისი შინაარსითა და მოცულობით განსხვავდება წინა წლების პროგრამებისაგან, ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან სოციალურად დაუცველ ფენებსა და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე. მიზნად ისახავს სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის გადაუდებელი, გეგმიური, ონკოლოგიური, კარდიოქირურგიული, ჰოსპიტალური, ამბულატორიული, ტრავმატოლოგიური, ანტირაბიული და სხვა დახმარებისათვის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას, მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვას, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, სოფლის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიწოდებას.

პრიორიტეტის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად განხორციელდება:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფინანსური რისკებისაგან დაცვის ხელშეწყობა;
- დროული სამედიცინო მომსახურების ხარჯზე გართულებული შემთხვევების შემცირება;
- ლეტალობის შემცირება.
- კრიტიკული მდგომარეობების ადეკვატური მართვის შედეგად საწოლზე დაყოვნების შემცირება;
- მომხმარებლის კმაყოფილების დონის გაზრდა.

2. სოციალური დაცვა

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

გაგრძელდება თემის სამედიცინო პუნქტების რეაბილიტაცია და აღჭურვა და მედდების შრომის ანაზღაურებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფა სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფის ხარისხის ასამაღლებლად.

სამინისტრო გამოყოფს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან თანადგომას. პირველ რიგში ეს არის 100 წელს გადაცილებული მოქალაქეები. ერთჯერადი მატერიალური დახმარების კომპონენტის მიზანია მათი სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება.

3. თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

განხორციელდება თემის სამედიცინო პუნქტების მედდების გადამზადება, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებში, ხარისხიანი გადაუდებელი ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიწოდების და მოსახლეობისათვის წლის ყველა პერიოდში სასწრაფო სამედიცინო დახმარების არსებული დონის შენარჩუნების მიზნით.

4. საზოგადოებრივი ჯანდაცვა

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა მოიცავს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ, დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებები მოიცავს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობას, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას, დაავადებათა ადრეულ გამოვლენასა და შემდგომ მართვას. საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებებით შესაძლებელი იქნება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა პრიორიტეტული სიტუაციების საპასუხო ქმედებების დროული და ადექვატური მენეჯმენტი.

პრიორიტეტის ფარგლებში გატარებული ღონისძიებებით უზურნველყოფილი ინქბევა:

- ინფექციურ დაავადებათა (მათ შორის ჰიდროფობიისა და მალარიის) აქტიური ეპიდზედამხედველობა;
- დაავადებათა/ეპიდაფეთქებათა აღმოცენებისა და გავრცელების პრევენცია;
- ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა სრულ მასშტაბიანი განხორციელება;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვითი და სხვა პრიორიტეტული სიტუაციების მიმართ საპასუხო ქმედებებისათვის მუდმივი მზადყოფნა;
- დაავადებათა და მათი პრევენციის შესახებ მოსახლეობის ინფორმატიულობის გაზრდა;
- მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ავადობის აქტიური გამოვლენა და დროული მართვა სამიზნე ჯგუფებში;
- სასკოლო დაწესებულებების მოსწავლეთა სამედიცინო დარგის ვიწრო სპეციალისტთა მიერ კვალიფიციური კონსულტირება - დიაგნოსტირება;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

1. ფერმერთა სწავლება-კონსულტირება, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარება

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

პრიორიტეტი ითვალისწინებს ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვის ცენტრის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ ინფორმირებულობას თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეების თაობაზე და წამყვანი აგრარული ქვეყნების მიღწევების გაცნობისა და დაუფლების მიზნით, რეგიონის წარმატებული ფერმერების უცხოეთში მივლინების ორგანიზებას.

პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალპროფილიანი სანერგე მეურნეობის მოწყობა, სადაც წარმოებული იქნება სხვადასხვა სახეობის უვირუსო, ელიტური წმინდა ჯიშური ნიშან-თვისებების მქონე მრავალწლიანი კულტურების სარგავი მასალა. აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე და პროდუქტიული ნიშან-თვისებების გაუმჯობესების მიზნით ხელოვნური დათესვლის სერვის-ცენტრის მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ყოველწლიურად მაღალი კლასის სანაშენე მოზარდის მიღებას, დაბალპ-როდუქტიული პირუტყვის ნახირიდან გამოყვანას, სულადობის ოპტიმალური რაოდენობის დადგენა-შენარჩუნებას, გაუმჯობესებული მაღალპროდუქტიული პირუტყვის ერთეული პროდუქტიულობისა და პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის საერთო მოცულობების მაქსიმალურ ზრდას.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით პრიორიტეტი ითვალისწინებს ფერმერთა უზრუნველყოფას მარტივი ტიპის ხილის საშრობი დანადგარებით.

პრიორიტეტის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს რეგიონში წარმოებული ხილის უდანაკარგოდ რეალიზაციას და ფერმერთა შემოსავლების ზრდას.

2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება

პრიორიტეტის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

პრიორიტეტი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების თანადაფინანსების პრინციპით ფერმერებზე გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ხელით შრომის შემსუბუქებას, სამუშაოების აგროვადებში ჩატარებას, პროდუქციის წარმოების მოცულობისა და ფერმერთა შემოსავლების ზრდას.

განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება, პროდუქციის წარმოების ზრდა და გაუმჯობესდება ფერმერთა სოციალური მდგომარეობა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათასი ლარი

მხარჯავი დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	1 325.0	825.0	825.0	825.0
ტურიზმის საინფორმაციო-სარეკლამო სისტემის შექმნა	2 667.0	2 167.5	2 667.5	4 667.5
ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოვლა-შენახვის ღონისძიებები	9 181.5	8 341.0	8 341.0	8 341.0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	6 425.7	11 055.0	9 435.0	8 135.0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	4 164.7	4 239.7	4 192.2	4 364.7
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1 030.0	1 120.0	1 120.0	1 120.0
სულ ჯამი	**24 793.9**	**27 748.2**	**26 580.7**	**27 453.2**

თვითმმართველი ქალაქი - ბათუმი

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ქ. ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მომდევნო წლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2012-2015 წლების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ურბანული ინფრასტუქტურის განვითარება;
- ტურისტული და ისტორიული უბნების რეაბილიტაცია.
- საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა;
- განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში შესაბამისი პროგრამების განხორციელება;
- მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისა და სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური გარანტიების შექმნა.

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ქალაქის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: ქალაქგარეთ სადრენაჟო ფართობისაგან ზედაპირული წყლის დაცვას, არსებული კოლექტორების გაწმენდას და შეკეთებას, მდინარეებისა და ღია სანიაღვრე არხების ფსკერების გაწმენდას, გაბიონებისა და ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობას, შემოერთებულ ტერიტორიებზე სანიაღვრე არხების მოწყობას.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია - პროგრამის განხორციელებით შესაძლებელი იქნება არსებული სისტემის ძირითადი ნაკლოვანებების აღმოფხვრა და პრობლემების გადაჭრა, მომსახურების ხარისხის მატება, სისტემაში წყლის შენახვის მოცულობის ზრდა, ქალაქის გამანაწილებელი სისტემის განახლება (ძირითადი ნაწილი აიგო 1950 წელს), ზედაპირული წყლის სათავეების სათანადოდ გაწმენდა არსებულ გამწმენდ ნაგებობაში და მდინარის წყლის ხარისხის ამაღლება.

კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია – საკანალიზაციო მილების სრული შეცვლა რეაბილიტაციის ნაცვლად; ექსპლოატაციისათვის ვარგისი არსებული გაყვანილობის სქემის შენარჩუნება ყოველგვარი მოდიფიკაციების გარეშე. მთავარი სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია, სადგურთა შენობების კონსტრუქციის გაუმჯობესება; სისტემის შეერთება ადლიის გამწმენდ ნაგებობასთან და გაუწმენდავი ფეკალური წყლის ზღვაში განტვირთვის თავიდან აცილება.

ადგილობრივი ბიუჯეტის პარალელურად ქ. ბათუმში წყლისა და საკანალიზაციო სიტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსება იგეგმება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) აღებული შეღავათიანი კრედიტის ხარჯზე.

2. ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება

სანიტარული დასუფთავება - ქალაქის ყოველდღიური სანიტარულ დასუფთავება, ქუჩების რეგულარული დაგვა-დასუფთავება, ქალაქის ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგავსაყრელების მოვლა-დამუშავება, კონტეინერების, ნაგავგამტარების სპეციალური დამუშავება, მწვანე საფარის დასუფთავება, ტერიტორიების დასუფთავება თოვლისაგან, ყინულისაგან და მათი გატანა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა, დერატიზაცია-დეზინსექცია.

გარე განათება - გარე განათების ჩამოყალიბება და არსებულის სრულყოფა; ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა: განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების და ხელსაწყოების კონსტრუქციების, ახალი მასალების გამოყენება; შუქტექნიკის პრაქტიკაში შუქდიოდების აქტიური დანერგვა, ღამით ქალაქში უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამის მიზანია ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა, ასფალტირებული და არასაფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები; მოედნების, ქვეითად მოსიარულეთა ქუჩების, ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილების მოასფალტება-კეთილმოწყობა; გზების სავალი ნაწილის, ტროტუარების, შიდა გასასვლელების საფარის სრულყოფა ყველა სახის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის; მოძრაობის რეგულირებისათვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დანერგვა.

ქალაქის დაგეგმარება - ქალაქის ქონების (მ. შ. მიწის) პასპორტიზაცია; უსახური შენობების დემონტაჟი; ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ქონების რეგისტრაცია; ქალაქის ქონების აუდიტორული შეფასება; სხვადასხვა კონცეფციების დამუშავება.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა – ძველი ბათუმის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება, ბათუმის იერსახის მოწესრიგება, მოქალაქეთა საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა მათ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში.

3. **საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა**

მოქალაქეთა წინაშე მდგარი კომუნალური პრობლემების ორგანიზაციულ-ფინანსური თვალსაზრისით ეფექტურად გადაჭრა შესაძლებელია ბინის მესაკუთრეთა საბინაო ამხანაგობებში გაერთიანების მექანიზმების გამოყენებით.

4. **ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

ვინაიდან ქ. ბათუმი და მისი შემოგარენი მდიდარია სამოქალაქო, საკულტო და თავდაცვითი არქიტექტურით, ისტორიული, საბაღო-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლებით, ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებითა და მაღალი კულტურული ფასეულობის მქონე ფონური განაშენიანებით, უნიკალური ქალაქგეგმარებითი სტრუქტურისა და სხვა შენობა-ნაგებობების რეაბლიტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა უახლოეს მომავალში ქალაქი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს მისი მოსახლეობის და ქალაქის სტუმრებისათვის.

5. **განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება**

კულტურა - უნიკალური კულტურული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ამ მხრივ მიმართული კულტურის პროგრამის ღონისძიებები ხელს შეუწყობს ბათუმის საერთაშორისო-საფესტივალო ქალაქად დამკვიდრებას, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურებას, აქ მოღვაწე და მოწვეულ ხელოვანთა წარმოჩენასა და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას, ნოვატორული იდეების წარმოჩენასა და წახალისებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციასა და მოქალაქეთა მაღალესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბებას.

სპორტი - საზოგადოების სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სპორტისათვის შესაბამისი მნიშვნელობის მინიჭება და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. ამ მხრივ სპორტის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომი განვითარებასა და პოპულარიზაციას, სპორტსმენთა დაოსტატებას, პოპულარული სპორტის სახეობების მხარდაჭერასა და ბათუმის გადაქცევას სპორტული დასვენების ქალაქად.

პროგრამის განხორციელებით მოხდება მოსახლეობის მასობრივად ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში. უცხოელი სპორტსმენების პროგრამაში ჩართვით მოხდება გამოცდილების გაზიარება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და მათი სტანდარტების დანერგვა.

ახალგაზრდობის პროგრამები - ახალგაზრდობის საქმეთა მუნიციპალური პროგრამა სრულად ეხმიანება სახელმწიფოს სტრატეგიულ ხედვას ახალგაზრდობისადმი და წარმოაჩნეს თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ინტერესებსა და პრიორიტეტებს ახალგაზრდა მოქალაქეებისათვის სათანადო ღონისძიებების შეთავაზების მხრივ. შესაბამისად პროგრამა

მიზნად ისახავს ახალგაზრდობის მხარდაჭერას, მათი პოტენციალის განვითარებისათვის სათანადო ღონისძიებების წარმართვას, მათ ჩართვას სხვადასხვა გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებში, ახალგაზრდებში ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას; შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და სტიმულირებას; პროგრამა ასევე მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის განათლებისა და დასაქმების მექანიზმების შეთავაზებასა და მათი ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ბათუმის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ავადობის აქტიური გამოვლენა და მკურნალობა; ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია; მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპილაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგი და ამბულატორული მკურნალობა; ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა; ერთჯერადი მატერიალური დახმარება ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე; უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა; სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება; სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა; უპოვართა და მზრუნველობას მოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა; მრავალშვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება; პროფესიული სწავლება; შშმ პირების შეღავათებით უზრუნველყოფა; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფის პროგრამა; სამოქალაქო ტრანსპორტზე შეღავათებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	20115 წელი
კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	44 016.0	32 330.0	34 950.0	39 405.0
ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება	51 609.0	62 390.7	58 712.6	68 036.7
საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	4 543.3	3 244.8	3 244.8	3 400.2
ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	6 805.0	4 000.0	3 500.0	3 500.0
განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია	17 350.0	8 800.0	8 910.0	9 700.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო	4 188.0	4 455.0	4 575.0	4 750.0
სულ ჯამი	**128 511.3**	**115 220.5**	**113 892.4**	**128 791.9**

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ქალაქის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: ქალაქგარეთ სადრენაჟო ფართობისაგან ზედაპირული წყლის დაცვას, არსებული კოლექტორების გაწმენდას და შეკეთებას, ადგილობრივი ინფილტრაციით ზედაპირული ჩამონადენის ლიმიტირებას, მდინარეებისა და ღია სანიაღვრე არხების ფსკერების გაწმენდას, გაბიონებისა და ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობას

წყლის სისტემების რეაბილიტაცია - სისტემის ეკონომიკური რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, წყლის მიწოდების ხარისხის ამაღლება; სისტემაში წყლის შენახვის მოცულობის ზრდა; ერთიანი წლიური დანაკარგების შემცირება;

კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია – საკანალიზაციო მილების სრული შეცვლა რეაბილიტაციის ნაცვლად; ექსპლოატაციისათვის ვარგისი არსებული გაყვანილობის სქემის შენარჩუნება ყოველგვარი მოდიფიკაციების გარეშე. მთავარი სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია, სადგურთა შენობების კონსტრუქციის გაუმჯობესება; სისტემის შეერთება გამწმენდ ნაგებობასთან და გაუწმენდავი ფეკალური წყლის ზღვაში განტვირთვის თავიდან აცილება.

2. ურბანული ინფრასტრუქტურა

სანიტარული დასუფთავება - ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, ქალაქისათვის ესთეტიკურად მიმზიდველი გარემოს შექმნა, ქალაქის მოსახლეობისა და მისი სტუმრებისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო ეპიდემიოლოგიური გარემოს უზრუნველყოფა.

გარე განათება - გარე განათების ქსელის განვითარება და არსებულის სრულყოფა; ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა: განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების და ხელსაწყოების კონსტრუქციების, ახალი მასალების გამოყენება; შუქტექნიკის პრაქტიკაში შუქდიოდების აქტიური დანერგვა, ღამით ქალაქში უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა.

ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა - ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა-გაუმჯობესება; გზების სავალი ნაწილის, ტროტუარების, შიდა გასასვლელების საფარის სრულყოფა ყველა სახის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის;

3. საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

საერთო ქონების სათანადო სანიტარული და ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში სახლებში უძრავი ქონების კომპლექსის ერთობლივი მართვა, მისი ექსპლოატაცია, ფლობა, გამოყენება და ზოგიერთ შემთხვევაში, საერთო ქონების განკარგვა.

4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სოფლის ცენტრების, მოსახლეობის თავშეყრის ადგილებისა და სოფლის კულტურული ობიექტების კეთილმოწყობა.

5. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

განხორციელდება სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა, ზღვისპირა ზოლის ნაპირსამაგრი და კეთილმოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი და სახელმწიფო ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

6. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

კულტურის პროგრამები – დღესასწაულებისა და ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნა, ქალაქის და მთლიანად ქვეყნის ენერგიული, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა; ქალაქის დღის და სასოფლო დღესასწაულების ღირსეულად აღნიშვნა;

სპორტის პროგრამები - მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესება და მოსწავლეთა ფიზიკური განვითარება; ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია;

საკლუბო გუნდის ხელშეწყობის პროგრამა – სპორტის ცალკეული სახეობის გუნდების წინსვლაში ხელშეწყობა.

7. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

ისევე როგორც გასულ წლებში, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სხვადასხვა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრმების დაფინანსება. მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სამედიცინო-სოციალურ და პროფილაქტიკურ უზრუნველყოფის სფეროში და ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო სოციალური პირობების შექმნა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	884.9	850.0	870.0	910.0
ურბანული ინფრასტრუქტურა	8 209.7	8 000.0	6 500.0	6550.0
საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	514.1	515.0	515.0	500.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	935.5	945.0	950.5	962.2
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 405.5	1 445.0	1 650.5	1 955.5
განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება	2 553.3	2 580.0	2 580.0	2 600.0
ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები	444,5	450.0	455.0	460.0
სულ ჯამი	**14 947.5**	**14 785.0**	**13 521.0**	**13 937.7**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. განხორციელდება სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: მუნიციპალიტეტის მასშტაბით სადრენაჟო ფართობისაგან ზედაპირული წყლის დაცვას, არსებული კოლექტორების გაწმენდას და შეკეთებას, გაბიონებისა და ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ახალი სანიაღვრე სისტემების მოწყობას.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია - სისტემის რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, მოსახლეობისათვის 24 საათიანი წყლის მიწოდება, სისტემაში წყლის დანაკარგების მინიმალურ დონემდე შემცირება.

2. ურბანული ინფრასტრუქტურა

სანიტარული დასუფთავება - მუნიციპალიტეტის ყოველდღიური სანიტარული დასუფთავება, ქუჩების რეგულარული დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის მოვლა, დასუფთავება.

გარე განათება - გარე განათების ბოძების მონტაჟი და არსებულის სრულყოფა; ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება; ახალი მასალების გამოყენება; შუქტექნიკის პრაქტიკაში შუქდიოდების აქტიური დანერგვა, ღამით მუნიციპალიტეტში უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა.

ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა - მუნიციპალიტეტის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა-გაუმჯობესება; ასფალტირებული და არასაფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები; მოედნების, ქვეითად მოსიარულეთა ქუჩების, ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილების მოასფალტება-კეთილმოწყობა; გზების სავალი ნაწილის, ტროტუარების, შიდა გასასვლელების საფარის სრულყოფა ყველა სახის ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის; საგზაო ნიშნების განთავსება; საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვა და ექსპლოატაცია; მოძრაობის რეგულირებისათვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დანერგვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა – კეთილმოწყობითი ღონისძიებებისათვის პროექტების მომზადება, კონტროლი საპროექტო გადაწყვეტილების შესრულებაზე; მონაწილეობის მიღება წარმოების გრაფიკის შემუშავებაში; მონაწილეობის მიღება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებაში.

მუნიციპალიტეტის დაგეგმარება - მუნიციპალიტეტის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია; უსახური შენობების დემონტაჟი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ქონების რეგისტრაცია; სხვადასხვა კონცეფციების დამუშავება.

3. საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში მეტად მნიშვნელოვანია მრავალბინიან სახლებში უძრავი ქონების კომპლექსის ერთობლივი მართვა, მისი ექსპლოატაცია, ფლობა, გამოყენება და ზოგიერთ შემთხვევაში, საერთო ქონების განკარგვა სახლებში.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება; საცხოვრებელი სახლების სახურავის, ლიფტისა და შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოების ორგანიზება, ეზოების კეთილმოწყობა.

4. ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი თავისი უნიკალური გეორგაფიული მდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს ეკოტურიზმისა და საზღვაო ტურიზმის ცენტრს. საზღვაო ტურიზმი ხელს უწყობს უცხოელი და ადგილობრივი დამსვენებლების მოზიდვას, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებული არიან ეკოტურიზმითაც. უნიკალური ფლორითა და ფაუნით, ისტორიული წარსულითა და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებით გამორჩეულია მაჭახლის ხეობა, რაც დიდ ინტერესს იწვევს ტურისტული მარშრუტების შედგენისას.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიულ-ეთნოგრაფიული და საბაღო-საპარკო ძეგლებით. აქედან გამომდინარე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

5. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება

პარკების, სკვერებისა და მოედნების მუნიციპალიტეტის გაფორმება სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური პროგრამები მიმართულია, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფიაკენ. პროგრამის მიზანია ზოგიერთი, განსაკუთრებით საშიში დაავადების ადრეული გამოვლენა,

პრევენცია და მკურნალობა, მოსახლეობის ინფორმირება, სოციალურად დაუცველ ფენებზე, ქრონიკულად დაავადებულ პირებზე და ბავშვებზე ზრუნვა, ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო სოციალური პირობების შექმნა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	435.7	468.0	470.0	410.0
ურბანული ინფრასტრუქტურა	423.3	432.0	435.5	439.5
საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	300.0	320.0	295.0	253.0
ისტორიული ძეგლებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	30.0	20.0	30.0	25.0
განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება	2079.0	348.5	268.2	241.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო	144.4	150.0	157.8	167.2
სულ ჯამი	**3 412.4**	**1 738.5**	**1 656.5**	**1 535.7**

ქედას მუნიციპალიტეტი

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

დაბის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: დაბის გარეთ სადრენაჟე ფართობისაგან ზედაპირული წყლის დაცვას, არსებული სისტემის გაწმენდას და შეკეთებას, სახურავებისა და სახლების ეზოებიდან წყლის ლოკალურ ინფილტრაციას, ღია სანიაღვრე არხების ფსკერების გაწმენდას, გაბიონების და ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობასა და რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობას, ღია სანიაღვრე არხების შეცვლას თანამედროვე ტიპის დახურული სისტემებით.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია - სისტემის ეკონომიკური რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად სარეზერვო წყლის აუზების მშენებლობა.

კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია – საკანალიზაციო მილების შეცვლა ავარიულ მონაკვეთებში. ექსპლოატაციისათვის ვარგისი არსებული გაყვანილობის სქემის შენარჩუნება და მოვლა. საკანალიზაციო შემკრები სისტემის შექმნა და გაუწმენდავი ფეკალური წყლის მდინარეში ჩადინებისაგან თავის არიდება

2. ურბანული ინფრასტრუქტურა

სანიტარული დასუფთავება - დაბის ქუჩების რეგულარული დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სანაგვე ურნებისა და კონტეინერების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის სისტემატიური ღონისძიებების გატარება, თემის ცენტრებისა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიების ობიექტების ჩართვა სანიტარული დასუფთავების ქსელში. კონტეინერების, ნაგავგამტარების სპეციალური დამუშავება, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება.

გარე განათება - გარე განათების ჩამოყალიბება და არსებულის სრულყოფა, შუქტექნიკის პრაქტიკაში შუქდიოდების აქტიური დანერგვა, ღამით დაბაში უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა. თემისა და სოფლის ცენტრებში ღამის განათების სისტემების დაყენება და ამოქმედება.

ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა - დაბის ქუჩებისა და ტროტუარების სათანადო მდგომარეობაში შენახვა-გაუმჯობესება; ასფალტირებული და არასაფალტირებული ქუჩების სარემონტო სამუშაოები;

მუნიციპალიტეტის დაგეგმარება – მუნიციპალიტეტის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია; უსახური შენობების დემონტაჟი; მუნიციპალიტეტის ქონების აუდიტორული შეფასება; სხვადასხვა კონცეფციების დამუშავება.

3. **საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება; საცხოვრებელი სახლების სახურავის, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოების ორგანიზება, ეზოების და შესასვლელი გზების კეთილმოწყობა, გარე ფასადების გაღებვა-გაფორმება. ეზოების გამწვანებისა და დასასვენებელი ადგილების მოწყობა.

4. **ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული ძეგლების, შენობების აღდგენა. ისტორიული და კულტურული ობიექტების რესტავირება, რაიონის ტერიტორიული ინფრასტრუქტურის სფეროს გაუმჯობესება, ვიზიტიორთათვის მიმზიდველი და საიტერესო პირობების შექმნა. რაიონის ისტორიული ადგილების და კულტურული ძეგლების ფასეულობების სახელმწიფოს მიერ ადექვტური სამართლებრივი დაცვა, მოვლა და პატრონობა რაიონის ტურისტული პოტენციალის გაზრდა.

5. **განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება**

პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა. დაბის გაფორმება. სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. კულტურის პროგრამები სპორტის პროგრამები ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები.

6. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო**

მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სამედიცინო სოციალურ და პროფილაქტიკურ უზრუნველყოფის სფეროში;

ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო სოციალური პირობების შექმნა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
კომუნალური ინფრასტრუქტურის	346.3	348.3	350.0	350.0

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
რეაბილიტაცია				
ურბანული ინფრასტრუქტურა	384.2	390.2	395.4	400.5
საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	40.0	50.0	60.0	65.0
ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება	80.0	85.0	85.0	90.0
განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება	1 750.8	1 760.0	1 800.0	1 800.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო	121.0	121.5	131.0	140.5
სულ ჯამი	**2 722.3**	**2 755.0**	**2 821.4**	**2 846.0**

შუახევის მუნიციპალიტეტი

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, არსებული სანიაღვრე ინფრასტრუქტურის გაწმენდა და შეკეთება, მუნიციპალიტეტის თემებში მისასვლელ გზების გასწვრივ ახალი სანიაღვრე არხების მოწყობა.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია - მოსახლეობისათვის მომსახურების პირობების გაუმჯობესება, სათავე ნაგებობების და წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია.
კანალიზაციის სისტემის მომსახურება – არსებული საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სატუმბი სადგურების მოწყობა.

2. ურბანული ინფრასტრუქტურა

სანიტარული დასუფთავება - ქუჩების რეგულარული დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.

გარე განათება - გარე განათების სისტემის ახალი წერტილების მოწყობა და არსებულის სრულყოფა; ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა:.

3. **განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება**

პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა. სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. კულტურისა და სპორტის პროგრამები

4. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო**

სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება. განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს წარმოადგენენ ინვალიდები და ომის ვეტერანები, ქრონიკულად დაავადებული პირები მრავალშვილიანი ოჯახები და ბავშვები.

5. **სოფლის პროგრამა**

გაგრძელდება სოფლის დახმარების პროგრამა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სიფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, გადაწყდა წლების განმავლობასი დაგროვილი პრობლემების ნაწილი. მოწესრიგდა თემების ცენტრები, წყალგაყვანილობის სისტემები, აგრეთვე ამოქმედდა მცირე ინფრასტრუქტურული ობიექტები. მოწესრიგდა გარე განათება, განხორციელდა წისქვილების რეაბილიტაცია, კეთილმოეწყო სოფლის მოსახლეობის თავშეყრის ადგილები, გაშენდა სარიტუალო დარბაზები, მინი მოედნები.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	235.0	240.5	248.3	250.5
ურბანული ინფრასტრუქტურა	182.1	190.3	195.0	200.0
განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება	1 941.1	1 950.5	1 965.3	1 965.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო	158.5	162.3	165.0	168.5
სოფლის პროგრამა	626.2	652.1	660.2	662.5
სულ ჯამი	**3 142.9**	**3 195.7**	**3 233.8**	**3 246.8**

ხულოს მუნიციპალიტეტი

1. კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია; სანიაღვრე სისტემის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: არსებული სანიაღვრე ინფრასტრუქტურის გაწმენდას და შეკეთებას, მუნიციპალიტეტის თემებში მისასვლელ გზების ახალი სანიაღვრე არხების მოწყობას.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია - სისტემის ეკონომიკური რეაბილიტაცია და მომსახურების პირობების გაუმჯობესება, სისტემაში წყლის დანაკარგების მისაღებ დონემდე შემცირება.

კანალიზაციის სისტემის მომსახურება – დაბა ხულოში და თემებში არსებული საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია - მომსახურება.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია – მუნიციპალიეტეში აუცილებელი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა –რეაბილიტაცია.

2. ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება

სანიტარული დასუფთავება - დაბის და ხულო-ახალციხის მაგისტრალის ცალკეული მონაკვეთების ყოველდღიური სანიტარულ დასუფთავება, ქუჩების რეგულარული დაგვა-დასუფთავება, ტერიტორიაზე სისუფთავის და წესრიგის დაცვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, კონტეინერების, მწვანე საფარის დასუფთავება, ტერიტორიების გაწმენდა თოვლისაგან, ყინულისაგან და მათი გატანა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლა.

გარე განათება - გარე განათების ჩამოყალიბება და არსებულის სრულყოფა; ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა: განათების თანამედროვე წყაროების, ახალი მასალების გამოყენება; მოსახლეობის ღამით უსაფრთხო გადაადგილების ხელის შეწყობა.

3. საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

ამხანაგობების შექმნას აქვს შემდეგი მიზნები და უპირატესობები, რომელსაც თვითმმართველობა აქტიურად უჭერს მხარს:

საქმიანობის განხორციელება უძრავი ქონების შენახვის, მოვლა-პატრონობის და შემდგომი გამოყენების მიზნით;

საერთო ქონების სათანადო სანიტარული და ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა.

4. ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული გარემო ხელს უწყობს მას, რათა იგი გახდეს მიმზიდველი სამთო ტურიზმისათვის , აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ობიექტების რეაბილიტაციის მიზანმიმართული პოლიტიკა, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ უფრო მეტი ტურისტი და დამსვენებელი არა მარტო ზაფხულში არამედ მთელი წლის განმავლობაში. აღნიშნულს ხელს შეუწყობს ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის დაჩქარება და გოდერძის უღელტეხილზე სათხილამურო ბაზის მშენებლობა.

5. განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება

პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა - პარკების, სკვერების და მოედნების მოვლა-შენახვა, შადრევნების მოვლა-შენახვა, ერთწლიანი სეზონური ყვავილების შეძენა, მოვლა დეკორატიული ხეებისა და ბუჩქების გასხვლა-გაფორმება; ტურისტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის განვითარება.

სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია - ადგილობრივი დონის სასპორტო და დასვენების ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია ყველა კატეგორიის მოსახლეობის სპორტით დაკავების მიზნით; ადგილობრივი დონის სასპორტო და დასვენების ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია მასიური სპორტის განვითარებისათვის, სპორტული მოედნების მშენებლობა, საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.

სასპორტო და დასვენების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამყარება და სრულყოფა საბავშვო და მოზარდთა სპორტის, მასიური ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის;

საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

კულტურის პროგრამები –ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნა, ქვეყნის ენერგიული, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა, წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და სტიმულირება შემდგომი მუშაობისათვის, საინტერესო პროექტების ხელშეწყობა; იმ ადამიანების წარმოჩენა, რომელთაც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დააჩინა რაიონის ისტორიას.

სპორტის პროგრამები - მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესება და მოსწავლეთა ფიზიკური განვითარება; ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია;

ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები - ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება; ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრება; ფიზიკურად ძლიერი და სულიერად ჯანსაღი თაობის აღზრდა; ახალგაზრდებისათვის გასართობი და შემეცნებითი პროგრამების შეთავაზება; კომპიუტერუისა და უცხო ენების ათვისებაში ხელშეწყობა.

დაწყებითი სკოლების მშენებლობა - მუნიციპალიტეტში არსებული დაწყებითი სკოლების რეაბილიტაციის დასრულება.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი ამოცანაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობების შესწავლა, მათი გამოვლენა, სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ინდივიდუალური და კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება.

მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას სოციალურად დაუცველი ფენების მთლიანი ან ნაწილობრივი უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს წარმოადგენენ ინვალიდები და ომის ვეტერანები, ქრონიკულად დაავადებული პირები მრავალშვილიანი ოჯახები და ბავშვები.

7. სოფლის პროგრამა

2009 წლიდან მუშაობს სოფლის პროგრამა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, გადაწყდა წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების ნაწილი. მოწესრიგდა თემების ცენტრები, წყალგაყვანილობის სისტემები, აგრეთვე ამოქმედდა მცირე ინფრასტრუქტურული ობიექტები როგორიცაა; გარე განათება, წისქვილები, თავშეყრის ადგილები, სარიტუალო დარბაზები, მინი მოედნები და სხვ.

აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ღონისძიებების განხორციელებისას თითქმის 100% -ით დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	833.4	481.0	222.0	850.0
ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება	108.0	154.0	130.0	135.0
საბინაო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	44.8	100.0	40.0	40.0
ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	40.0	120.0	100.0	90.0
განათლება, კულტურა, სპორტი და დასვენება	1 172.9	1 150.0	1 676.0	1 407.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო	186.1	224.4	234.4	254.4
სოფლის პროგრამა	940.9	960.0	970.0	1 000.0
სულ ჯამი	**3 326.1**	**3 189.4**	**3 372.4**	**3 776.4**

თელავის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში სრულად იქნება რეაბილიტირებული ქალაქის ყველა ქუჩა. კერძოდ, დაგეგმილია ქ. თელავის ქუჩების მოასფალტება, ორმული შეკეთება და ქალაქის ცენტრალური ნაწილის ტროტუარების რეაბილიტაცია. აგრეთვე მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო და ძირითადი გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

თელავის მუნიციპალიტეტისათვის 2012-2015 წლებში განსახორციელებელი პროექტებიდან ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება. ამ ეტაპისათვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს წყალმომარაგება. შესაბამისად დაგეგმილია ქ. თელავში ჭაბურღილების მოწყობა და წყალსადენის შიდა ქსელების რეაბილიტაცია. ჭაბურღილები მოეწყობა აგრეთვე სოფელ ყარაჯალაში, სოფელ კურდღელაურში, სოფელ იყალთოში, სოფელ რუისპირში, სოფელ ვარდისუბანში, სოფელ გულგულაში სოფელ შალაურში და სხვა სოფლებში. ქ. თელავში

აშენდება მაგისტრალური საკანალიზაციო ქსელი, შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და მისი იერსახის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქ. თელავის ტერიტორიაზე და შიდა სასოფლო გზებზე გარე განათების მოწყობა, ახალი ნაგავსაყრელების მოწყობა, გაჩერების ადგილის მოწყობა, ქ. თელავსა და სოფლებში პარკების, სკვერებისა და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა.

4. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია ქ. თელავსა და სოფლებში სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე დაგეგმილია სახელოვნებო სკოლების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, კულტურის ცენტრის, დასვენების და კულტურის პარკის, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-201 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	1 023.1	1 020.0	1 000.0	1 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 155.0	1 500.0	1 500.0	1 500.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	801.0	750.0	700.0	700.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	668.7	650.0	650.0	650.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 453.5	1 400.0	1 200.0	1 200.0
სულ ჯამი	**6 101.3**	**5 320.0**	**5 050.0**	**5 050.0**

ახმეტის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოასფალტდება ქ. ახმეტის შიდა გზები. ასევე გათვალისწინებულია სოფ. ქვედა და ზემო ალვანის ცენტრში წრიულისა და სამკუთხედების მოწყობა, სოფელ მატანის მოასფალტება. ქ. ახმეტაში მდინარე ორველაზე მოეწყობა საცალფეხო ხიდი. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში მოხდება სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია იმ სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის მიწოდება. ქ. ახმეტაში რეაბილიტაცია ჩუტარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებს.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით მოეწყობა დასასვენებელი პარკები, მცირე სკვერები, სადაც განთავსდება საბავშვო სათამაშოები. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ქ. ახმეტაში და მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში შეიქმნება კეთილმოწყობილი გარემო, რაც აუცილებელია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. კეთილმოწყობილი გარემო ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სეზონურად ტურისტებისა და დამსვენებელთა ზრდას.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მომავალი თაობების აღზრდის მიზნით სკოლამდელ განათლების ხელშეწყობა. სხვა პრიორიტეტების მსგავსად ამჟამადაც მიმდინარეობს და მომდევნო წლებშიც გაგრძელდება ამ მიმართულებით სხვადასხვა სახის ღონისძიებები. უახლოს მომავალში დაგეგმილია სოფ. ქისტაურის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომლის დროსაც შესრულდება შიდა მოპირკეთების, იატაკის მოწყობის, გათბობის, ელ-გაყვანილობის, სანიტარული კვანძებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია. ქ. ახმეტის კულტურის სახლს ჩაუტარდება შიდა სარემონტო სამუშაოები და მოხდება მისი აღჭურვა სათანადო ინვენტარით. ასევე სპორტული შეჯიბრებების მაღალ დონეზე ორგანიზების მიზნით რეაბილიტაცია ჩაუტარდება სპორტულ ბაზას. მუნიციპალიტეტში მოეწყობა კულტურული ღონისძიებები ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნების მიზნით.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	1 010.0	1 020.0	1 020.0	1 020.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	770.4	780.0	750.0	750.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა.	415.0	420.0	400.0	400.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	795.0	795.0	795.0	795.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 230.5	1 230.0	1 200.0	1 200.0
სულ ჯამი	**4 220.9**	**4 245.0**	**4 165.0**	**4 165.0**

სიღნაღის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 70%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, ასევე სრულად იქნება აღდგენილი ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ქალაქებში დასრულდება მნიშვნელოვანი შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, აღნიშნულის შესაბამისად სოფელ საქობოში, მაღაროში და სხვა სოფლებში მოეწყობა სასმელი წყლის ჭაბურღილები და მოეწყობა ახალი ქსელები, მოწესრიგდება

საკანალიზაციო სისტემები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეკეთდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

სიღნაღის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

4. სკოლამდელი განთლების ხელშეწყობა

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, იგი შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომავალ წლებში დაგეგმილია სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სამი სოფლის საბავშვო ბაღს და შესაბამისად გაუმჯობესდება საბავშვო ბაღების სააღმზრდელო პირობები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აგრეთვე სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქ. წნორის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია, სოფლებში არსებული სამი მუზეუმის რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

6. სოციალური სფეროს დაფინანსება

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დაგეგმილი სოციალური სფეროს დაფინანსებისთვის, კერძოდ ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა, ახალშობილთა დახმარების პროგრამა, მარტოხელა დედების სოციალური დაცვა, ავადმყოფთა სოციალური დაცვა, იძულებით გადაადგილებულთა სოციალური დაცვა, ამბულატორიების რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	841.0	800.0	800.0	800.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 205.0	1 200.0	1 200.0	1 200.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	338.0	500.0	500.0	500.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	470.0	470.0	470.0	470.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	532.0	500.0	500.0	500.0
სოციალური სფეროს დაფინანსება	306.0	320.0	320.0	320.0
სულ ჯამი	**3 692.0**	**3 790.0**	**3 790.0**	**3 790.0**

ყვარლის მუნიციპალიტეტი

1.მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება ბოლო წლების განმავლობაში ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და შესაბამისად წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხები მიიმართებოდა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურის ძირითადი მონაკვეთები. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სოფლებთან, ძირითად საკურორტო, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია,
საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

სასმელი წყლით მომარაგების სისტემის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში. ამიტომ აუცილებელია განხორციელებულ იქნას მათი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და შემდგომი განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებები. მომდევნო წლებში დაგეგმილია ყოველწლიურად სასმელი წყლის არსებული ქსელების მოვლის, რეაბილიტაციის, განვითარებისა და მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარება წყალმომარაგების სიტემების არმქონე სოფლებში, აუცილებელი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, წყლის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სამსახურის მეშვეობით თანამედროვე მართვის სისტემის დანერგვა და მოსახლეობის წყლის რესურსებით მომარაგების ეფექტური უზრუნველყოფა. კერძოდ დაგეგმილია ქ. ყვარელში მდ. "დურუჯის" დრეჟ-გალერეის და მილსადენის მოწყობის, ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე კანალიზაციის და სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, სოფ. საბუის ჩრდილოეთით სასმელი წყლის დრენაჟების და მილსადენის მოწყობა.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

როგორც ქალაქში, ისე სხვდასხვა სოფლებში განხორციელდება სკვერების კეთილმოწყობა, გაგრძელდება გარე განათების დაზიანებული საყრდენების შეცვლა და ახალი სანათების მოწყობა ქალაქსა და სოფლებში, ქ. ყვარელში ჩატარდება გამწვანების სამუშაოები და დაიდგმება ახალი ნაგვის ურნები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია სასპორტო და კულტურული განათლების ხელშეწყობაზე. აუცილებელია ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია და სპორტის ხელმისაწვდომობა განურჩევლად ასაკისა. მომდევნო წლებში დაგეგმილია სოფ. ჭიკაანში სპორტული დარბაზის მშენებლობა სოფელ ზინობიანში კულტურის სახლის რეაბილიტაცია სოფელ კუჭატანში სპორტული მოედნის მოწყობა, სოფელ ჭიკაანში და სოფელ ზინობიანში კულტურის სახლის რეაბილიტაცია, ქ. ყვარელში კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	918.5	900.0	900.0	850.0
მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის განვითარება	700.1	700.0	600.0	600.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	641.7	650.0	600.0	600.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	550.0	550.0	550.0	550.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	893.0	800.0	800.0	700.0
სულ ჯამი	**3 703.3**	**3 600.0**	**3 450.0**	**3 300.0**

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება. მომდევნო წლებში დაგეგმილია ქალაქის შიდა გზების რეაბილიტაცია, ქ. გურჯაანში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე საავტომობილო გზის დამცავი ჯებირის მოწყობა, სოფლებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა, გზების რეაბილიტაცია სოფლებში: არაშენდა, ჩალაუბანი, ვეჯინი, ველისციხე.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

წყალმომარაგების კუთხით დაგეგმილია სასმელი წყლის სისტემების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, თითქმის ყველა სოფელში დაგეგმილია ახალი ჭაბურღილების მოწყობა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია. ასევე დაგეგმილია ქალაქ გურჯაანში 23 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აგრეთვე ქ. გურჯაანში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადის აღდგენა-რეაბილიტაცია და ქ. გურჯაანში გარე განათების ქსელის მოწყობა.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას. მომავალ წლებში დაგეგმილია ქ. გურჯაანის დასვენებისა და კულტურის პარკის რეაბილიტაცია, აგრეთვე სოფელ შაშიანში სოფლის სახლის ეზოს კათილმოწყობა. გაგრძელდება დასასვენებელი პარკების, სკვერების და მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია–მოწყობა, აგრეთვე ქუჩების გარე განათების რეაბილიტაცია-მშენებლობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად იგი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს. გაგრძელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება, მათ შორის კვების თანხის თანადაფინანსება და საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია.

5. სოციალური ღონისძიებების განხორციელება

გასულ წლის მსგავსად მომდევნო ოთხ წელიწადში პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი სოციალური პროგრამების განხორციელება, როგორიცაა ახალშობილთა და მშობიარეთა ერთჯერადი დახმარება და სამედიცინო მკურნალობის თანადაფინანსება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	1 190.0	1 200.0	1 100.0	1 100.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 604.1	1 600.0	1 500.0	1 500.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	604.5	600.0	600.0	600.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	856.4	800.0	800.0	800.0
სოციალური ღონისძიებების განხორციელება	679.0	600.0	600.0	600.0
სულ ჯამი	**4 934.0**	**4 800.0**	**4 600.0**	**4 600.0**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოასფალტდება ვერხვიანის, წყაროსთავის, პატარძეულის, ბოგდანოვკის, გიორგიწმინდის, პატარა ჩაილურის, მანავის ცენტრალური გზები; რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქ საგარეჯოს ქუჩებს და ტროტუარებს.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტი საჭიროებს კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ამიტომ მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს უჯარმის, ხაშმის, პატარძეულის, მანავის, კაკაბეთის, დიდი ჩაილურის სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, შიდა და გარე ქსელების რეაბილიტაციას. ქ. საგარეჯოში მოეწყობა 5 ჭაბურღილი მრავალბინიანი სახლების ეზოებში და ასევე ბინებში დაიდგმება რეზერვუარები და მოეწყობა შიდა გაყვანილობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქში არსებულ ნაგავსაყრელს, რომლითაც ისარგებლებს 15000 მოსახლე. შეძენილ იქნება თანამედროვე ნაგავმზიდები და ურნები, გაგრძელდება საბინაო ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობასთან თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მრავალსართულიანი ბინების სახურავები და სადარბაზოები, ასევე შეიღებება ფასადები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობასა და იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას. მომდევნო წლებში გაგრძელდება ახალი დასასვენებელი პარკების მოწყობა ქალაქ საგარეჯოში, სოფლებში მოეწყობა გარე განათების ქსელი, განხორციელდება საგარეჯო–გიორგიწმინდის დამაკავშირებელი გზის გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ქ. საგარეჯოს გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია. ასევე კეთილმოეწყობა სოფლებში მოსახლეობის თავშეყრის ადგილები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. მომდევნო წლებშიც გაგრძელდება საბავშვო ბაღის ფუნქციონერებისათვის საჭირო ხარჯის დაფინანსება, დიდ ჩაილურში აშენდება საბავშვო ბაღი 25 აღსაზრდელზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქ საგარეჯოს, სოფელ თოხლიაურის და მთელი რიგი სოფლების საბავშვო ბაღებს. რის შედეგადაც ყველა სოფელში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მომდევნო წლებში დაგეგმილია ქ. საგარეჯოში არსებული სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია, სოფელ კოჭბაანში, სოფელ გიორგიწმინდაში, სოფელ ბადიაურში მინი სპორტული მოედნების მოწყობა, ქალაქ საგარეჯოს ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა. ქ. საგარეჯოში გულისაშვილის ტყე-პარკის შემოღობვა და რეაბილიტაცია. ყოველწლიურად ჩატარდება სოფელ კოჭბაანში „ვაჟაობა“; სოფ. ნინოწმინდაში „ნინოობა“, აღდგება სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“ და მრავალი სხვა დღესასწაული და ღონისძიება.

6. სოციალური ღონისძიებების განხორციელება

მომდევნო ოთხ წელიწადში პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი სოციალური პროგრამების განხორციელება, როგორიცაა ახალშობილთა და მშობიარეთა ერთჯერადი დახმარება და სამედიცინო მკურნალობის თანადაფინანსება და ხელშეწყობა. კერძოდ, მომდევნო წლებში სოფელ პატარა ჩაილურის და ხაშმის ადმინისტრაციულ შენობებში განთავსდება ამბულატორია, სოფელ წყაროსთავში და სოფელ ვერხვიანში აშენდება ამბულატორია, ხოლო სოფელ გიორგიწმინდის და დიდი ჩაილურის ამბულატორიებს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართულის სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	785.0	800.0	800.0	750.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	740.0	750.0	750.0	700.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	609.4	600.0	600.0	550.0

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	779.9	700.0	700.0	700.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 006.0	1 000.0	1 000.0	800.0
სულ ჯამი	**3 920.3**	**3 850.0**	**3 850.0**	**3 500.0**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდება ამ მიმართულებით. რეაბილიტირებული იქნება საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი ნაწილი, გარკვეული მონაკვეთებზე ნაწილობრივი და სრული ასფალტის საფარის აღდგენითი სამუშაოები, აგრეთვე მოწესრიგდება და ჩატარდება სათანადო სამუშაოები სოფლებში არსებულ შიდა გრუნტოვან საავტომობილო გზებზე.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში ქ. დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში მოწესრიგდება და გარკვეულ ქუჩებზე მოეწყობა საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები. სოფლებში: სოფელ ზემო მაჩხაანი, მირზაანი, არბოშიკი, წითელწყარო, ჯაფარიძე, არხილოსკალო და ფიროსმანი განხორციელდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, წყალშემკრები რეზერვუარის და წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის მოწყობა. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას. მომავალ წლებში დაგეგმილია კეთილმოეწყოს ფეხით მოსიარულეთა ტროტუარები, გაგრძელდეს დასასვენებელი პარკების, სკვერების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, მინი სპორტული მოედნების მოწყობა, აგრეთვე ქუჩების გარე განათების რეაბილიტაცია-მშენებლობა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	660.0	700.0	650.0	650.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	768.9	800.0	750.0	750.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის	105.0	120.0	110.0	110.0
სულ ჯამი	**1 533.9**	**1 620.0**	**1 510.0**	**1 510.0**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

1. საავტომობილო გზების რეაბილიტაცია

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება ბოლო წლების განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და შესაბამისად წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი თანხები მიიმართებოდა. მომდევნო წლებში დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება: მუნიციპალიტეტის სოფლებთან და საკურორტო, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

სასმელი წყლით მომარაგების სისტემის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს. ამიტომ აუცილებელია განხორციელებულ იქნას მათი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და შემდგომი განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებები. გამომდინარე აქედან დაგეგმილია ყოველწლიურად სასმელი წყლის არსებული ქსელების მოვლის, რეაბილიტაციის, განვითარებისა და მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარება წყალმომარაგების სიტემების არმქონე სოფლებში, აუცილებელი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, არტეზიული ჭების მშენებლობა, მოსახლეობისათვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა.

ქ. ლაგოდეხში მრავალბინიანი სახლების გადახურვა, ფასადების რემონტი.

3. გარემოს დაცვა

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ნაგავსაყრელის მშენებლობა და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.

4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ქ. ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის მოწყობა. და სკვერში გარე განათების დამონტაჟება, დეკორატიული სკამების მოწყობა, ტროტუარებსა და ბილიკებზე ფილაქნების დაგება, გამწვანების სამუშაოების ჩატარება და ახალი ნაგვის ურნების დადგმა.

როგორც ქალაქში, ისე სხვდასხვა სოფლებში განხორციელდება სკვერების კეთილმოწყობა, გაგრძელდება გარე განათების დაზიანებული საყრდენების შეცვლა და ახალი სანათების მოწყობა. სოფელ ნინიგორში მოეწყობა გარე განათების ფარები და თვითმზიდი ელ.სადენები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებს, არ არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპორტული ობიექტები და ამ ბაზებში ღონისძიებების ჩატარებისათვის ნორმალური პირობები.

აღნიშნული პრიორიტეტი ორიენტირებულია სპორტის სხვადასხვა სახეობების მომზადებასა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობაზე. შესაბამისად დაგეგმილია სპორტული მრავალფუნქციური კომპლექსების, ახალი სპორტული მოედნების, ხელოვნურსაფარიანი მინისაფეხბურთო მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია. კერძოდ დაგეგმილია წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ასევე დღის წესრიგშია კინოთეატრის კაპიტალური შეკეთება, მისი სახურავისა და ინვენტარის შეცვლა.

მომავალ წლებში მუნიციპალიტეტში ჩატარდება შემდეგი კულტურული ღონისძიებები: გამოფენებში მონაწილეობა, ფესტივალების და დღესასწაულების ორგანიზება. გამოფენების მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია პრესით და ტელევიზიით.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	995.0	1 000.0	1 000.0	1 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	856.2	850.0	800.0	800.0
გარემოს დაცვა	550.0	500.0	500.0	500.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	676.2	700.0	700.0	700.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	924.4	1 000.0	1 000.0	1 000.0
სულ ჯამი	**4 001.8**	**4 050.0**	**4 000.0**	**4 000.0**

თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი

1. გზების რეაბილიტაცია

თვითმმართველობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად 2012-2015 წლებში კვლავ რჩება ცენტრალური გზებისა და შიდა ქუჩების რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს ქალაქში როგორც უსაფრთხო სატრანსპორტო გადაადგილებას ასევე გაზრდის შიდა სატრანსპორტო მიმოსვლას და მნიშვნელოვნად აამაღლებს ქალაქის ეკონომიკურ აქტივობას.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მსგავსად 2011 წლისა, თვითმმართველობისთვის პრიორიტეტად 2012-2015 წლებში კვლავ რჩება ქალაქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება. ერთერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ჩართვა აქტუალური პრობლემების მოგვარებაში. პროგრამა „კორპუსის" ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და

განხორციელდება ლიფტების რეაბილიტირება, ასევე გაგრძელდება დასუფთავების ღონისძიებები, ღვარსადენების, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის და წყალმომარაგების ღონისძიებები.

3. ქალაქ ქუთაისის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებში დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის: გარე განათების ქსელის მოწყობა და მოვლა-პატრონობა, სკვერების აღდგენა, ქალაქის განაშენიანებისა და ქუჩების ნუმერაციის ღონისძიებების განხორციელება, საყრდენი კედლის აღდგენა, ეზოების კეთილმოწყობა და ქალაქის სხვა კეთილმოწყობის სამუშაოები.

4. ჯანმრთელობის დაცვა; სოციალური ღონისძიებები

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს 2012-2015 წლებში წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ღონისძიებების ეფექტურად განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაღალკვალიფიციური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა, გარკვეული კატეგორიის პირთა საქალაქო ტრანსპორტით უზრუნველყოფა, მედიკამენტებით დახმარება, მიცვალებულთა სარიტუალო და დასაფლავების მომსახურების გაწევა, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა და სხვა სოციალური პროგრამები.

5. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქ ქუთაისისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე პრიორიტეტულია საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა დაინტერესება და სტიმულირება.

6. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, თვითმმართველობის მიერ განხორციელდება მუზეუმების, ბიბლიოთეკების, თეატრების, სახელოვნებო, სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები, რაც ხელს შეუწყობს ქართულ ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
გზების რეაბილიტაცია	740.0	1 240.0	1 740.0	2 240.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 300.0	2 400.0	2 450.0	2 500.0
ქალაქ ქუთაისის კეთილმოწყობა	2 710.0	2 800.0	3 000.0	3 200.0
ჯანმრთელობის დაცვა; სოციალური ღონისძიებები	2 014.0	2 150.0	2 250.0	2 300.0
სკოლანდელი განათლების ხელშეწყობა	5 056.0	5 100.0	5 200.0	5 250.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	9 278.0	9 300.0	9 320.0	9 350.0
სულ ჯამი	**22 098.0**	**22 990.0**	**23 960.0**	**24 840.0**

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომელიც ასევე ითვალისწინებს გზების დახაზვას და საგზაო ნიშნების დაყენებას. მომდევნო წლებში დაგეგმილია სოფლის საუბნო გზების მოხრეშვა და მოსწორება, ასევე, რეაბილიტირებული იქნება სოფლებამდე მისასვლელი გზები. ქალაქში გაგრძელდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კომუნალური მეურნეობის განვითარებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში სანიტარული პირობების გაუმჯობესება და საბინაო ამხანაგობების მხარდაჭერა.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებში დაგეგმილია სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლებისა და სკვერების აღდგენა, ქვათაცვენის სამუშაოების განხორციელება, გარე განათების ქსელის მოწყობა და მოვლა-პატრონობა, ქალაქის განაშენიანებისა და ქუჩების ნუმერაციის ღონისძიებების განხორციელება, საყრდენი კედლის აღდგენა, ტროტუარების აღდგენა, ხიდებისა და მოაჯირების შეკეთება, შიდა ეზოების კეთილმოწყობა, სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს სკოლამდელი განათლების დაფინანსება. ამიტომ იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, თეატრის, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	450.0	550.0	650.0	750.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	300.0	400.0	500.0	600.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	732.0	750.0	800.0	850.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	755.0	760.0	780.0	800.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 693.0	1 800.0	2 000.0	2 200.0
სულ ჯამი	**3 930.0**	**4 260.0**	**4 730.0**	**5 200.0**

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლის შიდასაუბნო გზები. აშენდება ახალი ხიდები. რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ქალაქში და სოფლად განხორციელდება შიდასაუბნო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. გარდა ამისა მოხდება ტურისტულ ადგილებზე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდასატრანსპროტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლამდე და სოფლებს შორის მომოსვლის დრო, გაიზრდება ტურისტთა ნაკადის რაოდენობა, რის შედეგადაც გაიზდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება დასახლებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება ახალი და გარემონტდება ძველი ამჯამად დაზიანებული წყლის სათავე ნაგებობები, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხავადასხვა სოფლებში დაზიანებული წყალგაყვანილობის სისტემებს.

საკანალიზაციო სისტემები მოწესრიგდება ქალაქშიც. მასთან ერთად ქალაქის გეოგრაფიული სპეციფიურობიდან გამომდინარე გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დამატებით იქნება შესყიდული დასუფთავების სპეცტექნიკა, მათ შორის ნაგვის კონტეინერები. გაგრძელდება საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა და მის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები, წყალ-საკანალიზაციო სისტემები, სადარბაზოები, ასევე განხორციელდება ლიფტების განახლება.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის გაზდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება, ცენტრალური ქუჩების ფასადების აღდგენა-გალამაზება, დასასვენებელი პარკებისა და გამწვანების ზოლების მოწყობა-რეაბილიტაცია.

სოფლებში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები. ეტაპობრივად სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. განხორციელდება სასაფლაოების კეთილმოწყობა და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულების საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. სხვადსხვა სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. ნიჭირი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსაბლების, სამუსიკო და სპორტული ჯგუფების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტაში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესისი დამკვიდრებას, აგრეთვე ფოლკლორული ხელოვნებისა და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	450.0	500.0	520.0	600.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	150.0	200.0	200.0	250.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	273.0	300.0	320.0	350.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	430.0	450.0	470.0	500.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	782.0	800.0	820.0	850.0
სულ ჯამი	**2 085.0**	**2 250.0**	**2 330.0**	**2 550.0**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოწესრიგდება სოფლის შიდა საუბნო გზები, შეკეთდება ხიდები, რომლითაც ერთმანეთს უმოკლესი გზით დაუკავშირდება სოფლები. ასევე, სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ქალაქში დასრულდება შიდა გზების მოასფალტება.

ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შედაგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლამდე და სოფლებს შორის მომოსვლის დრო, გაიზრდება კურორტზე დამსვენებელთა რაოდენობა, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება დასახლებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში. რამოდენიმე სოფელში კვლავ მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის სისტემები, ქალაქში სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები, ამ მხრივ ასევე პრობლემებია ზოგიერთ სოფელშიც. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეორნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში აშენდება და მოეწყობა წყლის სისტემები და სათავე ნაგებობები, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პირობების ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც

მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, ასევე სრულყოფილად მოწესრიგდება გარე განათების ქსელი, როგორც ქალაქში, ასევე სოფლის ცენტრებში.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მომართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განვითარებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც ქალაქსა და სოფელში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშო ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ასევე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	450,0	500,0	550,0	600,0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	300,0	350,0	400,0	450,0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	800,0	850,0	900,0	950,0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	659,0	720,0	750,0	800,0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	921,0	1 000,0	1 100,0	1 200,0
სულ ჯამი	**3 130,0**	**3 420,0**	**3 700,0**	**4 000,0**

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია და მდ.ხანისწყალზე არსებული ხიდის კაპიტალური რემონტი. დაზიანებულია და კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებს შორის დამაკავშირებელი გზები.

პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება ამ მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილება. ხიდის რეაბილიტაცია გააუმჯობესებს სატარანსპორტო საშუალებების და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მწყობრიდან გამოსულია სათავე ნაგებობა, ფაქტიურად არ ხდება წყლის დაგროვება და ფილტრაცია. ქ. ბაღდათში სიძველის გამო მწობრიდან გამოსულია წყალმომარაგების სისტემა, მაღალი კორპუსების

ზედა სართულებს წყალი არ მიეწოდება. ასაშენებელია სათავე ნაგებობა, ქ. ბაღდათში გამოსაცვლელია წყალმომარაგების სისტემა.

პროექტის განხორციელების შედეგად მოწესრიგდება მოსახლეობაზე წყალმომარაგების სისტემა და შესაძლებელი გახდება 16 საათამდე გაიზარდოს წყლის მიწოდების გრაფიკი.

იგეგმება მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების კაპიტალური შეკეთება, რომელის განხორციელება მოხდება თანადაფინანსების პრინციპით საბინაო ამხანაგობებთან ერთად.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდება არსებული ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა, სოფლებში მინი სპორტული მოედნების მშენებლობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის მშენებლობა, სანაგვე ურნებისა და დასუფთავების მანქანის შეძენა, ქ. ბაღდათში არსებული გარე განათების კაპიტალურად შეკეთდება.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი სპორტული მოედნების მშენებლობა, სპორტული სკოლის კაპიტალური რემონტი.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	350.0	400.0	420.0	450.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	402.0	450.0	500.0	550.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	150.0	200.0	250.0	300.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	497.0	520.0	550.0	600.0
სულ ჯამი	**1 399.0**	**1 570.0**	**1 720.0**	**1 900.0**

ვანის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

2012-2015 წლებში ვანის მუნიციპალიტეტში იგეგმება საავტომობილო გზების კაპიტალური შეკეთება, ხიდ-ბოგირების ბურჯების და სავალი ნაწილის რეაბილიტაცია.

აღნიშნულის შედეგად აღდგება რაიონში არსებული საავტომობილო გზების საფარი, გაუმჯობესდება საავტომობილო კავშირი რაიონის ცენტრიდან თემებთან, სოფლებთან, სხვა რაიონებთან და ქალაქებთან. შემცირდება მგზავრობის ხანგრძლივობა, უსაფრთხო გახდება ტრანსპორტის გადაადგილება და გაუმჯობესდება მგზავრთა მომსახურების ხარისხი. აგრეთვე ხიდ-ბოგირების შეკეთებით გაუმჯობესდება კავშირი უბნებს შორის, უსაფრთხო გახდება ტრანსპორტის გადაადგილება და ფეხით მოსიარულეთა გადასვლა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

აშენდება სასმელი წყლის ახალი სათავე ნაგებობა, რომლიდანაც მომარაგდება 4 თემის მოსახლეობა, შეკეთდება სოფლებში არსებული სათავე ნაგებობები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალგაყვანილობის სისტემის 80%-ს.

ქალაქში მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა, ამოიწმინდება შევსებული სანიაღვრე არხები, შეკეთდება კოლექტორები.

პროექტის განხორციელების შედეგად მოწესრიგდება მოსახლეობაზე წყალმომარაგების სისტემა, გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, დატბორვას გადაურჩება სანიაღვრე არხების მიმდებარე ტერიტორიები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კეთილმოწყობასა და იერსახის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდას. აღნიშნულის გათვალისწინებით გაგრძელდება კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, გადაიხურება მრავალბინიანი სახლები და შეკეთდება ფასადები, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება დასასვენებელ პარკებს, ყველა თემის მისასვლელ ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები, მოხდება პოლიციის ეზოს კეთილმოწყობა.

აღნიშნულის შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა პირობები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურისა და არქიტექტურის ობიექტების რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	400.0	500.0	550.0	600.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	257.0	350.0	400.0	450.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	450.0	500.0	550.0	600.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	412.0	450.0	500.0	550.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	776.0	800.0	850.0	900.0
სულ ჯამი	**2 295.0**	**2 600.0**	**2 850.0**	**3 100.0**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის შემავალ სოფელში აღდგება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება გზებს.

აღნიშნულის შედეგად ქალაქის გზების ასფალტირების სამუშაოებით და სოფლის ცენტრალური გზების რეაბილიტაციის შედეგად მოიხსნება ტრანსპორტის გადაადგილების პრობლემა, დაკმაყოფილდება ქალაქის მოსახლეობის 3 750 ოჯახი და სოფლის მოსახლეობის 5 300 ოჯახი.

2. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კეთილმოწყობასა და იერსახის გაუმჯობესებას. ქალაქში კეთილმოწყობის მომსახურეობის კუთხით შექმნილია სერვისცენტრი, რომელიც აღჭურვილია და დამატებით აღიჭურვება თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ნაგავსაყრელ ტერიტორიას, შესყიდული იქნება ნაგავსაზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდებათ არსებულ ლიფტებს, მოხდება მიმდებარე ეზოების და ტერიტორიების კეთილმოწყობა. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მოეწყობა სკვერი, გარე განათება, მინი საბავშვო ატრაქციონები.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დიდი უპირატესობა მიენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება, საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხების დაფინანსება, ასევე დიდი უპირატესობა ენიჭება სადგურ სვირში საჯარო სკოლის მშენებლობას. აშენდება 150 მოსწავლეზე გათვლილი სასწავლო დაწესებულება.

აღნიშნულის შედეგად მოიხსნება მრავალწლიანი პრობლემა.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოეწყობა ახალი მინი სტადიონები და ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება მწყობრიდან გამოსულ მინი სტადიონებს. განხორციელდება უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	600,0	700,0	800,0	900,0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	1 344,0	1 400,0	1 600,0	1 650,0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	950,0	1 000,0	1 100,0	1 150,0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 049,0	1 100,0	1 150,0	1 150,0
სულ ჯამი	**3 943,0**	**4 200,0**	**4 650,0**	**4 850,0**

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

1. სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური პროგრამების განხორციელება. 2012-2015 წლებში იგეგმება მოსახლეობის გაზიფიკაცია. გაგრძელდება ახალშობილთა ოჯახების დახმარება, უფასო სასადილოს ფუნქციონირება. უკიდურესად გაჭირვებულთათვის და ავადმყოფებისათვის საკვები პროდუქტების, მედიკამენტების, ფინანსური დახმარებების გამოყოფა, გაიცემა სარიტუალო

და უსახლკაროთა დახმარების ხარჯები. გაუმჯობესდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოც. პირობები.

2. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

2012–2015 წლებში მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში სრულად იქნება რეაბილიტირებული შიდა საუბნო გზები. ამასთან, ბიუჯეტის სახსრები მიმართული იქნება ხრეშოვანი გზების ასფალტირებაზე. ცენტრის სოფლებთან დამაკავშირებელ და სოფლებს შორის გზებზე დაიგება ასფალტის საფარი, დასრულდება ქალაქის ქუჩებისა და მოედნების რეაბილიტაცია.

3. კომუნალური მეურნეობის განვითარება

განხორციელდება წყლის სისტემების რეზერვუარების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია. წყალმომარაგების სათავე ნაგებობებისა და შიდა ქსელის, კანალიზაციის, გამწმენდი ნაგებობის და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია. ასევე გაგრძელდება დასუფთავების ღონისძიებები, როგორც ქალაქის ტერიტორიის ასევე სოფლების.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მიგრაციის პროცესი. კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა უზრუნველყოფს სეზონურად ტურისტებისა და დამსვენებელთა რაოდენობის გაზრდას.

4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

ქალაქში ჩატარდება მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია, კეთილმოეწყობა ეზოები, სოფლის ცენტრებში დამონტაჟდება გარე განათების ბოძები, შეკეთდება ღობეები, მოეწყობა მცირე სკვერები და ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილები.

5. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

2012-2015 წლებში გაგრძელდება ბაგა–ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, კეთილმოეწყობა და ახალი ინვენტარით აღიჭურვება ყველა საბავშვო ბაგა–ბაღი. გაგრძელდება ბავშვთა კვების თანადაფინანსება.

6. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში განხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების

ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. აგრეთვე განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. კეთილმოეწყობა კინო-თეატრის, მუზეუმების, კულტურის სახლის შენობები, დაფუძნდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გაიზრდება სახალხო თეატრის დაფინანსება. ჩატარდება ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია, შეიქმნება ადგილობრივი საფეხბურთო კლუბი.

აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესს, ხელოვანთა პროფესიულ ზრდას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფა	296.0	300.0	320.0	350.0
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	550.0	600.0	650.0	700.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	600.0	700.0	800.0	900.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	265.0	300.0	350.0	450.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	818.0	870.0	920.0	970.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	716.0	750.0	800.0	850.0
სულ ჯამი	**3 245.0**	**3 520.0**	**3 840.0**	**4 220.0**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის განხორციელებაც გათვალისწინებულია რამოდენიმე წლის განმავლობაში. ასევე გათვალისწინებულია ხიდებისა და ბოგირების რეაბილიტაცია, ქუთაისი-სამტრედიის გზაგამტარი ხიდის (შემოსასვლელი ხიდი) კეთილმოწყობა და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება. წყლის სისტემებისა და სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბინაო ამხანაგობების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება, კერძოდ, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების აღდგენითი სამუშაოები და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგება.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება. დაგეგმილია სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების სარეაბილტაციო სამუშაოები, კულტურის ცენტრის მიმდებარე პარკის კეთილმოწყობა. ეტაპობრივად განხორციელდება გარე განათების სისტემების მოწესრიგება.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, რის შედეგადაც ყველა სოფელში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტულ და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, კერძოდ სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - კეთილმოწყობა, აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება ხელს შეუწყობს

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. კულტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციიდან მნიშვნელოვანია წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება. მუნიციპალიტეტში ჩატარებული იქნა ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია ეროსი მანჯგალაძის კულტურის ცენტრის კეთილმოწყობა. გათვალისწინებულია სამუსიკო სკოლების რეაბილიტაცია და დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის მუზეუმის კეთილმოწყობა, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სეზონურად ტურისტებისა და დამსვენებელთა რაოდენობის ზრდას. კულტურული ღონისძიებების ჩატარება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	300.0	350.0	400.0	450.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	700.0	750.0	800.0	850.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	324.0	350.0	400.0	450.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	690.0	740.0	800.0	850.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 246.0	1 300.0	1 350.0	1 400.0
სულ ჯამი	**3 260.0**	**3 490.0**	**3 750.0**	**4 000.0**

საჩხერის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

საჩხერის მუნიციპალიტეტის ერთ_ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, მისი საფარის აღდგენა და აქ არსებული ხიდ-ბოგირების და სხვათა აღდგენა და ახლის მშენებლობა. პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო ოთხ წელიწადში რეაბილიტირებული იქნება სოფლებამდე მისასვლელი არსებული საავტომობილო გზების 50_55 პროცენტი, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების საუბნო გზები, ყოველ წელს საშუალოდ აშენდება 7-8 საავტომობილო მოსაცდელი, და 3-4 მარტივი ტიპის საავტომობილო ხიდი, საავტომობილო გზებზე მოეწყობა წყალმრიდები და სხვა გზის დამცავი საშუალებები. მოასფალტდება სოფელ კორბოულის და სოფელ ჯალაურთის 9 კილომეტრიანი საავტომობილო გზის მონაკვეთი.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

საჩხერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნლური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში აშენდება სოფელ იცქისის წყალმომარაგების სისიტემა და რვა სოფლის წყლის სისტემის სათავე ნაგებობები. ოთხ სოფელში გაყვანილი იქნება საკანლიზაციო ქსელი, შეძენილი იქნება საკანალიზაციო ქსელისათვის საჭირო პლასტმასის მილები.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები რაც თავისთავად აგვაცილებს მიგრაციის პროცესს.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

წინა წლების მსგავსად, 2012-1015 წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება. სოფლის ცენტრებში დაგეგმილია დეკორატიული კედლების მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია, დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია და საზოგადოების თავშეყრის ადგილების მოწყობა,

სოფლების ცენტრში გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები, განხორციელდება სასაფლაოების კეთილმოწყობა და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა. შეძენილი იქნება ოთხი ერთეული ნაგვის სპეციალური ავტომანქანა, მდინარე ყვირილაზე, ჩიხურაზე, ძირულაზე და ჯრუჭულაზე საჭიროების გათვალისწინებით მოეწყობა ნაპირსამაგრი კედლები, განხორციელდება ლანშაფტების დაცვის პროექტები.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ქ. საჩხერეში და მუნიციპალიტეტის სოფლების გარკვეულ ნაწილში შეიქმნება კეთილმოწყობილი გარემო, რაც ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მოსახლეობის ნორმალური ყოფა-ცხოვრებისათვის. კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა დამსვენებელთა ზრდასთან ერთად აამაღლებს მუდმივ მცხოვრებთა შრომით აქტივობას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	400,0	450,0	500,0	550,0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	232,0	250,0	300,0	350,0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	800,0	850,0	900,0	950,0
სულ ჯამი	**1 432,0**	**1 550,0**	**1 700,0**	**1 850,0**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია. გათვალისწინებულია ქუჩების მოასფალტება, გზების შეკეთება, ბაზალეთი, ღორეშის, ლაშე-ხარაგაულის, ხარაგაული-ფარცხნალის მონაკვეთებზე. ასევე გათვალისწინებულია სოფელ მაქათუბანში ახალი ხიდის მოწყობა და სოფელ ვახანში ხიდის შეკეთება.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება. მომდევნო წლებში იგეგმება სანიაღვრე არხების შეკეთება, მრავალბინიან შენობებში შიდა ცენტრალური კანალიზაციისა და წყლის ქსელის შეკეთება.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში 2012 წელს დაგეგმილია დასასვენებელი პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, ცენტრალური ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, გარე განათების რეაბილიტაცია. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეკეთდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები.

აღნიშნული პროექტის განმხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტში შეიქმნება კეთილმოწყობილი გარემო, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დამსვენებლების ზრდას.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც წინა წლებში, ასევე მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში, გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

5. სოციალური სფეროს დაფინანსება

როგორც წინა წლებში ასევე 2012 წელს და მომავალ წლებშიც მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფს სოციალური სფეროს დასაფინანსებლად. აღნიშნულ

სფეროში პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მკურნალობისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება, უფასო სასადილოს დაფინანსება, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	500.0	550.0	600.0	650.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	600.0	650.0	650.0	700.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	200.0	250.0	300.0	350.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	750.0	700.0	800.0	850.0
სოციალური სფეროს დაფინანსება	326.0	350.0	380.0	400.0
სულ ჯამი	**2 425.0**	**2 620.0**	**2 810.0**	**3 000.0**

ხონის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 70%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა და საუბნო გზები, რაც ხელს შეუწყობს შიდა სატრანსპორტო მიმოსვლას.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში განხორციელდება წყლის სისტემებისა და სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მათი მიგრაციის პროცესი.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია გაზონებისა და ტროტუარების მოწესრიგება, დასასვენებელი სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები, განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია, მათი მოვლა-პატრონობა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტში შეიქმნება კეთილმოწყობილი გარემო, რაც ასევე აუცილებელია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ასევე, სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია,

ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც ქალაქში და სოფლებში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	150.0	200.0	250.0	250.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	357.0	400.0	450.0	500.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	450.0	500.0	500.0	650.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	350.0	350.0	370.0	700.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	760.0	800.0	830.0	850.0
სულ ჯამი	**2 040.0**	**2 250.0**	**2 450.0**	**2 950.0**

თვითმმართველი ქალაქი ფოთი

1. ინფარასტრუქტურული პროექტების განხორციელება

2012-2015 წლებსში თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებში კვლავ წინა პლანზე იქნება წამოწეული ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ: მიწისქვეშა კომუნიკაციების აღდგენის სამუშაოები, ქუჩების ასფალტირება და სანიაღვრე სისტემების მოწყობა, ასევე გაგრძელდება ქალაქის გაზიფიკაციის შიდა ქსელის მოწყობა, დასრულდება სასმელი წყლის ქალაქის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ქალაქის კანალიზაციის ქსელის მოწყობა.

2. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დიდი უპირატესობა მიენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხებით დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და შენობების კაპიტალური შეკეთება.

3. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად. კულტურული და სპორტული დონის ამაღლება თავის თავში გულისხმობს პირველ რიგში ფინანსური კუთხით ამჟამად სუბსიდირებული ორგანიზაციების (ა.ი.პ, ს.ს.ი.პ და სხვა) დაფინანსების წყაროს მოძიებას და მისი ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებას, რაც გამოიწვევს ზემოაღნიშნული შედეგებისკენ ეტაპობრივ სვლას.

მოკლევადიან პერსპექტივაში ასევე აუცილებელია თეატრისა და სპორტის სასახლის მშენებლობის დასრულება, რაც ხელს შეუწყობს ქ. ფოთში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

4. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

2012-2015 წლებში ქალაქ ფოთში პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი სოციალური პროგრამები: ახალშობილ ბავშვთა ოჯახების დახმარების, მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების, მოსახლეობის ერთჯერადი

მატერიალური დახმარების, სადღესასწაულო დღეების დახმარების, უფასო სასადილოების დაფინანსების, მარტოხელა დედათა ყოველთვიური დახმარების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე მსოფლიო ომის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისთვისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების, მიუსაფარ ბავშვთა რეაბილიტაციის და საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების პროგრამები.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოსახლეობის სტაციონალური მკურნალობის, მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის, ფსიქიკურად დაავადებულთა და ურგენტულ ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირების, გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის, სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამები.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
ინფრატსრუქტურული პროექტების დაფინანსება	7 364,2	12 170,0	13 100,0	13 500,0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	1 000,0	1 100,0	1 300,0	1 350,0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	3 100,2	4 500,0	5 000,0	5 500,0
სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	1 392,5	1 295,0	1 320,0	1 342,0
სულ ჯამი	**12 856,9**	**19 065,0**	**20 720,0**	**21 692,0**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა განხორციელება

2012-2015 წლებში მუნიციპალიტეტის კეთილმოწობისათვის იგეგმება შემდეგი ღონისძიებების გატარება როგორიც არის: სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაცული იქნება ნიაღვრისაგან. მიწების განაყოფიერება მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარება. ქალაქის დასუფთავების სპეცტექნიკისა და ნაგვის კონტეინერების შეძენა მუნიციპალიტეტში გააუმჯობესებს სანიტარულ-ეკოლოგიურ მდგომარეობას, ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, სუფთა ქალაქის იმიჯის შეძენას. მრავალსართულიანი ბინების ეზოების კეთილმოწყობა გააუმჯობესებს ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს. მრავალსართულიან სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია გააუმჯობესებს აღნიშნულ ბინებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს, ქალაქის გამწვანების სამუშაოების განხორციელებით ქალაქი გახდება უფრო მიმზიდველი ტურისტებისათვის, გაუმჯობესდება ეკოსისტემა, შენობა-ნაგებობების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის 2012-2015 წლებში შესრულებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეპროექტები და მიღწეული იქნება დადებითი შედეგები: ახალშობილთა ოჯახების დახმარება, დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური დახმარება, ხანდაზმული (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა ფულადი დახმარება, ეკონომიურად შეჭირვებული ოჯახებისათვის სათბობის შეძენაზე დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების სოციალური დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური დაცვა, მიუსაფართა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებთა დახმარება, დევნილთა დახმარება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება, უფასო მედიკამენტებით დახმარების პროგრამა და სხვა სოციალური დახმარები.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტში კვლავ პრიორიტეტულად რჩება სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა. რამდენადაც ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვისათვის იმ აუცილებელი

ცოდნის და ქცევის ნორმის შეძენა, რაც უზრუნველყოფს მის მზადყოფნას სკოლაში სწავლისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის. 2012 წლიდან გათვალისწნებულია სკოლამდელ დაწესებულებათა დაფინანსების პრინციპის შეცვლა ერთ ბავშვზე გათვლილი ფინანსური ნორმარტივის ფორმით /ვაუჩერით/. სკოლამდელ დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

4. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის განვითარება. მომავალ წლებში გათვალისწინებულია ქალაქისა და სოფლის შიდა გზების ძირითადი ნაწილი რეაბილიტირებული იქნეს ასფალტის საფარით და მოხრეშვის გზით. განხორციელდება შუქნიშნების შესყიდვა და მოხდება მათი დამონტაჟება. შეკეთდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხიდ-ბოგირებს. ყოველივე ზემოაღნიშნული გააუმჯობესებს ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლას. განხორციელდება გარე განათების ახალი ქსელის მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია. გაკეთდება მინი ხელოვნურ-საფარიანი სპორტული მოედნები, მოხდება ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა, ცენტრალური კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა განხროციელება	1 800.0	2 000.0	2 100.0	2 200.0
მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	755.0	800.0	850.0	9000
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	1 200.0	1 300.0	1 350.0	1 400.0
მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება	8 065.0	12 000.0	15 000.0	16 000.0
სულ ჯამი	**11 820,0**	**16 100,0**	**19 300,0**	**20 500.0**

აბაშის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

აბაშის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს 2012-2015 წლებში წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში სრულად რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ჩაუტარდება რეკონსტრუქცია ხიდ-ბოგირებს.

2. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია.

3. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია 2012-2015 წლებში როგორც წინა წლებში მოხდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

4. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს საბინაო კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც გასული წლების განმავლობაში ჩატარდა მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების სარემონტო სამუშაოები. აღნიშული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში

დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები. 2012-2015 წლებში დაგეგმილია საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. ასევე პრიორიტეტული დარჩება სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი სამუშაოების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

5. **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება**

მომდევნო წლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება და ცენტრალური პარკის მოწყობა-რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	750.0	800.0	950.0	1 000.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	700.0	600.0	750.0	700.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	800.0	500.0	525.0	650.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	730.8	250.0	300.0	400.0
მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	200.0	900.0	950.0	1 000.0
სულ ჯამი	**3 180.8**	**3 050.0**	**3 475.0**	**3 750.0**

მარტვილის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მარტვილის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს: შიდა საქალაქო და სასოფლო გზების რეაბილიტაცია. მომდევნო 4 წლის განმავლობაში რეკონსტრუქცია ჩაუტარდება როგორც შიდა საქალაქო ასევე სოფლის გზებს. აღნიშნული გზების რეაბილიტაცია მოსახლეობას მისცემს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას, გაუმჯობესდება სატრანსპორტო მიმოსვლა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მარტვილის მუნიციპალიტეტში გაგრძელდება გარე განათების ქსელის მშენებლობა, რომელიც მნიშნელოვნად გააუმჯობესებს გარე განათების სისტემების მუშაობის ეფექტურობას და უსაფრთხოს გახდის როგორც საავტომობილო მოძრაობას ასევ ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა გულისხმობს მარტვილის სკოლამდელი საგანმანთლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების დაფინანსებას. მომავალ წლებში დაგეგმილია რამდენიმე ბაგა-ბაღის გახსნა, და არსებული ბაღების რეაბილიტაცია რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას სკოლმდელი ასაკის ბავშვებისათვის განათლების მიღებას.

4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მარტვილის მუნიციპალიტეტის ერთერთი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, რომელიც ითვალისწინებს ქ. მარტვილის ცენტრიდან ეკლესიამდე საბაგირო გზის რეაბილიტაციას, ქ. მარტვილში მოეწყობა სკვერი, ასევე ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა გულისხმობს კომპლექსური სპორტული სკოლის, საფეხბურთო სკოლის, სამუსიკო სკოლის და

კულტურის ცენტრის დაფინანსებას. აღნიშნული ორგანიზაციების მიერ თვითმმართველობასთან შეთანხმებით გატარებული ღონისძიებები გამოიწვევს სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარებას, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობას სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ ღონისძიებებში.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	750,0	800,0	950,0	1000,0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	700,0	600,0	750,0	700,0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	190,0	250,0	300,0	400,0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	800,0	700,0	600,0	600,0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 063,0	900,0	950,0	1 000,0
სულ ჯამი	**3 503,0**	**3 250,0**	**3 550,0**	**3 700,0**

მესტიის მუნიციპალიტეტი

1. მუნიცილიპატიტის გზების რეაბილიტაცია

მომდევნო ოთხ წელიწადში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის გზებს კერძოდ იგეგმება შემდეგი პროექტების განხორციელება: ნაკრას გზის რეაბილიტაცია, ებუთის გზის რეაბილიტაცია, ცხუმარი-მაგარდელის გზის რეაბილიტაცია, ახალგაზრდულ კლუ ბეთქილის გზის რეაბილიტაცია, ჭოლაშის გზის რეაბილიტაცია, მუძალის გზის რეაბილიტაცია, წვირმის გზის რეაბილიტაცია, ბოგრეში-ნაკიფარი-ზეგარის გზის რეაბილიტაცია, ადიშის გზის რეაბილიტაცია, კალა ხალდეს გზის რეაბილიტაცია. ასევე სრულად რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებამდე დამაკავშირებელი გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კვლავ რჩება, კომუნალური მეურნეობის განვითარება. სოფლებში მოეწყობა გარე განათების ქსელი, აშენდება ნაგავსაყრელი და შესყიდული იქნება ნაგავმზიდი მანქანები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა.

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია გაზონებისა და ტროტუარების მოწესრიგება, დასასვენებელი სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა.

მესტიის მუნიციპალიტეტში მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დიდი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში გაგრძელდება საბავშვო ბაღების დაფინანსება, მათი შენობების რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის მხრივ დაგეგმილია სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპლიტეტის სოფლებში

სპორტული მოედნების მოწყობა ასევე დიდი ყურადღება დაეთმობა სოფლებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა რეაბილიტაციას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	750.0	800.0	950.0	1000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	700.0	600.0	750.0	700.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	700.0	900.0	950.0	1100.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	220.0	250.0	300.0	400.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	413.1	600.0	700.0	900.0
სულ ჯამი	**2 783.1**	**3 150.0**	**3 650.0**	**4 100.0**

სენაკის მუნიციპალიტეტი

1. გზების რეაბილიტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, შეკეთდება და მოიხრეშება თემებში შიდა საუბნო გზები. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან თემამდე და თემებს შორის მიმოსვლის დრო.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, კვლავაც

შეფერხებულია სასმელი წყლის მიწოდება, მოსახლეობას საკმაოდ დაშორებული ბუნებრივი წყაროებიდან უწევს ყოველდღიურად სასმელი წყლის მომარაგება, მოსაწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა თემებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, ყველა თემში მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები, აშენდება რამდენიმე ახალი ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგვის კონტეინერები.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მისი იერსახის გაუმჯობესება, რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. შესაბამისად, მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, თემებში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა თემის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. ასევე, განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით სენაკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

ვინაიდან, მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა წარმოადგენს, მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული ღონისძიებების

დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. აგრეთვე დაგეგმილია საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
გზების რეაბილიტაცია	750.0	800.0	950.0	1 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	700.0	700.0	750.0	700.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	650.0	400.0	350.0	300.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	560.0	600.0	620.0	700.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	900.0	1 000.0	950.0	1 000.0
სულ ჯამი	**3 560.0**	**3 500.0**	**3 620.0**	**3 700.0**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს მომდევნო 4 წლის განმავლობაში წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია 2012-2015 წლებში სრულად დამთავრდება ძირითადი გზების რეაბილიტაცია მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, აშენდება ახალი ხიდები და რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ ხიდ-ბოგირებს.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, ამდენად ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათება ზემოაღნიშული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მათი მიგრაციის პროცესი.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტში კვლავ აქტუალური იქნება დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები. გაფართოვდება დასუფთავებას დაქვემდებარებული ტერიტორია დაბა ჩხოროწყუში, მოწესრიგდება ნაგავსაყრელისაკენ მიმავალი გზა, გაგრძელდება დაბა ჩხოროწყუში ცენტრალური პარკისა და სკვერების, ასევე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, რაც უფრო მეტ კომფორტულ გარემოს შეუქმნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დარჩება სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა. მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

5. **სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში მომდევნო წლებში გაგრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ნიჭიერი სპორტსმენებისთვის ფინანსური მხარდაჭერა, რეაბილიტირებულ იქნება საფეხბურთო კლუბი, განხორციელდება ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, რაც უზრუნველყოფს ხელოვნებისა და კულტურის ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	750.0	800.0	950.0	1 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	400.0	450.0	500.0	500.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	350.0	400.0	420.0	450.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	318.0	300.0	300.0	400.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	617.0	800.0	850.0	950.0
სულ ჯამი	**2 435.0**	**2 750.0**	**3 020.0**	**3 300.0**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიების კეთილმოწყობა

მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ქ. წალენჯიხის ცენტრის კეთილმოწყობა, თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელის მშენებლობა, ქ. წალენჯიხის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა და ფასადების შეღებვა, ასევე დაგეგმილია მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტის თემებში წყლის სისტემების მიმდინარე შეკეთებები, პარკების, სკვერების, ქალაქების გამწვანების განახლება და სხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები.

2. გზების რეაბილიტაცია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მოასფალტებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, აშენდება ახალი ხიდები და ხიდ-ბოგირები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას.

3. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით მომავალი 4 წლის განმავლობაში გაგრდძელდება შემდეგი ღონისძიებების გატარება: ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების, მათ შორის მშობიარობის, ანტირაბიული და სხვა პროგრამების დაფინანსება, მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა დახმარება, უმწეოთა უფასო კვება, გაჭირვებულ ოჯახთა ერთჯერადი დახმარებები, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ფახულანის თემში საბავშვო ბაღის მშენებლობის დამთავრება, ფოცხოს დასახლებაში საბავშვო ბაღის გახსნა და არსებული საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება და საჭირო ინვენტარით მომარაგება.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია ქ. წალენჯიხაში სახელოვნებო სკოლის და ქ. ჯვარში კულტურის სახლის რეაბილიტაცია, წალენჯიხის ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობა და ქ. ჯვარის სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია, თემებში არსებული მოედნების კეთილმოწყობა და ახალი მინი მოედნების მშენებლობა, ასევე დაგეგმილია ქ. წალენჯიხაში კულტურის სახლის მშენებლობა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობაა	700.0	600.0	750.0	700.0
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	750.0	800.0	950.0	1000.0
მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	800.0	800.0	800.0	800.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	480.0	350.0	300.0	400.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	760.0	900.0	950.0	1 000.0
სულ ჯამი	**3 490.0**	**3 450.0**	**3 750.0**	**3 900.0**

ხობის მუნიციპალიტეტი

1. გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი კვლავ იქნება მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია. 2012-2015 წლებში დაგეგმილია ხობი-საჯიჯაო-ჩხოროწყუს დამაკავშირებელი გზის, სოფ. საჯიაჯოში ქვედა ჯაპიშაქარი-ქვედა ზენის მონაკვეთისა და სხვა მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, ასევე დაგეგმილია მომდევნო 4 წლის განმავლობაში ახალი ხიდების, ხიდ-ბოგირების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

2012-2015 წლებში დაგეგმილია წყლის სისტემებისა და სათაო ნაგებობების რეაბილიტაცია კერძოდ: ქ. ხობის წყალსადენის სათაო ნაგებობაზე სიღრმული ტუმბოების შეცვლა, ЦНС ტიპის ტუმბო-აგრეგატების შეძენა, ელექტროსისტემის მოწესრიგება და ქალაქის შიდა ქსელის რეაბილიტაცია. ასევე დაგეგმილია, სოფლებში საკანალიზაციო სისტემის, წყალმომარაგებისა და წყალსადენების რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის კონტეინერებისა და სანაგვე ურნების დამატებით შეძენა და არსებულის განახლება.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

კვლავაც გაგრძელდება სკოლამდელი განათლების სისტემის (საბავშვო ბაღები და ბაგა-ბაღები) ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ასიგნებების გამოყოფა, უზრუნველყოფილი იქნება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფას.

4. კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება

ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება, ქალაქში გაგრძელდება გარე და დაბალი განათების მოწყობა, საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, მნიშვნელოვნად გაიზრდება პარკებისა და სკვერების მოწყობა, ასევე ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები.

აღნიშნული პროექტების განხორციელება არსებითად გააუმჯობესებს ქალაქის იერსახეს და ხელს შეუწყობს მის თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებას.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი კვლავ იქნება სპორტული და კულტულური ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტულური ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
გზების რეაბილიტაცია	750.0	800.0	950.0	1 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	700.0	700.0	750.0	900.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	710.3	800.0	800.0	850.0
კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება	800.0	880.0	890.0	900.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	870.2	900.0	950.0	1 000.0
სულ ჯამი	**3 830.5**	**4 080.0**	**4 340.0**	**4 650.0**

გორის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ბოლო წლების განმავლობაში გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია. ამ დროისთვის კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს როგორც გორის შიდა გზები, ასევე ქალაქიდან სოფლებამდე დამაკავშირებელი და სოფლების შიდა გზები, 2012-2015 წლებისათვის თითქმის სრულად იქნება რეაბილიტირებული გზის საფარი.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების და სადარბაზოების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემის აღდგენითი სამუშაოები იმ სოფლებში, სადაც აქამდე ვერ მოხერხდა აღნიშნული სისტემის რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემის ძველი და მწყობრიდან გამოსული ქსელის აღდგენა, ქ. გორის ქუჩებში სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში ტროტუარების სრული მოწესრიგება, სოფლებში გარე განათების, დასასვენებელი საბავშვო მინი მოედნების მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლება საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და თავისთავად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. რის შედეგადაც ქალაქის ტერიტორიაზე და 28 სოფელში იფუნქციონირებს ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით აღჭურვილი თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაგა-ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

6. სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, საკეისრო და ფიზიოლოგიური მშობიარობის თანადაფინანსება, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი 18 წლამდე ასაკის) დახმარება, უხუცეს დღეგრძელთა დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სამკურნალოო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსება, მუნიციპალურ საბავშვო ბაგა-ბაღებში დევნილი და უნარშეზღუდული ბავშვების მომსახურების თანადაფინანსება, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება, იძულებით გადაადგილებულთა და ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯები, სქოლიოზით და ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება, ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო და უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სტუდენტების სოციალური დახმარება, დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება, ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა(ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება და ასევე გატარდება პრევენციული ღონისძიებები ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	3 100,0	3 150,0	3 000,0	3 250,0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 300,0	1 600,0	1 800,0	2 200,0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 100,0	1 200,0	1 400,0	1 300,0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	1 000,0	1 300,0	1 350,0	1 350,0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	2 700,0	2 900,0	3 000,0	3 100,0
სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები	725,0	750,0	800,0	750,0
სულ ჯამი	**9 925,0**	**10 900,0**	**11 350,0**	**11 950,0**

ქარელის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ბოლო წლების განმავლობაში ქარელის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია. ამ დროისთვის კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს როგორც ქ. ქარელისა და დ. აგარის შიდა გზები, ასევე ქალაქიდან სოფლებამდე დამაკავშირებელი გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემის აღდგენითი სამუშაოები იმ სოფლებში სადაც მწყობრიდანაა გამოსული საკანალიზაციო სისტემა, ასევე დაგეგმილია ქ. ქარელის ქუჩებში სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივად განვითარება, სოფლებში გარე განათების, ტროტუარების, მცირე სკვერებისა და მოედნების მოწყობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლება საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და თავისთავად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

6. სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები

2012-2015 წლებში ქარელის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები კერძოდ: მოსახლეობის გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება, შეჭირვებულთათვის უფასო სასადილოს მოწყობა, უხუცეს მოქალაქეთა დახმარება, ომის ვეტერანებს გადაეცემათ ერთჯერადი ფულადი დახმარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა სხვადასხვა სახის დახმარება, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მომარაგება სამშენებლო მასალებით, დაფინანსდება ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯები და ასევე გატარდება პრევენციული ღონისძიებები ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	1 350.0	1 400.0	1 450.0	1 500.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	900.0	850.0	950.0	1 100.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	450.0	500.0	450.0	570.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	450.0	580.0	650.0	850.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	550.0	750.0	850.0	800.0
სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები	390.0	450.0	450.0	500.0
სულ ჯამი	**4 090.0**	**4 530.0**	**4 800.0**	**5 320.0**

ხაშურის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ხაშურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია. ქალაქ ხაშურში, გაგარინის ქუჩაზე რეაბილიტაციისათვის იგეგმება ასფალტობეტონის საფარის მოწყობა. სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს სოფელ ქვიშხეთში ცენტრალური გზიდან შესასვლელი და დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმამდე მისასვლელი გზა. ასევე იგეგმება ფარნავაზისა და 9 აპრილის ქუჩების მოასფალტება და ქალაქის შიდა გზების მოხრეშვა. სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისა და მასთან დაკავშირებული სირთულეების თავიდან აცილების მიზნით იგეგმება ქუჩების დახაზვა და საგზაო ნიშნების მოწყობა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

2012-2015 წლლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში იგეგმება ქალაქ ხაშურისა და დაბა სურამის დასახლებებში საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა და მწყობრიდან გამოსული ქსელის აღდგენა, ქ. ხაშურის ქუჩებში სანიტარული პირობების გაუმჯობესება, ასევე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია და რუსთაველის ქუჩაზე ტროტუარების მოპირკეთება, ასევე დაგეგმილია ღამის გარე განათების სისტემების მოწყობა,

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში დაგეგმილია სახელოვნებო სკოლების შენობების სახურავების რეაბილიტაცია, ქალაქ ხაშურში მოეწყობა

ორი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

6. სოციალური ღონისძიებები

მოსახლეობის გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო ხარჯების, მშობიარობის თანადაფინანსება, შეჭირვებულთათვის უფასო სასადილოს მოწყობა, სასწავლო დაწესებულებებში შეღავათების დაწესება, ომის ვეტერანებს გადაეცემათ ერთჯერადი ფულადი დახმარება, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მომარაგება სამშენებლო მასალებით, დაფინანსდება იძულებით გადაადგილებულთა და ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯები

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	1 000.0	1 100.0	1 400.0	1 500.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 200.0	1 350.0	1 500.0	1 700.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	400.0	450.0	500.0	600.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	570.0	600.0	650.0	650.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	635.0	700.0	750.0	800.0
სოციალური ღონისძიებები	225.0	300.0	350.0	350.0
სულ ჯამი	**4 030.0**	**4 500.0**	**5 150.0**	**5 600.0**

კასპის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ბოლო წლების განმავლობაში კასპის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია. კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს როგორც ქ. კასპის შიდა გზები, ასევე ქალაქიდან სოფლებამდე დამაკავშირებელი გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, აგრეთვე ადმინისტრაციულ შენობებს ჩაუტარდებათ კაპიტალური რემონტი. სასმელი წყლის სისტემის აღდგენითი სამუშაოები. საკანალიზაციო სისტემის ძველი და მწყობრიდან გამოსული ქსელის აღდგენა, გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ქ. კასპის ქუჩებში სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში შუქნიშნებისა და საგზაო უსაფთხოების მიზნით ქუჩების დახაზვა, სოფლებში გარე განათების, ტროტუარების, მცირე სკვერებისა და მოედნების მოწყობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლება საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და თავისთავად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	1 350.0	1 400.0	2 000.0	1 800.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 150.0	1 350.0	1 500.0	1 700.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	350.0	450.0	500.0	450.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	630.0	650.0	700.0	700.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	550.0	600.0	700,0	650.0
სულ ჯამი	**4 380.0**	**4 450.0**	**5 400.0**	**5 300.0**

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის
პრიორიტეტების დოკუმენტი

1.მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

2012-2015 წლებში თვითმმართველობის ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება შიდა გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია, რაც გაზრდის შიდა სატრანსპორტო მიმოსვლას და მნიშვნელოვნად აამაღლებს ქალაქის ეკონომიკურ აქტივობას.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავაც პრიორიტეტულია ქალაქის გარემოს დაცვა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება. მომდევნო წლის განმავლობაში აქტიურ ფაზაში გადავა ახალი ნაგავსაყრელის ფუნქციონირება, რაც გააუმჯობესებს ქალაქში ეკოლოგიურ მდგომარეობას. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და გამოიცვლება კორპუსების სარდაფებში წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური გაყვანილობა. ამხანაგობების ფარგლებში თითოეული ამხანაგობა დაინტერესდება საკუთარი ეზოსა და შემოგარენის მოვლაში, რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის ქალაქის ცხოვრების რიტმს, გაგრძელდება ქალაქში გარე განათებების მოწყობა–რეაბილიტაცია.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

გზების მშენებლობა–რეაბილიტაციის და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქალაქის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებშიც გაგრძელდება ქალაქ რუსთავში კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქებში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა–რეაბილიტაცია.

4. სკოლამდელი განათლების დაფინანსება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქ რუსთავისთვისაც ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, რის შედეგადაც ქალაქში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლებში, ისე მომდევნო პერიოდშიც თვითმმართველობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების სხვადასხვა ჩემპიონატებში მონაწილეობის მხარდაჭერა. ასევე თვითმმართველობის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების, სამუსიკო, სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწობს რუსთავში მცხოვრები მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები უზრუნველყოფს ქართულ ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

6. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრობლემად რჩება სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის სოციალური დაცვა. ამ მხრივ ხორციელდება მთელი რიგი პროგრამები, რომლებიც ემსახურება ქალაქში სოციალური ფონის გაუმჯობესებას და მოსახლეობის დახმარებას სხვადასხვა სახით: უფასო სასადილოს დაფინანსება, მოსახლეობისათვის შეღავათები სასმელი წყლის გადასახადზე და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე, მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათი, ახალი ცხოვრების დასაწყისი - ქუჩის ბავშვების პროექტი, მუნიციპალურ მოხუცთა სახლის დაფინანსება, მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება, ვეტერანების, საჯარო სკოლების, მუნიციპალური თეატრისა და ააიპ-ების თანამშრომელების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მგზავრობის შეღავათები, მრავალშვილიანების დახმარება და სხვა.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	2 100.0	2 200.0	2 100.0	2 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	3 800.0	4 145.0	4 400.0	4 400.0
კეთილმოწყობის ღონისძიებების	2 405.0	2 200.0	2 450.0	2 330.0
სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1 450.0	1 500.0	1 550.0	1 650.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	3 000.0	2 800.0	2 200.0	2 350.0
სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	2 290.0	2 300.0	2 350.0	2 400.0
სულ ჯამი	**15 045.0**	**15 145.0**	**15 050.0**	**15 130.0**

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

2012-2015 წლებში მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული იქნება ძირითადი შიდა გზები, მოასფალტდება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ასევე 2012 წელს მოასფალტდება დაბა კაზრეთის, სოფ. ბალიჭის, სოფ. რაჭისუბნის და სოფ. რატევანის შიდა საუბნო გზები. ასევე მოასფალტდება სოფ. მამხუტთან, სოფ. ხატისოფელთან და სოფ. ფოლადაურთან მისასვლელი გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

2012-2015 წლებში განხორციელდება მუნიციპალიტის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სარეაბილიტაციო (სახურავი და საძირკვლის გამაგრება) სამუშაოები, ასევე განხორციელდება ქ. ბოლნისში ბიოგამწმენდი დანადგარების მშენებლობა-მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის საექსპლოატაციო მოსახურეობა.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

განხორციელდება ქ. ბოლნისში ცენტრალური დასასვენებელი პარკების რეაბილიტაცია, ქ. ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე სკვერის მოწყობა, სოფ. რაჭისუბანში მჟავე წყლის ტერიტორიის რეაბილიტაცია. დასრულდება ქ. ბოლნისში და დაბა კაზრეთში გარე განათების სისტემების მოწყობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიზნით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა. რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და მათი რეაბილიტაცია.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მოდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე პროგრამის ფარგლებში მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსაბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	3 100.0	2 570.0	2 850.0	2 475.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 800.0	1 820.0	1 850.0	2 450.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	900.0	950.0	900.0	900.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	400.0	500.0	400.0	500.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 297.0	1 300.0	1 315.0	1 315.0
სულ ჯამი	**7 497.0**	**7 140.0**	**7 315.0**	**7 640.0**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში განხორციელდება სოფლების შიდა საუბნო გზების მოხრეშვა და მოსწორება, სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში საფუძველი ჩაეყრება წყლის სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებული წყალგაყვანილობისა და სადრენაჟო სისტემებს, მოწესრიგდება საკანლიზაციო სისტემების მშენებლობა, მოეწყობა გარე განათების ქსელი.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელ განათლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომავალი თაობის აღზრდაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. რის შედეგადაც იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღინისძიებების ხელშეწყობა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსაბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	600.0	650.0	700.0	750.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	550.0	580.0	600.0	500.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	150.0	180.0	250.0	270.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	430.0	450.0	430.0	480.0
სულ ჯამი	**1 730.0**	**1 860.0**	**2 030.0**	**2 000.0**

მარნეულის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ქ. მარნეულის ქუჩების მოასფალტება, რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ასევე რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლებამდე და სოფლებს შორის მიმოსვლის დრო, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავ დარჩენილია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში გასატარებელი ღონისძიებები, სოფლებში სასმელი წყლის რეაბილიტაცია, სოფლებში სარწყავი არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. მარნეულის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების მოვლა–შენახვა,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და სხვა ღონისძიებები, რომლებიც გაუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის საცხოვრებელ პირობებს.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წლებში განხორციელდება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და საბავშვო ბაღების უკეთესად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქ. მარნეულში და სოფლებში სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების და კულტურული ობიექტების მშენებლობა–რეაბილიტაცია. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	2 450,0	1 800,0	1 500,0	1 630,0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 900.0	2 350,0	2 700,0	2 750,0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	320,0	430,0	450,0	500,0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	954,0	1300,0	1400,0	1500,0
სულ ჯამი	**5 624,0**	**5 880,0**	**6 050,0**	**6 380,0**

წალკის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

წალკის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც განხოციელდება ქ. წალკისა და მუნიციპალიტეტის ძირითადი გზების მოწესრიგება, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა გზები. რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომავალ წლებში დაგეგმილია სოფლებში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სასმელი წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. იგეგმება ასევე სარწყავი არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები, გარე განათების ახალი ქსელების მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და სხვა ღონისძიებები, რომლებიც გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის საცხოვრებელ პირობებს.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომდევნო წელს განხორციელდება ახალი საბავშვო ბაღის გახსნა და საბავშვო ბაღების უკეთესად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელსეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქ. წალკაში და სოფლებში სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების და კულტურული ობიექტების მშენებლობა–რეაბილიტაცია.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	450.0	600.0	620.0	630.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	550.0	600.0	600.0	650.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	45.0	55.0	60.0	60.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	225.0	250.0	380.0	300.0
სულ ჯამი	**1 270.0**	**1 505.0**	**1 660.0**	**1 640.0**

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

2012-2015 წლებში მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული იქნება ძირითადი შიდა გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სასმელი წყლის მიწოდება, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოეწყობა ჭაბურღილები, განხორციელდება სარწყავი და სადრენაჟე არხებისა და კოლექტორების რეაბილიტაცია. ასევე იგეგმება გარე განათების ქსელის საექსპლოატაციო მოსახურეობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ლიფტების შეკეთება და სხვა ღონისძიებები, რომლებიც გაუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის საცხოვრებელ პირობებს.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც ქალაქში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგელბშიც მოდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე პროგრამის ფარგლებში მომდევნო წლებშიც დაგეგმილია სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსაბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

5. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრომლემად რჩება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სოციალური დაცვა. აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში სოციალური ფენის გაუმჯობესებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	1 000,0	1 300,0	1 500,0	1 700,0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 250,0	1 350,0	1 200,0	1 400,0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	780,0	800,0	820,0	850,0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	1 000,0	850,0	800,0	850,0
სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	665,0	700,0	750,0	700,0
სულ ჯამი	**4 695,0**	**5 000,0**	**5 070,0**	**5 500,0**

დმანისის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში რეაბილიტირებული იქნება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლების განმავლობაში საფუძველი ჩაეყრება წყლის სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებული წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემებს.

3. სკოლამდელი განათლების ხალშეწყობა

სკოლამდელ განათლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომავალი თაობის აღზრდაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

დმანისის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღინისძიებების ხელშეწყობა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	750.0	850.0	900.0	1 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	350.0	250.0	200.0	250.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	95.0	130.0	150.0	150.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	310.0	350.0	350.0	330.0
სულ ჯამი	**1 505.0**	**1 580.0**	**1 600.0**	**1 730.0**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

2012-2015 წლებში მუნიციპალიტეტის ერთ ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია. განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შიდა გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია. იგეგმება შიდა სახელმწიფოებრივი გზების ლანჩხუთი-შუხუთი-აკეთი-ნაგომარის რეაბილიტაცია. მომდევნო წლებში მოხდება ხიდების რეაბილიტაცია და ახალი ხიდების მოწყობა

აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო წლებში განხორციელდება შიდა ქსელებისა და სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია-მოწყობა. ამასთან ერთად განხორციელდება სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. გარდა ამისა დაგეგმილია პროგრამა კორპუსის ფარგლებში მრავალბინიანი სახლებისა და ეზოების რეაბილიტაცია.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტში მკვეთრად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი და სანიტარული პირობები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება. დაგეგმილია ფოთი-ხიდმაღალა-ურეკი გარე განათების ქსელის მოწყობა, ასევე გაგრძელდება მდინარეებზე გაბიონების მოწყობა და ნაპირსამაგრი სამუშაოები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა, შესაბამისად მომდევნო წლებში განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კაპიტალური რემონტი. თითქმის ყველა სოფელში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. მომდევნო წლებში გათვალისწინებულია სპორტული სკოლის რეაბილიტაცია და სკოლის საჭირო ინვენტარით აღჭურვა. ამასთან, განხორციელდება სპორტული მოედნებისა და კულტურის სახლის რეაბილიტაცია, რაც ხელს შუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	250,0	300,0	400,0	450,0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	329,0	400,0	450,0	500,0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	200,0	250,0	350,0	400,0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	858,5	750,0	750,0	700,0
სპორტული და კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა	1 447,0	1 500,0	1 650,0	1 600,0
სულ ჯამი	**3 084,5**	**3 200,0**	**3 600,0**	**3 650,0**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

1. მოსახლეობის სოციალური დაცვა

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს 2012-2015 წლებში წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა. სოციალური პოლიტიკა კვლავაც დაფუძნებული იქნება ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებაზე.

აღნიშნული პრიორიტეტი ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფინანსურ დახმარებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უკიდურესად შეჭირვებულ მოქალაქეთა ყოველდღიური ერთჯერად კვებას. სამედიცინო მომსახურების პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის უკიდურესად ხელმოკლე ნაწილის სამედიცინო მომსახურებას, უბედური შემთხვევის (სტიქია, ხანძარი, და სხვა) შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერად დახმარებას, ახალშობილთა ოჯახების ერთჯერად დახმარებას (რომლებიც არ სარგებლობენ სამედიცინო პოლისით), ინვალიდთა დახმარებებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამას და სხვას.

2. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აგრეთვე სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, საქართველოს კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას, ფესტივალების, გასტროლების, კულტურის დღეების დაფინანსებას და ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობას. გარდა ამისა სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციურ და მეთოდურ ხელშეწყობას, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პრიორიტეტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას, ტურისტული მარშრუტების დაგეგმარებას, ლაშქრობების და სკაუტების ორგანიზებას, ტურისტული დისლოკაციის ადგილების მოწყობას და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

ერთერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში წარმოადგენს საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა. გაიხსნება ბაგა-ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფიფლი იქნება მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა. აგრეთვე მოხდება არსებული ბაგა-ბაღების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა, სოფლის ბაღების შენობების რემონტის დაფინანსება სოფლის პროექტებიდან.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში გაუმჯობესდება ქალაქის საბავშვო ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

4. კომუნალური მომსახურების განვითარება

მომდევნო 4 წლის განმავლობაში გაგრძელდება ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან, ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე განხორციელდება წყლის სისტემისა და სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები, გაზონებისა და ტროტუარების მოწესრიგება, დასასვენებელი სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები, განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია, მათი მოვლა-პატრონობა.

აღნიშნულის შედეგად ქალაქი იქნება დასუფთავებული და მოსახლეობისათვის შექმნილი იქნება კომფორტული გარემო. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა და მისი იერსახის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

5. სოფლის მეურნეობის განვითარება

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტები ითვალისწინებს სასოფლო _ სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისათვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შეძენას და შემდგომ გამოყენებას, არსებული სასოფლო – სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების განახლებას, სასოფლო – სამეურნეო ტექნიკის სერვის ცენტრების (მექანიზაციის სერვის-ცენტრები) ჩამოყალიბებას, სადაც ფერმერებს მიეცემათ შესაძლებლობა, მიიღონ საკონსულტაციო მომსახურება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, სასათბურე

მეურნეობის განვითარებას ხილ - ბოსტნეული კულტურის წარმოებას, სანერგე მეურნეობის შექმნას – მაღალხარისხიანი, ჯიშიანი ნერგების გამოყვანას, ხილსაცავების მოწყობას, აგრეთვე საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების წინაღმდგეგ ღონისძიებების ჩატარებას.

აღნიშნულის შედეგად განვითარდება სასათბურე მეურნეობა, სადრენაჟე ინფრასტრუქტურა. მოხდება მაღალეფექტური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობის ზრდა და სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლის გაუმჯობესება - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, დამუშავებული ფართობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდა, ფერმერთა ცოდნის ამაღლება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მოსახლეობის სოციალური დაცვა	663.0	600.0	580.0	550.0
სპორტული და კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა	2 155.2	2050.0	2 000.0	2 100.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	1 160.4	1 000.0	950.0	800.0
კომუნალური მომსახურების განვითარება	1 760.0	1 800.0	1 850.0	1 900.0
სოფლის მეურნეობის განვითარება	1 000.0	1 050.0	1 100.0	1 100.0
სულ ჯამი	**6 738.6**	**6 500.0**	**6 480.0**	**6 450.0**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ძირითადი გზების 70%-ტი რეაბილიტირებული იქნება, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლის შიდა საუბნო გზები, აშენდება ახალი ხიდები. ასევე შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია მოხდება მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში. რამდენიმე სოფელს სრულყოფილად არ მიეწოდება სასმელი წყალი, მოუწესრიგებელია საკანალიზაციო და განათების სისტემები. აღნიშნულის გათვალისწინებით პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში უნდა მოხდეს დაბის წყალსადენის სრულყოფილად დამთავრება, ასევე სოფლებში ხიდისთავში, ქვენობანში, შუაგანახლებაში, ჩაისუბნში, კოხნარში, დაბლაციხეში, ბუკისციხეში და სხვა სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია. გაგრძელდება დაბის ცენტრში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, დაიწყება კურორტ ბახმაროში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები. შესაძენია ნაგვის კონტეინერები და ამწე კალათი.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მიგრაციის პროცესი.

3. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთდერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა, რის შედეგადაც უმეტეს სოფლებში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები. კერძოდ: 2012 წელს გაიხსნება 2 საბავშვო ბაღი სოფლებში: გოგოლესუბანსა და

საჭამიასერში, ხოლო 2013 წელში სოფ. განახლებასა და ზოტში, 2014 წელში - 2 სოფელში და 2015 წელში 3 სოფელში.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინასება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებებში, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები, რაც უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	200.0	250.0	280.0	300.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	770.0	845.0	940.0	1 040.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	470.0	550.0	600.0	650.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	907.0	959.0	1 132.0	1 278.0
სულ ჯამი	**2 347.0**	**2 604.0**	**2 952.0**	**3 268.0**

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ბოლო წლების განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია. ამ დროისთვის კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს როგორც ქ. ბორჯომის შიდა გზები, ასევე ქალაქიდან სოფლებამდე დამაკავშირებელი გზები, 2012-2015 წლებისათვის თითქმის სრულად იქნება რეაბილიტირებული გზის საფარი.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემის აღდგენითი სამუშაოები იმ სოფლებში, სადაც აქამდე ვერ მოხერხდა აღნიშნული სისტემის რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემის ძველი და მწყობრიდან გამოსული ქსელის აღდგენა, ქ. ბორჯომის ქუჩებში სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურისა განვითარება, სოფლებში გარე განათების, ტროტუარების, მცირე სკვერებისა და მოედნების მოწყობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლება საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და თავისთავად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

6. სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები

მოსახლეობის გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო ხარჯების, მშობიარობის თანადაფინანსება, შეჭირვებულთათვის უფასო სასადილოს მოწყობა, სასწავლო დაწესებულებებში შეღავათების დაწესება, დაფინანსდება საქალაქო წრიულ მარშრუტზე ტარიფის შენარჩუნება, ომის ვეტერანებს გადაეცემათ ერთჯერადი ფულადი დახმარება, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მომარაგება სამშენებლო მასალებით, დაფინანსდება იძულებით გადაადგილებულთა და ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯები და ასევე გატარდება პრევენციული ღონისძიებები ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	2 100.0	1 850.0	1 900.0	2 100.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 100.0	1 150.0	1 200.0	1 250.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	700.0	750.0	850.0	800.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	350.0	500.0	550.0	450.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	750.0	800.0	900.0	900.0
სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები	700.0	750.0	800.0	800.0
სულ ჯამი	**5 700.0**	**5 800.0**	**6 200.0**	**6 300.0**

ადიგენის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება ბოლო წლების განმავლობაში ადიგენის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მომდევნო წლებში მოასფალტდება და მოიხრეშება როგორც დაბა ადიგენისა და დაბა აბასთუმნის გზების უმეტესი ნაწილი, ასევე, სოფლებთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

2012-2015 წლების განმავლობაში მოხდება სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია იმ სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია სასმელი წყლის მიწოდება, მუნიციპალიტეტის საკანაზილაციო ქსელის რეაბილიტაცია, ასევე დაგეგმილია მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების შეკეთება და სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით ადიგენის მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად მოეწყობა, აღდგება და მოწესრიგდება დასასვენებელი პარკები, მცირე სკვერები, საბავშვო ატრაქციონები, ქალაქის გარე განათების სისტემები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებშიც გაგრძელდება საბავშვო ბაღების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი შენობების რეაბილიტაცია და მოძველებული ინვენტარის განახლება.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა

ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას.

6. სოციალური ღონისძიებები

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა საშეღავათო პროგრამები მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	400.0	550.0	600.0	600.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	500.0	600.0	250.0	350.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	350.0	400.0	350.0	300.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	100.0	130.0	150.0	150.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	185.0	200.0	230.0	250.0
სოციალური ღონისძიებები	150.0	180.0	200.0	200.0
სულ ჯამი	**1 685.0**	**2 060.0**	**1 780.0**	**1 850.0**

ასპინძის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

დაბა ასპინძის პრიორიტეტად რჩება შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოასფალტდება სოფლებამდე მისასვლელი გზები. აგრეთვე ჩატარდება მთებში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. აშენდება ახალი ხიდები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო 4 წლის განმავლობაში ასპინძის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია საკანალიზაციო სისტემის მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ქსელის რეაბილიტაცია. აგრეთვე მოხდება დაბა ასპინძის ქუჩებისა და გზისპირა სოფლების სანიტარული პირობების გაუმჯობესება, განსაზღვრულია ნაგავმზიდი მანქანებისა და ნაგვის კონტეინერების შეძენა, საჭიროა წყლის სისტემის გამრიცხველიანება, რაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს და გააუმჯობესებს დაბის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების რეგულირებას.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

პრიორიტეტის ფარგლებში 2012-2015 წლებში დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მეურნეობის ეტაპობრივად განვითარება. მოეწყობა სოფლებში გარე განათების ქსელი, ტროტუარები, მცირე სკვერები და მოედნები, გზისპირა სოფლებში აშენდება დეკორატიული ღობეები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების კაპიტალური შეკეთება და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია დაბა ასპინძის კულტურის ცენტრის შენობის კაპიტალური რემონტი. დაბაში მუზეუმისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

6. სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები

მოსახლეობის გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება, მოხუცებულთათვის უფასო სასადილოს მოწყობა, სტიქიით დაზარალებულთა სამშენებლო მასალით დახმარება, გატარდება პრევენციული ღონისძიებები ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით (ა.ი.პ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მეშვეობით).

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	200.0	300.0	400.0	600.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	350.0	400.0	500.0	400.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	230.0	300.0	350.0	450.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	120.0	150.0	160.0	160.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	255.0	300.0	350.0	350.0
სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები	250.0	300.0	350.0	350.0
სულ ჯამი	**1 405.0**	**1 750.0**	**2 110.0**	**2 310.0**

ახალციხის მუნიციპალიტეტი

1.მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია როგორც ქ. ახალციხის და ქ. ვალის შიდა გზების, ასევე, სოფლებთან დამაკავშირებელი გზების კაპიტალური შეკეთება.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება: ქ. ახალციხეში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, ასევე დაგეგმილია ქალაქის ისტორიული უბნის (რაბათის უბანი) რეაბილიტაცია, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია, ქ. ახალციხესა და ქ. ვალის ქუჩების მთლიანად ათვისება სანიტარული პირობების გაუმჯობესების კუთხით (დასუფთავება, ნარჩენების გატანა).

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გარე განათების ქსელისა და ტროტუარების აღდგენა, მცირე სკვერებისა და მოედნების მოწყობა, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის იერსახეს, ხელს შეუწყობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

ბოლო წლების განმავლობაში ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა. ყურადღება დაეთმობა როგორც მოქმედი საბავშვო ბაღების კაპიტალურ რემონტს და მოძველებული ინვენტარის განახლებას, აგრეთვე სოფლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განთავსების მიზნით შენობების მოძიებას და ინვენტარით აღჭურვას.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია ქ. ახალციხის სპორტსკოლის რეაბილიტაციის დასრულება, ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება.

6. სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში მომდევნო

წლებში დაგეგმილია ახალციხის მოსახლეობის გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო ხარჯების, მშობიარობის თანადაფინანსება, შეჭირვებულთათვის უფასო სასადილოს მოწყობა, სასწავლო დაწესებულებებში შეღავათების დაწესება, დაფინანსდება საქალაქო წრიულ მარშრუტზე ტარიფის შენარჩუნება, ომის ვეტერანებს გადაეცემათ ერთჯერადი ფულადი დახმარება, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მომარაგება სამშენებლო მასალებით, დაფინანსდება იძულებით გადაადგილებულთა და ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯები და ასევე გატარდება პრევენციული ღონისძიებები ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	2 500.0	3 000.0	4 000.0	5 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	11 000.0	13 000.0	15 000.0	15 000.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 150.0	1 200.0	1 250.0	1 250.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	300.0	2 100.0	3 000.0	3 000.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	560.0	550.0	580.0	600.0
სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები	480.0	500.0	520.0	520.0
სულ ჯამი	**15 990.0**	**20 350.0**	**24 350.0**	**25 370.0**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება და სოფლის გზების რეაბილიტაცია. მომდევნო წლებში დაგეგმილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ხიდების რეაბილიტაცია.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მომდევნო 4 წლის განმავლობასი დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია, სასმელი წყლისა და ქალაქის საკანალიზაციო სისტემის მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ქსელის რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტში წყალგაყვანილობის რეაბილიტაცია.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

აღდგენას და მოწყობას საჭიროებს ქ. ახალქალაქის ქუჩების გარე განათების ქსელი, ასევე სოფლებთან მიმავალი გზების განათება, მოსაწყობია მცირე სკვერები, პარკის ტერიტორია. კეთილმოწყობას საჭიროებს ისტორიული ციხის ტერიტორია. აუცილებელია იმ შენობების გაზიფიცირება, რომლებიც შედიან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქ. ახალქალაქში მოქმედი 4 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობები საჭიროებს აღდგენას და რეაბილიტაციას, აუცილებელია მათი გაზიფიცირება.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქ.

ახალქალაქში მდებარე ძველი კულტურის სახლის რეაბილიტაცია. ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

6. სოციალური ღონისძიებები

ახალქალაქი ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება, მოხუცებულთათვის უფასო სასადილოს მოწყობა, იძულებით გადაადგილებულთა და ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯები და სხვა სოციალური ღონისძიებები.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	1 250.0	1 450.0	1 600.0	2 000.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	750.0	800.0	900.0	950.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	300.0	350.0	350.0	400.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	250.0	300.0	300.0	320.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	810.0	850.0	900.0	900.0
სოციალური ღონისძიებები	250.0	300.0	300.0	350.0
სულ ჯამი	**3 610.0**	**4 050.0**	**4 350.0**	**4 920.0**

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია. მოიხრეშება და მოასფალტება ქ. ნინოწმინდის გზები.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს აგრეთვე წარმოადგენს სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო და საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია, ასევე დაგეგმილია ქ. ნინოწმინდისა და სოფლებისათვის ნაგვის ბუნკერების შეძენა.

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტში მოეწყობა დასასვენებელი პარკი, მოეწყობა აგრეთვე მცირე სკვერები, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ. ნინოწმინდაში განთავსება შუქნიშნები და მოეწყობა გარე განათების სისტემები.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის განხორციელება ითვალისწინებს არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების რეაბილიტაციას და ახალი საბავშვო ბაღების გახსნას. განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებაზე.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია

სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი სპორტული მოედნების მშენებლობა.

6. სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ხელშეწყობა და სხვადასხვა საშეღავათო პროგრამების განხორციელება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	150.0	250.0	300.0	350.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	400.0	500.0	600.0	650.0
კეთილმოწყობის ღონისძიებები	450.0	500.0	600.0	550.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	140.0	150.0	200.0	200.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	420.0	450.0	500.0	500.0
სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები	280.0	300.0	350.0	350.0
სულ ჯამი	**1 840.0**	**2 150.0**	**2 550.0**	**2 600.0**

დუშეთის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ასევე რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ქ. დუშეთში დასრულდება ქუჩების რეაბილიტაცია და შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, რისი გათვალისწინებითაც მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სასმელი წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს მოეწყობა ფასანაურის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობა, რომელიც დაბინძურებისაგან დაიცავს არაგვის ხეობას. ასევე საკანალიზაციო სისტემები მოეწყობა ბაზალეთსა და დაბა ჟინვალში. საბინაო ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინასების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, რისი გათვალიწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სკვერების, ატრაქციონების და დასასვენებელი პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია, სოფლის ცენტრალურ გზებზე გარე განათების მოწყობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში

განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

დუშეთის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	**2012 წელი**	**2013 წელი**	**2014 წელი**	**2015 წელი**
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	900.0	2 000.0	2 300.0	2 500.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1000.0	1 500.0	1 600.0	1 650.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	114.0	140.0	150.0	170.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	600.0	600.0	610.0	610.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	460.0	500.0	550.0	500.0
სულ ჯამი	**3 100.0**	**4 740.0**	**5 210.0**	**5 430.0**

თიანეთის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

თიანეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია. მომდევნო წლებში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა გზები. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება დ. თიანეთისა და სოფ. ზარიძეების წყლის სათავე ნაგებობებსა და შიდა ქსელს. იმ სოფლებში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, ასევე რეაბლიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებული წყალგაყვანილობის სისტემებს და გაიზრდება წყლის დებეტი, რამდენიმე სოფელში მოეწყობა არტეზიული ჭები, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები და სანიაღვრე არხები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციასა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისი გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, იგეგმება თავშეყრის ადგილების მოწყობა-რეაბილიტაცია. მოეწყობა დ. თიანეთის და სოფ. ჟებოტის დამაკავშირებელი ხიდის გარე განათების სისტემები.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	350.0	400.0	400.0	450.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	320.0	350.0	300.0	300.0

დასახელება	2012წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	330.0	350.0	350.0	350.0
სულ ჯამი	**1 000.0**	**1 100.0**	**1 050.0**	**1 100.0**

მცხეთის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების 80%-ში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. ასევე რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, მცხეთაში დასრულდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლების განმავლობაში, ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სასმელი წყლის მიწოდება, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. საბინაო ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინასების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები.

4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციასა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისი გათვალიწინებითაც მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სკვერებისა და მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

5. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიზნით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

6. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

მცხეთის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	600.0	700.0	750.0	900.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 500.0	900.0	900.0	900.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	750.0	700.0	800.0	800.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	650.0	660.0	700.0	700.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	950.0	1 000.0	1 100.0	1 150.0
სულ ჯამი	**4 450.0**	**3 960.0**	**4 250.0**	**4 450.0**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, დაიგება ასფალტი, ბეტონის საფარი, ზოგან – ქვაფენილი, მოეწყობა ბორდიურები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, აშენდება ორი ახალი ხიდი, რომლითაც ერთმანეთს უმოკლესი გზით დაუკავშირდება ხუთი სოფელი. ასევე სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები. გზების რეაბილიტაცია აამაღლებს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას, შეამცირებს ავტოავარიის შემთხვევებს და ტრანსპორტის ტექნიკურ დაზიანებებს.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლების განმავლობაში იგეგმება დაბა სტეფანწმინდისა და სოფ. სნოს წყლის სათავე ნაგებობების აღდგენა, მაგისტრალური და წყალგამანაწილებელი მილსადენების მოწესრიგება, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, ყველა სოფელში მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. რამდენიმე დიდ სოფელში აშენდება ახალი ნაგავსაყრელი, დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

გზების მშენებლობა - რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბა სტეფანწმინდის „ახალგაზრდულ სკვერს“, გერგეთის სკვერს და სოფ. სნოს „ცენტრალურ სკვერს“ რაც ასევე ხელს შეუწყობს მუნიციალიტეტში ტურიზმის განვითარებას და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურულ დასვენებას. მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლებში ტროტუარების სრული მოწესრიგება და დასასვენებელი პარკების მოწყობა – რეაბილიტაცია, ყველა სოფელში მოეწყობა საზოგადოების თავშეყრის ადგილები, ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ

გზებზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. განხორციელდება სასაფლაოების რეაბილიტაცია და მათი მუდმივი მოვლა-პატრონობა.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარის უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა, რის შედეგადაც ყველა სოფელში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. გარდა ამისა, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ტურისტული პოტენციალის ამაღლების მიზნით იგეგმება ისტორიული ძეგლების აღდგენა–რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ადგილობრივი ანსამბლების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	300.0	400.0	450.0	400.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	300.0	320.0	320.0	320.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	350.0	400.0	500.0	420.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	310.0	350.0	340.0	340.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	185.0	200.0	200.0	300.0
სულ ჯამი	**1 445.0**	**1 670.0**	**1 810.0**	**1 780.0**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

1. გზების რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია. მოსწორდება და მოიხრეშება სოფლის შიდა საუბნო გზები, სრულად იქნება რეაბილიტირებული ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები. აგრეთვე, ასფალტირებული იქნება ქ. ამბროლაურში გზების 90%. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ძირითადად მოწესრიგდება შიდასატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება ცენტრიდან სოფლამდე გადაადგილებისათვის საჭირო დრო, რის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა.

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აგრეთვე მდინარეებზე: რიონი, კრიხულა და ლუხუნი, ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების დაცვას სტიქიური უბედურებებისაგან

2. კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის მთავარ პრობლემად რჩება სოფლების წყალმომარაგება. ბუნებრივი წყაროებიდან საკმაოდ დაშორებულ მოსახლეობას უწევს ყოველდღიურად სასმელი წყლის მომარაგება. ქ.ამბროლაურსა და მთლიანად მუნიციპალიტეტში არ არის მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემა. გამომდინარე ზემო აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტის პროიორიტეტს წარმოადგენს, კომნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა ახალი წყლის სისტემის სათავე ნაგებობები, მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, მოწესრიგდება საუბნო წყაროები. ქ. ამბროლაურში მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა, სანიაღვრე არხები, შეკეთდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე გაზიფიცირდება მთლიანად ქ. ამბროლაური და სოფლების 80%. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში დასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და შემცირდება მათი მიგრაციის პროცესი.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობასა და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ქ. ამბროლაურში საცურაო აუზის მშენებლობა, სკვერების მოწყობა; სოფლების ადმინისტრაციული შენობების წინამდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა. ეტაპობრივად მოეწყობა სოფლების გარე განათების ქსელი. მთლიანად დასრულდება ქ. ამბროლაურში გარე განათების მოწყობის სამუშაოები. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ქ. ამბროლაურში სოფლების უმრავლესობაში შეიქმნება კეთილმოწყობილი გარემო, რაც ასევე აუცილებელია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სეზონურად ტურისტებისა და დამსვენებელთა რაოდენობის ზრდას.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, რეაბილიტირებულ იქნება შვიდი საბავშვო ბაღი, რის შედეგადაც ყველა სოფელში

იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტში სპორტული და კულტურული ღინისძიებების ხელშეწყობის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის კლუბების აღდგენა, ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია, სპორტული შეჯიბრებებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. საახალწლო და სხვა კულტურული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსაბლები, უზრუნველყოფს ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
გზების რეაბილიტაცია	315.4	339.2	347.2	352.3
კომუნალური მეურნეობის განვითარება	632.0	678.0	675.5	680.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	180.3	188.4	190.4	198.6
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	714.2	729.7	732.7	735.3
სულ ჯამი	**1 841.9**	**1 935.3**	**1 945.8**	**1 966.2**

ლენტეხის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

რეაბილიტირებული იქნება ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, შეკეთდება და აღდგება ხიდები, შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტისა და მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება; მნიშვნელოვნად მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ცენტრთან, ისტორიულ ძეგლებთან მისასვლელი გზები; უზრუნველყოფილი იქნება გზებზე ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მოძრაობა.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად მიჩნეულია კომუნალური მეურნეობის განვითარება. მომდევნო წლებში აშენდება ახალი წყალსადენის 8 კმ-იანი მაგისტრალი, რომლითაც მოიხსნება ის უდიდესი პრობლემა, რომელიც რაიონული ცენტრის მოსახლეობას, წლების განმავლობაში აწუხებს. დასრულდება ნაგავსაყრელის მშენებლობა, შესყიდული იქნება ნაგავმზიდი მანქანა. განხორციელდება მდინარე ლასკადურის და ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

სოფლის მხარდჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება დაბისა და სოფლების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

3. განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის მიერ განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პირობების გასაუმჯობესებლად. რეაბილიტაცია ჩაუტარდება და ახალი ინვენტარით აღიჭურვება ყვედრეშის, ჭველფის და შკედის სოფლის საბავშვო ბაღები. სოფელ თეკალის მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 2012 წლისათვის გაიხსნება თეკალის საბავშვო ბაღი.

4. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

როგორც ბოლო წლებში ასევე მომდევნო პერიოდშიც მონიციპალიტეტის პრიორიტეტი იქნება, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელის შეწყობა.

დაგეგმილია ახალი სპორტული კომპლექსის თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა. გაგრძელდება სოფლებში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა .

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა და ხელი შეეწყობა ადგილობრივი ანსამბლების, სამუსიკო და სასპორტო სკოლების ფუნქციონირებას, აღნიშნული სკოლები მომარაგდებიან სათანადო ინვენტარით. რაიონის ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ დათვარიელებაში, ხელი შეეწყობა ადგილობრივ ტრადიციების შენარჩუნებას და მის პოპულარიზაციას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	195.3	198.2	200.3	202.3
კომუნალური მეურნეობის განვითარება	561.9	575.6	575.2	582.0
განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	117.8	121.2	122.3	130.2
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	489.8	490.2	495.8	500.0
სულ ჯამი	**1 364.8**	**1 385.2**	**1 393.6**	**1 414.5**

ონის მუნიციპალიტეტი

1. გზების რეაბილიტაცია

ონის მუნიციპალიტეტის 2012-2015 წლების ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია მოასფალტება, ასევე სასოფლო გზების მოხრეშვა და მოსწორება.

2. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის გნვითარება

განხორციელებული პროექტების მიუხედავად მინიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება. წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება, სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემების შეუფერხებელი მუშაობა მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელთა გადაჭრაზეც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მუნიციპალიტეტის კეთილდღეობის დონე. საჭიროა ქ. ონის წყალსადენის სათავე ნაგებობის მოწყობა, სოფლის წყალსადენების მოწყობა. ქ. ონში 2009-2010 წლებში დასრულდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, დარჩენილია მხოლოდ წერეთლის ქუჩა და არტუანის უბანი, რომლის რეაბილიტაციით სრულად იქნება საკანალიზაციო სისიტემის პრობლემები მოგვარებული. მოსახლეობის დიდ პრობლემას წარმოადგენს ქ. ონში სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც შემდეგ წლებში უნდა იქნეს მოგვარებული, რითაც მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდება.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება

გზების მშენებლობა რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას, მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია, გარე განათების რეაბილიტაცია.

4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

განსაკუთრებული ადგილი და როლი ბავშვების პიროვნულ ჩამოყალიბებაში გააჩნია საბავშვო ბაღებს. ბავშვების ინტელექტუალური განვითარება, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მართებული ფიზიკური აღზრდა ბაღების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დიდი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საჭირო ხარჯების დაფინანსება, დაგეგმილია ონის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

საზოგადოების სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სპორტისათვის შესაბამისი მნიშვნელობის მინიჭება და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. ამ მხრივ სპორტის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომი განვითარებასა და პოპულარიზაციას. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის მხრივ დაგეგმილია სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, სტადიონების მშენებლობა და კულტურისა და არქიტექტურული ობიექტების რეაბილიტაცია

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	230.0	230.5	235.4	240.5
მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის განვითარება	290.5	288.2	295.8	290.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება	518.5	520.6	526.0	526.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	69.2	70.5	72.6	75.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	263.0	265.3	270.0	280.6
სულ ჯამი	**1 371.2**	**1 375.1**	**1 399.8**	**1 412.1**

ცაგერის მუნიციპალიტეტი

1. მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია

დასრულდება ქ. ცაგერის შიდა საუბნო გზების მოასფალტება. მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა სოფელში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები. მოეწყობა სანიაღვრე არხები. მუნიციპალიტეტში არსებულ ხუთ საკურორტო ადგილზე და კურორტ ლაშიჭალაზე სრულად იქნება რეაბილიტირებული მისასვლელი გზები.

აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად მოწესრიგდება შიდა სატრანსპორტო მიმოსვლა, შემცირდება მიმოსვლის დრო, გაიზრდება კურორტებზე დამსვენებლთა რაოდენობა, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ აქტივობას და გაუმჯობესებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობას.

2. კომუნალური მეურნეობის განვითარება

2009 წელს ქ. ცაგერში განხორციელდა წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. მინდინარეობს ქ. ცაგერის წყალსადენისა და კანალიზაციის შიდა ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რომელიც დასრულდება 2012 წელს.

ბოლო წლებში სხვადასხვა პროგრამებით მთელ რიგ სოფლებში განხორციელდა წყალგაყვანილობის სისტემების მოწყობა-რებილიტაცია. მიუხედავად განხორციელებული პროექტებისა სრულად არ არის მოწესრიგებული ქ. ცაგერისა და მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფლის წყალმომარაგება. მომდევნო წლებში დაგეგმილია სრულად მოწესრიგდეს ქ. ცაგერსა და სოფლების წყლით მომარაგება. მუნიციციპალიტეტის სამ სოფელში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემის მოწყობა.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილია ქ. ცაგერში ტროტუარების მოწყობა. მოეწყობა ორი საბავშვო გასართობი პარკი, დეკორატიული ღობეები. ეტაპობრივად ყველა სოფლის ცენტრალურ გზაზე მოეწყობა გარე განათების სისტემები. განხორციელდება სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, გადაწყდა წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების ნაწილი. მოწესრიგდა სოფლების წყალგაყვანილობის სისტემები, აგრეთვე ამოქმედდა მცირე ინფრასტრუქტურული ობიექტები როგორიცაა; გარე განათება, ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია, სარიტუალო დარბაზები, მინი მოედნები და სხვ.

4. სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა

2012 წელს განხორციელდება ქ. ცაგერის ორი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. მომდევნო წლებში დაგეგმილია სოფლის ბაღების რეაბილიტაცია, ყველა ბაღის ინვენტარით უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

5. სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა

2012 წელს დაიწყება ქ. ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობა, სტადიონისა და საცურაო აუზის რეაბილიტაცია, „მწვანე თეატრის“ და სამხატვრო გალერიის რეაბილიტაცია. მომდევნო წლებში დაგეგმილია სოფლის კლუბების აღდგენა, მინიმოედნების მოწყობა. დაგეგმილია სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატებში. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება მუზეუმების, ბიბლიოთეკების, ადგილობრივი ანსამბლების, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტული სკოლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ფოლკლორული ხელოვნებისა და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები 2012-2015 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია	245.5	250.0	250.0	250.0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	430.5	430.0	445,2	450.2
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	773.4	750.6	775.3	780.3
სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა	339.0	345.8	375.6	375.6
სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	603.5	600.3	621.8	635.0
სულ ჯამი	**2 391.9**	**2 376.7**	**2 467.9**	**2 491.1**